

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ახალი და უახლესი ისტორია

ნოდია ირაკლი

პირველი მსოფლიო ომი ქართულ ნარატიულ წყაროებში

ნაშრომი შესრულებულია ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფ. თეიმურაზ პაპასქირი



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

აღნიშნული პროექტი განხორციელდა

შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

(გრანტი MR-18-104).

This project has been made possible by financial
support from the Shota Rustaveli National Science
Foundation (Grant MR-18-104).

თბილისი

2019

ანოტაცია

საქართველოში პირველი მსოფლიო ომის ისტორიით დაინტერესებისა და შესწავლის კუთხით გარკვეული ტრადიცია არსებობს. ომის წინამდებარე მოვლენებს, მის გამომწვევ მიზეზებს, მონაწილე სახელმწიფოების ინტერესებს, ფრონტებზე არსებულ მდგომარეობას, ომის შედეგებს და ა.შ. აქტიურად აშუქებდა ქართული პერიოდული გამოცემები, კერძოდ: „ახალი აზრი“, „ახალი ივერია“, „ერთობა“, „სახალხო ფურცელი“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და სხვ.

გარდა ამისა, ამ კუთხით ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის მემუარული ლიტერატურა, პირადი მიმოწერები, რომლებიც კარგად ასახავენ პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობას და მისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებას. ამ თემატიკით დაინტერესება და მისი აქტუალურობა რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ თემატიკა ბოლომდე შესწავლილი არაა. მასალების უმრავლესობა დღემდე თითქმის ხელუხლებელია და არ ყოფილა დეტალურად გარჩეული, რა მნიშვნელობა აქვთ მათ, რამდენად სწორად არის გადმოცემული ომის სურათი და ა.შ. მათდამი ძალიან ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო. შესწავლის პროცესში ისინი შედარებული იქნება ქართულ თუ უცხოენოვან გამოკვლევებთან, რათა კვლევა უფრო ფართო და სიღრმისეული იყოს. გარდა ამისა, ეს დაგვეხმარება ქართულენოვან წყაროებში აღმოჩენილი ისტორიული ფაქტების, ცნობებისა და საერთოდ საკვლევი დოკუმენტების გააზრებასა და სანდოობის შეფასებაში.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება საისტორიო მეცნიერებაში დამკვიდრებული ისტორიულ-შედარებითი, წყაროების კრიტიკული შესწავლის, ანალიზის, აღწერითი და კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდები. კვლევის მოსალოდნელი შედეგები მოკრძალებულ მიზნად ისახავს იმ ვაკუუმის შევსებას, რაც ამ კუთხით არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში და ვფიქრობთ, შესრულებული ნაშრომი მკითხველს საკითხის ახლებურ ხედვას შესთავაზებს.

Irakli Nodia

The First World War in Georgian Narrative Sources

Annotation

In Georgia there is some tradition in terms of interest and study of the history of World War I. The Georgian periodicals publications, namely: “Akhali Azri”, (“New Opinion”), “ “Akhali Iveria”, (“New Iveria”), “Ertoba” (“Unity”), “Sakhalkho Furceli” (“People's Sheet”), “Sakartvelos Respublika” (“Republic of Georgia”) and others actively covered the pre-war events, there causes, the interests of participant States, the state of the fronts, the consequences of the war, etc.

In addition, the various memorable literatures, personal correspondences that reflect the course of the First World War and the attitude of the Georgian public towards it, are very interesting and important in this regard. Interest in this topic and its actuality is caused due to several reasons. First of all, it should be noted that the subject is practically unstudied (if we do not consider several works that fragmentary discusses the period interested for us). The most of the materials are almost untouched so far and have not been detailed studied what importance do they have, how correctly is expressed the war image and so on.

In the study process has been used historic-comparative method, critical study method of sources, analysis and descriptive, complex-intensive methods, which are established in the historical sciences. The expected results of the research aim to fill the vacuum, which is in Georgian historiography in this regard and we believe that the completed work will offer the reader a new perspectives and visions on the issue.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I. საერთაშორისო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის წინ და ქართული საზოგადოებრივი აზრი	12
თავი II. 1914 წელი ქართულ ნარატიულ წყაროებში	27
§2.1. სარაევოს მკვლელობა და ქართული საზოგადოების რეაქცია.....	29
§2.2. „ივლისის კრიზისი“ ქართული პრესის ფურცლებზე.....	34
§2.3. 1914 წლის სამხედრო მოქმედებები პრესის მასალებისა და საარქივო დოკუმენტების მიხედვით.....	40
თავი III. 1915-1917 წლების სამხედრო ოპერაციები საარქივო დოკუმენტებისა და პრესის მასალების მიხედვით	51
თავი IV. 1918 წელი ქართულ ნარატიულ წყაროებში	71
თავი V. ქართველები პირველ მსოფლიო ომში. საარქივო დოკუმენტებისა და პრესის მასალების მიხედვით	78
§5.1. ქართველი მონაწილების დები და ლაზარეთები	78
§5.2. ქართველი მეომრები	84
§5.3. ქართველი სამხედრო ტყვეები საზღვარგარეთ	89
დასკვნა	100
გამოყენებული ლიტერატურის სია	102

შესავალი

მსოფლიოს მუდამ ორი საფართოზე
ემუქრება: წესრიგი და არეულობა
პოლ ვალერი

ისტორიაში არის მოვლენები, რომლებიც არ უფერულდება და არ ხუნდება საუკუნეების დაუსრულებელი დინებით. სწორედ ასეთ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება პირველი მსოფლიო ომი (1914-1918), რომლის დასრულებიდან 100 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ იგი დღესაც არ კარგავს აქტუალობას და დღემდე იწვევს დიდ აზრთა სხვადასხვაობას და პოლემიკას.¹

ყოველთვის გამოჩნდებიან ომის მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ცნობილმა ბრიტანელმა მეცნიერმა არნოლდ ტოინბიმ ომს „კაცობრიობის მომაკვდინებელი სენი“ უწოდა.² გაზეთი „თანამედროვე აზრი“ აღნიშნავდა, რომ „ომი ბარბაროსობისა და შოვინიზმის ხანა“ არის.³ არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი მეცნიერი რობერტ ჰიგსი მიიჩნევს, რომ „ომი, რა თქმა უნდა, საშინელებაა, მაგრამ აუცილებელია, როგორც ბოროტების ერთადერთი შესაჩერებელი ძალა“.⁴ ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს გაზ. „თანამედროვე აზრი“, რომლის თქმით, „ომი საშინელებაა, რა თქმა უნდა, იმდენად საშინელებაა, რომ არც ერთ მეომარ მხარეს არ უნდა თავის თავზე აიღოს ომის დანაშაული, მაგრამ ყოველ ბოროტებას თავისი კარგი მხარეებიც აქვს“.⁵ ცნობილი ამერიკელი მეცნიერი გ. მარი აცხადებდა, რომ „ომი სახელმწიფოს ქმედების ფორ-

¹ R. J. W. Evans and Hartmut Pogge von Strandmann. The Coming of the First World War. London, Oxford University Press, 1990, გვ. 1.

² A. J. Toynbee. Survey of International Affairs. London, Oxford University Press, 1928. გვ. 1. წიგნის სრული ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://ia801600.us.archive.org/21/items/in.ernet.dli.2015.15362/2015.15362.Survey-Of-International-Affairs-1929.pdf>.

³ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №34. 1915 წლის 12 აპრილი, გვ. 1.

⁴ Robert Higgs. War Is Horrible, but... // *The Independent Review Vol. 17, No. 2, (Fall 2012)*, გვ. 306. ჟურნალის ელექტრონული ვერსია იხილეთ აქ: <http://www.jstor.org/stable/24563112>.

⁵ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №241. 1915 წლის 19 ნოემბერი, რუბრიკა „ომის გაკვეთილები“, გვ. 2. ცნობილი ფრანგი ნობელიანტი რომენ როლანი (1866-1944) თავის დროზე შენიშნავდა, რომ „სახელმწიფოს მეთაურები, რომლებიც ომების კრიმინალური ავტორები არიან, მათზე პასუხისმგებლობის აღებას ვერ ბედავენ. თითოეული მათგანი თვალთმაქცურად ცდილობს მათზე პასუხისმგებლობა მოწინააღმდეგეს დააკისროს“. იხ: Romain Rolland. Above The Battle. Chicago. The Open Court Publishing Company, 1916, გვ. 42. წიგნის ელ. ვერსია იხილეთ აქ: <https://ia802604.us.archive.org/13/items/abovebattle00roma/abovebattle00roma.pdf>.

მა და პოლიტიკური პროგრამის შემადგენელი ნაწილია“.¹

კაცობრიობის ისტორიას არაერთი სისხლისმღვრელი ომი ახსოვს. პირველი მსოფლიო ომი თავისი მასშტაბითა და მონაწილეთა რაოდენობით განსაკუთრებულია მსოფლიო ისტორიაში. იგი ნამდვილ გლობალურ კატასტროფად ითვლება, რომელმაც მსოფლიოს ბედი შეცვალა. ომმა ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში ცვლილებები შეიტანა. შეიცვალა ცხოვრების სტილი. ადამიანების შეხედულებები, განწყობილება, მსოფლმხედველობა და დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრა ევროპული ცივილიზაციის მომავალი. პირველ მსოფლიო ომს გაზეთი „სახალხო ფურცელი“ „უმაგალითო ბრძოლას“ უწოდებდა და დიდ სინანულს გამოთქვამდა, რომ ასე უმონყალოდ ანგრევდა იგი ყველაფერს, რაც საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა.² უერთნალო „კლდე“ პირველ მსოფლიო ომს „მსოფლიო ტრაგედიას“ უწოდებდა.³ პარადოქსული ფაქტია, რომ პირველმა მსოფლიო ომმა იმ იმპერიების დაშლა გამოიწვია, რომლებიც ომში ჩაებნენ, რათა გაეძლიერებინათ საკუთარი სახელმწიფოები. ომმა მთლიანად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა და მას შედეგად ოთხი იმპერიის დაშლა მოჰყვა: რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და ოსმალეთის.⁴ ომი შეეხო საქართველოსაც. მან პრაქტიკულად ქართველი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ომის სიმძაფრე იგრძნობოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.⁵ პირველმა მსოფლიო ომმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოიტანა ასევე კავკასიის რეგიონშიც. ომის დასასრულსა და რუსეთის მარცხს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა მოჰყვა.⁶ ბუნებრივია, ქართული საზოგადოებაც დიდ ინტერესს იჩენდა ამ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენის მიმართ. ეს ინტერესი უმეტესწილად აისახებოდა პრესის ფურცლებზე. 1914 წლიდან გაიხსნა სპეციალური რუბრიკები, რომლებიც დაკავშირებული იყო ომის მიმდინარეობასთან.

¹ G. Murray. The Ordeal of This Generation. New York, Harper & Brothers, 1929, გვ. 29. არსებობს ბევრი ინტერპრეტაცია, ომის ფორმულირება ხდება ისეთ სლოგანებშიც, როგორცაა „ვიომოთ იმისთვის, რომ დასრულდეს ომები“, „გადავაქციოთ მსოფლიო დემოკრატიის სეიფად“ და ა.შ. იხ: Henry Kissinger. Diplomacy. New York, Simon & Schuster, 1994, გვ. 219.

² გაზ. „სახალხო ფურცელი“. №336. 1915 წლის 7 მარტი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“. გვ. 3.

³ უერთნ. „კლდე“. №32. 1914 წლის 2 ნოემბერი. რუბრიკა „ომი და ჩვენი მათიანი“, გვ. 2.

⁴ J.A.S. Grenville. A History of the World from the 20th to 21st Century. London, Routledge, 2005. გვ. 7.

⁵ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №56. 1915 წლის 9 მაისი. „ეგვც ომის ბრალი“, გვ. 1.

⁶ გაზ. „ერთობა“. №168. 1918 წლის 10 აგვისტო. რუბრიკა „ომი და მისი შედეგები“, გვ. 2.

„ომი“, „საერთაშორისო ომი“, „ომის დღიური“, „ევროპის ომის მატეანე“, „ომის ამბები“ და ა.შ.¹ ამ კუთხით ძალიან საინტერესოა ჟურნალ-გაზეთების სურათებიანი დამატებები, სადაც თავმოყრილია საბრძოლო ფრონტების რუკები, სამხედრო ტექნიკის ფოტოები, კონკრეტული ბრძოლების ადგილების ფოტოები და სხვ. ქართული პრესა ომის მიმდინარეობის გაშუქებისას სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს იყენებდა. ასე მაგალითად, ევროპული და რუსული სააგენტოების კორესპონდენციებს, ქართველ და უცხოელ პუბლიცისტთა² ვრცელ ანალიტიკურ წერილებს. ქართული პრესა ძირითადად ეყრდნობოდა შემდეგი სააგენტოების მიერ მონოდებულ ინფორმაციებს: 1) ფრანგული „ჰავასი“, 2) ინგლისური „რეიტერი“, გერმანული „ვოლფი“, 3) პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო და სხვ. იყო შემთხვევები, როცა პირდაპირ უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან იბეჭდებოდა მასალები. თუმცა გარდა ამისა, იყო მოკლე ჩანართებიც კომენტარების გარეშე. დაწერილი მშრალი და ოფიციალური ენით. როგორც წესი, ეს იყო ლაკონური რუბრიკები და უბრალოდ თანმიმდევრობით აფიქსირებდნენ ფაქტებს.³ ასეთ რუბრიკებს ერქვა „ომის მიმოხილვა“. ყოველი ახალი წლის პირველი ნომერი იწყებდა ომის წინა წლის მოკლე შეჯამებას.⁴ მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში იყო ინფორმაციის ვაკუუმი და ვერ ხერხდებოდა სააგენტოებიდან დეპეშების მიღება. ამას ჰქონდა თავისი გამომწვევი მიზეზები. ერთი მხრივ ომის სიმძაფრე, რომელიც დაეტყო პრესის გამოცემებსაც. ამის შესახებ გადმოგვცემს გაზ. „თანამედროვე აზრი“, რომლის მიხედვით: „მატულობს ქალაქის ფასი და ხშირად არც კი იშოვება ის, ძვირდება სტამბა, მუშა ხელი, გაზეთების გაგზავნა და სხვ.“⁵ მეორე მხრივ, საცენზურო კომიტეტის მკაცრი ზედამხედველობა და ომის დაწყების შემდეგ სატელეგრაფო კავშირის შეფერხებები. გაზეთ „ხმა კახეთისა“-ს, სამხედრო მიმომხილველი აღნიშნავდა, რომ ის მოკლე დეპეშებს იღებდა და შესაბამისად მცირე ინფორმაციებს აწვდიდა მკით-

¹ ნაშრომში, ქართული პრესის მასალებიდან გამომდინარე, ყველა ფაქტი მოცემული იქნება ძველი სტილით, იულიუსის კალენდრით. სხვა შემთხვევაში მითითებული იქნება ახალი სტილი – ი.ნ.

² როგორც იყო ჩარლზ რეპინგტონი. ამ უკანასკნელის შესახებ ჩვენ ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ.

³ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №176. 1915 წლის 1 მარტი. რუბრიკა „საერთაშორისო ომის კალენდარი“, გვ. 2.

⁴ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №1. 1916 წლის 1 იანვარი. რუბრიკა „ომის მიმოხილვა“, გვ. 2-3.

აქ მოკლედ გადმოცემული და შეჯამებულია 1915 წლის მოვლენები – ი.ნ.

⁵ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №591. 1915 წლის 14 მაისი. გვ. 1.

ხველებს.¹ განსხვავება იყო ღროში. ერთი მხრივ გვიან მოდიოდა ინფორმაცია, მეორე მხრივ განსხვავება იყო კალენდარში. ევროპაში მოქმედებდა ახალი დრო და საქართველოში ძველი კალენდარი.² თავის მხრივ მოქმედებდა სამხედრო ცენზურა, რომელიც კრძალავდა გადაუმონებელი ინფორმაციის გამოქვეყნებას არამართო პერიოდულ გამოცემებში, არამედ სხვადასხვა თხზულებებშიც. ამის შესახებ გვამცნობს გაზ. „საქართველო“, სადაც ვკითხულობთ, რომ ვინც დაარღვევდა ამ პირობას, „ასეთი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში 2 თვიდან 1 წლამდე დაატუსაღებენ“-ო.³ მიუხედავად საცენზურო კომიტეტის მოთხოვნისა, რომ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს ეკრძალებოდათ გარდაცვლილი ჯარისკაცების სიების დაბეჭდვა, იმ ნაწილების მითითებით, სადაც ისინი იბრძოდნენ,⁴ ქართული პრესის ფურცლებზე მაინც გვხვდებოდა ასეთი სახის ინფორმაციები. უფრო მეტიც, გაიხსნა სპეციალური რუბრიკები, ყოველდღიურ ჟურნალ-გაზეთებში სახელწოდებით „უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცები“,⁵ „ომში დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცები“⁶ და ა.შ. მიუხედავად ასეთი მკაცრი პირობებისა ჩვენამდე მოღწეული ეს მასალები არ იყო უბრალო და მშრალი ფაქტების თხრობა, არაერთ შემთხვევაში ეს იყო კარგად ანონილ-დანონილი და გააზრებული ინფორმაციები. იყო გაზეთების დახურვის მაგალითებიც და ეს ეხება განურჩევლად ყველა, როგორც უცხოურ, ისე ქართულენოვან პერიოდულ⁷ გამოცემებსაც. გაზეთ „ჩვენი აზრის“ გადმოცემით რუსეთის იმპერატორის⁸ ბრძანებით დაიხურა გაზეთი „რეჩი“.⁹ მსგავსი მდგომარეობა იყო ევროპაშიც. მაგალითად,

¹ გაზ. „*ხმა კახეთისა*“. №177. 1914 წლის 10 ივლისი. რუბრიკა „ომის დღიური“, გვ. 1.

² *მაია მაჭავარიანი*. 1914 წელი ქართულ პრესაში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005, გვ. 73.

³ გაზ. „*საქართველო*“. №155. 1917 წლის 18 ივლისი. რუბრიკა „ახალი სამხედრო ცენზურა“, გვ. 2.

⁴ *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი* (შემდგომში *სსცა*), ფ. 480, ანან. 2, ს. 964, ფურც. 10.

⁵ გაზ. „*თანამედროვე აზრი*“. №201. 1916 წლის 4 ნოემბერი. რუბრიკა „ახალი ამბები“, გვ. 1.

⁶ გაზ. „*ერთობა*“. №61. 1917 წლის 2 ივნისი. გვ. 3. თითქმის ყველა ნომერში ვხვდებით ასეთი სახელწოდების რუბრიკებს – ი.ნ.

⁷ მათ შესახებ დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ, როცა შევეხებით კონკრეტულად ამა თუ იმ პერიოდულ გამოცემას – ი.ნ.

⁸ ნიკოლოზ II (1868-1918). ამ უკანასკნელის შესახებ იხილეთ: *Who's Who – Tsar Nicholas II*. <https://www.firstworldwar.com/bio/nicholasii.htm>.

⁹ გაზ. „*ჩვენი აზრი*“. №1. 1914 წლის 22 ივლისი. რუბრიკა „დეპეშები“. გაზეთ „რეჩის დახურვა“, გვ. 2.

ასევე იხილეთ: გაზ. „*თანამედროვე აზრი*“. №16. 1915 წლის 19 მარტი. რუბრიკა „ახალი ამბები“, გვ. 3. აქ ვკითხულობთ: „17 მარტს მთავრობის განკარგულებით დაიხურა რუსული გაზეთი „ზაკავკაზ რეჩი“.

გამ. „სახალხო ფურცლის“ ცნობით, პრალაში ჩატარდა გაზეთების ფართო კონფისკაცია, რაც ზღუდავდა პრესის თავისუფალ მუშაობას.¹ საცენზურო კომიტეტის მკაცრი ზედამხედველობა შეეხო საქართველოში გამომავალ უცხოენოვან გაზეთებსაც. მაგალითად, ასე დახურეს ომის პირველივე დღეებში კავკასიის ერთადერთი გერმანულენოვანი გაზეთ „კაუკაზიშე პოსტი“,² რომელსაც პრაქტიკულად ყველა ნომერი გაუნადგურეს და უფრო მეტიც რედაქციას წაართვეს გერმანული შრიფტიც.³ მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, იმ პერიოდში პრესის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი საინფორმაციო საშუალების როლი ძალიან დიდი იყო. ჩვენამდე მოღწეულ მასალებში ჩანს ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებებიც მეომარი მხარეების მიმართ.⁴ იყვნენ გერმანოფილები, ანგლოფილები, ფრანკოფილები და ა.შ.⁵ განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. გრიგოლ ლორთქიფანიძე ფიქრობდა, რომ ანტანტა გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე სამთა კავშირი. საერთოდ ის ანგლოფილური განწყობილებისაა და ეს კარგად ჩანს მის შემდეგ სიტყვებში „დიდი მსოფლიო ომის მთავარი მოჭახრაკე და სულის ჩამდგმელი იყო ბრიტანეთი...“.⁶ გიორგი ლასხიშვილის გადმოგვცემს, რომ „საზოგადოებაში უმრავლესობა გერმანიას ემ-

¹ გამ. „სახალხო ფურცელი“. №38. 1914 წლის 15 ივლისი. რუბრიკა „ჟურნალ-გაზეთებიდან“, გვ. 2. იგივე პროცესები მიმდინარეობდა გერმანიაში, პოლონეთში და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს პროცესები ხელს უშლიდა ინფორმაციების მონოდებას და ამიტომაც იყო განპირობებული ზოგჯერ ქართულ პრესაში არსებული ინფორმაციული ვაკუუმი – ი.ნ.

² „კაუკაზიშე პოსტი“ 1906 წელს დაარსდა არტურ ლაისტის (Arthur Leist) რედაქტორობით. „*Kaukasische Post*“, №1. 1906 წლის 18 ივნისი (ახ. სტ. 1 ივლისი). გვ. 1. ასევე იხ: **ლევან ბრეგვაძე**. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე. თბ., გამომცემლობა „არტანუჯი“, 2010, გვ. 16-18. „კაუკაზიშე პოსტის“ საქმიანობის შესახებ ასევე იხილეთ: **Karl August Fischer**. Die „Kaukasische Post“. Verlag Von S. Hirzel In Leipzig. 1944. გვ. 14-27. ეს უკანასკნელი მთლიანად გაზეთის საქმიანობას ეხება.

³ ფ. 1854, ანან. 1, საქ. 164, ფურც. 205-215. დოკუმენტის ორიგინალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ **Researchgate**-ს, ელექტრონული სამეცნიერო პორტალის ჩვენს პირად მისამართზე: https://www.researchgate.net/publication/334107863_p_1854_anats_1_s_164. აქ გვინდა ერთი გარემოება აღვნიშნოთ: ჩვენს მიერ დამუშავებული საარქივო დოკუმენტების (რომელთა ელექტრონული ვერსიებიც მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (MR-18-104) ფარგლებში) ნაწილი მითითებული იქნება ელექტრონული მისამართების სახით – ი.ნ.

⁴ ამ ფაქტს რატომღაც დუმილით უვლის გვერდს ქ-ნი მაია მაჭავარიანი თავის დისერტაციაში (იხ: **მ. მაჭავარიანი**. 1914 წელი..., საუბარია მთლიანად დისერტაციაზე – ი.ნ.). ჩვენი მოკრძალებული აზრით, კარგი იქნებოდა ის საგანგებოდ შეხებოდა ამ საკითხებს და გაერჩია. ვფიქრობთ, მთავარი ეს იყო (დისერტაციაშიც) – ქართველი საზოგადოების თვალთ დახახული პირველი მსოფლიო ომი, მათი დამოკიდებულება დაპირისპირებული მხარეებისადმი, რომლებიც ძალიან კარგად სჩანს, როგორც პრესის მასალებიდან, ასევე მემუარული ლიტერატურიდანაც – ი.ნ.

⁵ **ლაშა ბაქრაძე**. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.). თბ., გამომცემლობა „პეგასი“, 2009, გვ. 23.

⁶ **გრიგოლ ლორთქიფანიძე**. ფიქრები საქართველოზე. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995, გვ. 200-201.

ბრობოდა და სრულიად დარწმუნებული იყო გერმანიის გამარჯვებაში“.¹ ქართველი საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება გერმანიის იმპერიისადმი შემთხვევითი არ ყოფილა. ვინაიდან, მხოლოდ მას შეეძლო შეესრულებინა დიდი ისტორიული მისია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში, როგორც ეს შემდგომში მოხდა კიდევ.²

პირველი მსოფლიო ომი ამოუწურავი თემაა და მასზე ბევრი კუთხით შეიძლება მსჯელობა, მაგრამ ქართული პრესის, მემუარული ლიტერატურისა და სხვადასხვა საარქივო დოკუმენტების მასალები ბოლომდე არ არის დეტალურად შესწავლილი და გარჩეული. ცხადია, ამის პრეტენზია არც ჩვენ გვაქვს და ეს იქნება ამ ვაკუუმის შევსების ერთობ მოკრძალებული მცდელობა. რა თქმა უნდა, ჩვენამდე მოღწეული ამ მასალების უკრიტიკოდ მიღება არ შეიძლება და მათდამი ძალიან ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო, მაგრამ არც მათი მიწასთან გასწორება და განქიქება იქნება სწორი. ვფიქრობთ, რომ საჭიროა ზომიერი და ფრთხილი დამოკიდებულება. ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეხება მათა მატავარიანი თავის დისერტაციაში „1914 წელი ქართულ პრესაში“, გიორგი გოცირიძე „პირველი მსოფლიო ომი და საქართველო“. ამ კუთხით ასევე საინტერესოა სხვადასხვა სამეცნიერო კრებულები. ასე მაგალითად, „პირველი მსოფლიო ომი და საქართველო“ – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები / აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2015. „ქართველები პირველ მსოფლიო ომში“ – კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გიორგი კალანდიამ. თბ., 2015. საინტერესოა სხვადასხვა სამეცნიერო სტატიები. როგორც არის, მიხეილ ზანდუკელის სტატია – „ევროპის დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგობა ახლო აღმოსავლეთში I მსოფლიო ომის წინ და ქართული პრესა“ / საისტორიო კრებული IV. თბ., 1973 და გ. შენგელიას სტატია – „მოსწავლე ახალგაზრდობა I მსოფლიო ომის პერიოდში“ / სამეცნიერო საინფორმაციო ბიულეტენი – საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო. თბ., 1982, №41-42. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ პუბლიკაციებში არის მთელი რიგი საკით-

¹ გიორგი ლასხიშვილი. მემუარები. თბ., გამომცემლობა „საქართველო“, 1992. გვ. 253.

² სსკა. ფ. 1864, ანან. 1, ფურც. 1. გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ იხილეთ: სსკა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 389, ფურც. 14-18. დოკუმენტის ორიგინალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://www.researchgate.net/publication/334108489_p_1864_anats_2_s_389_purts_14-18.

ხებისა, რომლებიც მოგვწონს და ვიზიარებთ და ასევე არის საკითხები, რომლებიც არ მოგვწონს და შეიძლება ისინი ცოტა სხვა კუთხით დასმულიყო. ჩვენი მიზანიც ეს არის, რომ წინამდებარე ნაშრომი არ იყოს უბრალოდ მშრალი თხრობა და ერთიანი ნარატივი, არამედ აქ იყოს მსჯელობა, შედარება, აწონ-დანონვა და იგრძნობოდეს პოლემისტური ტონი. ეს ყველაფერი თანდათან გასდევს კიდევ მოცემულ ნაშრომს.

თავი I. საერთაშორისო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის წინ და ქართული საზოგადოებრივი აზრი

*Si vis pacem, para bellum –
თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის*

პირველ მსოფლიო ომს წინ მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენები უსწრებდა, რომლებმაც საბოლოო ჯამში განაპირობეს ომის დაწყება. ეხებოდა რა ამ მოვლენებს გაზეტი „ერთობა“ აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულმა დიდმა ძვრებმა გამოიწვია „კაცობრიობისთვის ასეთი საშინელი და ყველაფრის დამლუპველი ომი“.¹ ვიზიარებთ ომის ასეთ ფორმულირებას. ის იყო მართლაც საშინელი და სისხლისმღვრელი მოვლენა. პირველი მსოფლიო ომი იყო „XX საუკუნის უდიდესი კატასტროფა“,² რომლითაც „დასრულდა გრძელი XIX საუკუნე და დაიწყო მოკლე XX საუკუნე“.³

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს დიდმა ილია ჭავჭავაძემ ნათლად დაინახა და განსაზღვრა ის დიდი პოლიტიკური ძვრები, რომლებიც მიმდინარეობდა ევროპაში და, რომელმაც „სულ ახალი მტერ-მოყვარეობა ჩამოაგდო ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის“.⁴ პირველი მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებს და მის წინარე პერიოდს ეხება 1915 წლის გაზ. „სახალხო ფურცელი“, რომელიც გადმოგვცემს, რომ „ვინც ევროპის ცხოვრების განვითარებას თვალყურს ადევნებდა, მიხვდება, რომ მოულოდნელი (ე.ი. ომის დაწყება – ი.ნ.) აქ არაფერია. მილიტარიზმი ისეთის შეუჩერებელი სისწრაფით ვითარდებოდა ევროპაში, რომ შეუძლებელი იყო დაგუბებული სამხედრო ენერჯია ერთხელაც არ გად-

¹ გაზ. „ერთობა“. №145. 1917 წლის 13 სექტემბერი. გვ. 1.

² **George F. Kennan**. The Decline of Bismarck's European Order: Franco-Russian Relations, 1875-1890. USA. Princeton University Press, 1979, გვ. 3. წიგნის ელ. ვერსია იხ: https://books.google.ge/books?id=CeA9DwAAQBAJ&pg=PA11&source=gbs_toc_r&cad=4#v=onepage&q&f=false ასევე იხილეთ: **Annika Mombauer**. The Origins of the First World War. Controversies and consensus. London. Longman, 2002, გვ. 3.

³ **Eric Hobsbawm**. Age of Extremes. THE SHORT TWENTIETH CENTURY 1914-1991. Great Britain. An Abacus, 1995. გვ. 3.

⁴ ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, წერილები უცხოეთზე. თბ., „სახელგამი“, 1957, გვ. 176.

მოხეთქილიყო“.¹ შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ევროპა არაერთხელ იდგა ომის საშიშროების წინაშე. „ეხლანდელ სახელმწიფოთა კავშირი (ე.ი. ანტანტა და სამთა კავშირი – ი.ნ.) დიდი ხანია დაუპირისპირდა ერთმანეთს და ამ დაპირისპირებას საბედისწერო ხასიათი ჰქონდა“.² სტატის ბოლოს საუბარია სახელმწიფოთა იმპერიალისტურ პოლიტიკაზე და სავსებით მართებულად აღნიშნულია, რომ მათმა კოლონიალურმა პოლიტიკამ გამოიწვია მსოფლიო ომი. „ეხლანდელი ომი თავისი წარმოშობით იმპერიალისტურია. თვითოეული მებრძოლი სახელმწიფოთაგანი ცდილობდა გაეფართოებინა თავისი გავლენა და გაეფრცვლებინა იგი სხვებზე. რუსეთის იმპერიალისტური ინტერესი გერმანიის აღმოსავლურ პოლიტიკასა და მის იმპერიალისტურ ინტერესს შეეჯახა, გერმანიისა – საფრანგეთისა და ინგლისისას და სხვა“. აქ გვინდა ერთი პატარა განმარტება გავაკეთოთ. ჩვენი ყურადღება მიიქცია ფრაზამ „გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკა“. როგორც ჩანს, რადგან ასე დეტალურად შეეხო ავტორი ამ თემას, მისთვის ცნობილი უნდა იყოს კიდევ ეს საკითხი, თუმცა არ მიუთითებს გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის მიმართულებებს. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი მოიცავდა ორ მიმართულებას. Ostpolitik, რომელიც მიმართული იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ბალტიისპირეთისა და რუსეთის წინააღმდეგ³ და „Orientpolitik“, რომელიც უმთავრესად ახლო-აღმოსავლური მუსულმანური სამყაროსკენ იყო მიმართული. ომი ნამდვილად იყო იმპერიალისტური. შეიძლება მას „დიდი იმპერიების ომი“-ც ვუწოდოთ, რომლებმაც ჩაითრიეს პატარა ერები. თავის დროზე ჯობეფ ჩემბერლენი შენიშნავდა, რომ „პატარა სახელმწიფოების დრო უკვე დიდი ხანია გავიდა, ახლა დიდი იმპერიების დრო დგებაო“.⁴ გაზ. „თანამედროვე აზრი“ სინანულით წერდა, რომ „იმპერიალისტები არ ფიქრობდნენ ომის საშუალებით პატარა ხალხების დაცვას“-ო.⁵ ავტორი სწორად მიუთითებს გერმანიის, რუსეთის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ინტერესების შეჯახების შესახებ. ეს განსაკუთრებით ითქმის გერმანიის იმპერიის მიზ-

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №336. 1915 წ. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“. გვ. 3.

² გაზ. „სახალხო ფურცელი“. №336. 1915 წ. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“. გვ. 3.

³ ბუნებრივია, მასში კავკასიაც მოიაზრებოდა – ი. ნ.

⁴ სხვათა შორის ჯობეფ ჩემბერლენი ლიბერალი იყო. მისი იმპერიალისტური შეხედულებების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: **William L. Strauss**. Joseph Chamberlain and the Theory of Imperialism. New York. Howard Ferting, 1971.

⁵ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №118. გვ. 2.

ნებზე, რომელიც საინტერესოდ გააუღერა იმპერიის რაიხსკანცლერმა ბერნჰარდ ფონ ბი-
ულოვმა 1897 წლის 6 დეკემბერს რაიხსტაგში სიტყვით გამოსვლისას და აღნიშნა, რომ
„გერმანიის იმპერია ითხოვდა ადგილს მზის ქვეშ“.¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“ გვთავა-
ზობს საკმაოდ საინტერესო წერილს, სადაც საუბარია გერმანიის ინტერესებზე ოსმალეთსა
და ახლო აღმოსავლეთში და მითითებულია, რომ „ინგლისში გერმანიის ოსმალეთზე
გავლენის ზრდისა ეშინიათ“ და იქვე აღნიშნულია ბალდადის რკინისგზის გაყვანის მნიშვნე-
ლობა². აქ გვინდა პატარა კომენტარი გავაკეთოთ. ამ ვრცელ რუბრიკაში უმთავრესად
სწორი აქცენტებია დასმული. ინგლისელთა ასეთი შეშფოთება, შემთხვევითი არ ყოფილა.
გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II დიდ ყურადღებას უთმობდა გერმანიის ექსპანსიას
ოსმალეთში, რადგან ის თვლიდა, რომ რუსეთთან მომავალ ომში ოსმალეთი გამოადგე-
ბოდა, როგორც სამხედრო მოკავშირე. ამ მიზნით, 1898 წელს ესტუმრა იგი კონსტანტინო-
პოლს. უფრო მეტიც, ქალაქ დამასკოში ვილჰელმ II-მ თავი ხალიფა აბდულ ჰამიდ II-ისა
და „300 მილიონი მუსლიმის მეგობრად“ გამოაცხადა³. ბალდადის რკინისგზის მნიშვნელო-
ბაზე სწორად არის ხაზი გასმული. იმპერატორის კონსტანტინოპოლში ვიზიტს შედეგად ის
მოჰყვა, რომ გერმანიის ბანკირებმა 1903 წლის 5 მარტს მიიღეს 99 წლიანი კონცესია კონი-
იდან ბალდადამდე რკინისგზის მშენებლობაზე. ეს რკინიგზა გერმანიას შეეძლო გამოეყენ-
ებინა როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისათვის. გაზ. „სოცი-
ალისტ-ფედერალისტი“ წერდა, რომ უკვე დიდი ხანია რაც ევროპა ომის ზღვარზე იდგა
და პირველი მსოფლიო ომი „ბუნებრივი და სრულიად ლოგიკური შედეგია ევროპის იმ
მდგომარეობისა, რომელიც განსაკუთრებით 1871 წლიდან დამკვიდრდა⁴ და, რომელსაც

¹ Prince Von Bülow. Imperial Germany. London, New York, Toronto and Melbourne, Cassell & Company, 1914, გვ. 19. ასევე იხილეთ: James Retallack. Imperial Germany 1871-1918 (The Short Oxford History of Germany). New York. Oxford University Press, გვ. 304. J.A.S. Grenville. A History..., გვ. 20.

² გაზ. „სახალხო ფურცელი“. №599. 1916 წლის 15 ივნისი. რუბრიკა „ომი და ახლობელი აღმოსავლეთი“, გვ. 3. ასევე იხ: „ივერია“. №14. 1904 წ. რუბრიკა „უცხოეთი“, გვ. 3.

³ 1898 წელს იმპერატორმა იმოგზაურა წმინდა მიწაზე და გზად მიმავალმა მოინახულა ოსმალეთის სულთანი აბდულ ჰამიდ II კონსტანტინოპოლში. ამის შესახებ იხილეთ: Wolf Von Schierbrand. A. Oscar Klausman. The Kaisers's Speeches. Forming A Character Portrait of Emperor William II. New York and London. Harper & Brothers, 1903. გვ. 313-322. ასევე იხილეთ: P. Cambon. Correspondence 1870-1924. 1940, გვ. 443-444. Abdel-Raouf Sinno. The Emperor's Visit to the East As Reflected In Contemporary Arabic Journalism. Beirut. 1998, გვ. 3-21. იხ. ელ.ვერსია http://www.abdelraoufsinno.com/periodicals/docum_41.pdf

⁴ ავტორი, ალბათ, გულისხმობდა „სამი იმპერატორის კავშირის“ შექმნას, რომელსაც 1873 წელს მოეწერა

შეიარაღებულ მშვიდობას ეძახდნენ“.¹ გამ. „საქართველო“ ყურადღებას ამახვილებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე და მიიჩნევს, რომ აქ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო დააჩქარეს ევროპის ორ დაპირისპირებულ ბანაკად დაყოფა და ხელი შეუწყვეს ომის წარმოშობას. „ნიადაგი ამ ომისა დიდი ხნის უთანხმოება და ინტერესების და მიზნების სხვადასხვაობა იყო დიდ ევროპის სახელმწიფოთა შორის“.²

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა აიძულა დიდი სახელმწიფოები დაეწყოთ მოკავშირეების ძებნა და გაერთიანებულიყვნენ. საბოლოო ჯამში, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა ორი სამხედრო ბლოკი: „სამთა კავშირი“ და „ანტანტა“. 1882 წლის 20 მაისს ხელმოწერილს შეთანხმებას გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და იტალიას შორის ეწოდა „სამთა კავშირი“.³ მასში შემავალი სახელმწიფოები აღუთქვამდნენ ერთმანეთს სამხედრო დახმარებას. გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ჰპირდებოდა იტალიას სამხედრო დახმარებას საფრანგეთის მხრიდან არაპროვოცირებული თავდასხმის შემთხვევაში. იგივე ვალდებულება უნდა აეღო იტალიასაც გერმანიაზე საფრანგეთის თავდასხმის შემთხვევაში.⁴ აქ გვინდა ერთ გარემოებას გავუსვათ ხაზი. ე-ნი მაია მაჭავარიანი თავის დისერტაციაში რატომღაც ძალიან ცოტას, სულ რაღაც ერთ აბზაცს უთმობს ამ საკითხებს და არ განიხილავს დეტალურად თავის ერთ-ერთ თავში სახელწოდებით „1914 წლის საერთაშორისო მოვლენები I მსოფლიო ომის დაწყებამდე ქართული პრესის ფურცლებზე“.⁵ გასაგებია, რომ ის 1914 წლის საერთაშორისო მოვლენებზე საუბ-

ხელი – ი.ნ. იხილეთ: **Raymond James Sontag**. European Diplomatic History 1871-1932. New York. ACC, 1933, გვ. 3-26. ასევე იხ: **Annika Mombauer**. The Origins of the..., გვ. 4-6.

¹ გამ. „სოციალისტ ფედერალისტი“. №14. 1918 წლის 28 ოქტომბერი. რუბრიკა „ზავის გარშემო“, გვ. 3. ავტორი ფსევდონიმით ა.წ. ეს სტატია ერთგვარად ომის შეჯამებას წარმოადგენს – ი.ნ.

² გამ. „საქართველო“. №1. 1916 წ. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 5. სტატიას ბოლოს არ ახლავს არც ავტორის სახელი და გვარი და არც მისი ინიციალი. ევროპის სახელმწიფოების ინტერესების შეჯახებამ ახლო აღმოსავლეთში ასევე გამოიწვია თავად რეგიონის პოლიტიკური რუკის ცვლილებაც – ი.ნ.

³ **J.A.S. Grenville and Bernard Wasserstein**. The Major International Treaties of the Twentieth Century. A History and Guide with Texts. Volume one. London and New York. Routledge, 2013. გვ. 38-39. წიგნის სრული ელ. ვერსია

https://books.google.ge/books?id=xf46U9qO87oC&pg=PA34&source=gbs_toc_r&cad=4#v=onepage&q&f=false
ასევე იხ: **Annika Mombauer**. The Origins of the..., გვ. 4.

⁴ იხილეთ: **Primary Documents – Triple Alliance, 20 May 1882**.
<https://www.firstworldwar.com/source/triplealliance.htm>

⁵ იხილეთ: **მაია მაჭავარიანი**. 1914 წელი..., გვ. 27. თანაც ერთ შემთხვევაში „ანტანტისა“ და „სამთა კავშირის“

რობს, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო კარგი იქნებოდა ცოტა მეტი ადგილი დაეთმო „სამთა კავშირისა“ და „ანტანტის“ შექმნის შესახებ¹, რომლებმაც 1914 წლის საერთაშორისო მოვლენების წარმართვაში დიდი როლი ითამაშეს. ერთ-ერთი პირველი გაზეთი, რომელმაც ქართულ საზოგადოებას „სამთა კავშირის“ შექმნა ამცნო იყო გაზ. „შრომა“.² საინტერესო სტატიას გვთავაზობს გაზ. „ახალი ივერია“, სადაც „სამთა კავშირის“ შექმნა გაკრიტიკებულია და აღნიშნულია, რომ „გერმანია აღმოსავლეთში თავის საქმეებს აწყობს რუსეთისა და ავსტრიის საზარალოდ. სამთა კავშირი სასარგებლოა მხოლოდ გერმანიისთვის, რადგან ხელს უწყობს მსოფლიო პოლიტიკაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს“.³ „სამთა კავშირის“ ბლოკის ასეთი მკაცრი შეფასება, ცოტა გადაჭარბებული გვეჩვენება, თუმცა არ გვიკვირს, რადგან ავტორი, როგორც ჩანს, პროანტანტური კუთხიდან უყურებს და აფასებს პროცესებს.⁴ როგორც ცნობილია, „სამთა კავშირი“ 5 წლით დაიდო და შემდგომში არაერთხელ იქნა გაგრძელებული. ბლოკმა 1915 წლამდე იარსება, როცა იტალიამ საბოლოოდ უარი თქვა პირველ მსოფლიო ომში ებრძოლა გერმანიის მხარეზე და ანტანტის მხარე დაიკავა. ამის შესახებ საინტერესო მიმოხილვით სტატიას გადმოგვცემს გაზ. „საქართველო“, საიდანაც ვიგებთ, რომ იტალიის გამოსვლას თავდაპირველად გერმანიის მხარეზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო „მისმა ლალატმა ავსტრო-უნგრეთს და მის მოკავშირეთ დიდი ზიანი მოუტანა“.⁵ სტატიაში განსაკუთრებით ხაზგასმულია იტალიელთა „ლალატი“⁶ სამთა კავშირის მიმართ და მითითებულია, რომ ამის შემდეგ ის შეტევაზეც კი გადავიდა ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგო. „მან (იტალიამ – ი. ნ.) ჯერ ავსტრო-უნ-

შესახებ ის არასწორად უთითებს 1907 წლის გაზეთ „ისარის“ ნომერს, სადაც მათ შესახებ არ არის ინფორმაცია – ი.ნ.

¹ მითუმეტეს, როცა ამის საშუალებას პრესის მასალები იძლევა – ი.ნ.

² გაზ. „შრომა“. №49. 1882 წლის 15 დეკემბერი. რუბრიკა „დეპუშები“, გვ. 4. აქ გვინდა ერთ გარემოებას გავესვათ ხაზი. ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა ყურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ერთი და იგივე შინაარსის სტატია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათი დამუშავება ძალიან რთული იყო, რადგან ქართველი პუბლიცისტები იღებდნენ ზღვა საინფორმაციო მასალებს და საჭირო იყო მათი დახარისხება და ფართო მკითხველისათვის მისაღები ფორმით მიწოდება – ი.ნ.

³ გაზ. „ივერია“. №14. 1904 წლის 20 იანვარი. რუბრიკა „უცხოეთი“, გვ. 3.

⁴ რადგან აღნიშნული სტატია 1904 წლის იანვარშია დაბეჭდილი, ავტორისთვის უკვე ცნობილი უნდა იყოს „ანტანტის“ ბლოკის შექმნის შესახებ და აქედან გამომდინარე ის შეძლებდა განესაზღვრა კიდევ თავისი პოლიტიკური ორიენტაცია, რაც ზემოთმოყვანილი ნაწყვეტიდანაც ჩანს – ი.ნ.

⁵ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №13. 1918 წლის 8 აგვისტო. რუბრიკა „უცხოეთი“, გვ. 3-4. გაზეთი 1918 წელს დაარსდა – ი.ნ.

⁶ სტილი დაცულია – ი.ნ.

გრეთს, შემდეგ კი გერმანიას გამოუცხადა ომი“.¹ ავტორი აქ თანმიმდევრობას სწორად იცავს. მართლაც იტალიამ 1915 წლის 23 მაისს ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს.² გერმანია კი იტალიის წინააღმდეგ ომში ჩაერთო მხოლოდ 1916 წლის აგვისტოში. „სამთა კავშირის“ შექმნამ პირველ რიგში რუსეთისა და საფრანგეთის ხელისუფლებები აიძულა გარკვეული ზომები მიეღოთ თავის დასაცავად. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ საბოლოო ჯამში 1904 წლის 8 აპრილს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომელსაც „Entente Cordiale“ – „გულითადი შეთანხმება“ ეწოდა.³ ყველაზე ადრე ინგლისისა და საფრანგეთის მომავალი მოლაპარაკებების შესახებ საზოგადოებას ამცნობდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“⁴ და „ივერია“⁵. ეს უკანასკნელები ჯერ კიდევ 1904 წლის მარტში წერდნენ: „საქმის კარგად მცოდნე წრეები ირწმუნებიან, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა შორის მოლაპარაკება ამჟამად დასრულდა. სავსებით შეთანხმდნენ ყველა საახალშენო და სხვა საკითხის თაობაზე, რომლითაც კი დაინტერესებული იყო ორივე სახელმწიფო. შეთანხმებას უსათუოდ ხელს მოაწერენ რამდენიმე დღის შემდეგ“.⁶ გაზ. „ცნობის ფურცელი“ მომდევნო ნომერში წერდა, რომ „საქმის მცოდნე წრეებში ნაადრევად მიაჩნიათ ის ამბავი, ვითომ ამ ცოტა ხანში ხელი უნდა მოაწერონ საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას“,⁷ მაგრამ იქვე აღნიშნავდა, რომ „ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობანი ძლიერ ცდილობენ ერთმანეთთან შეთანხმებას და დაახლოვებასო“.⁸ გაზეთის ერთ-ერთ ნომერში მოყვანილია გერმანული გაზეთის „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“⁹ წერილი, რომლითაც საინტერესო პარალელია გავლებული ამ ინგლის-საფრანგეთის

¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №13. 1918 წლის 8 აგვისტო. რუბრიკა „უცხოეთი“, გვ. 3-4.

² Peter Simkins, Geoffrey Jukes, Michael Hickey. The First World War – The War To End All Wars. Oxford, Osprey Publishing, 2003, გვ. 13.

³ Margaret Macmillan. The War That Ended Peace. How Europe Abandoned Peace for the First World War. Great Britain. PB, 2013, გვ. 167-168. ასევე იხილეთ: **Primary Documents – Entente Cordiale, 8 April 1904.** <https://www.firstworldwar.com/source/ententecordiale1904.htm>

⁴ ყოველდღიური გაზეთი გამოდიოდა 1896-1906 წლებში. 1904 წელს მისი რედაქტორი იყო ალ. ჯაბადარი.

⁵ გაზ. „ივერია“. №58. 1904 წლის 5 მარტი. რუბრიკა „დებუებები“, გვ. 4.

⁶ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2429. 1904 წლის 5 მარტი. რუბრიკა „ღამის დებუებები“, გვ. 1.

⁷ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2430. 1904 წლის 6 მარტი. რუბრიკა „დებუებები“, გვ. 1.

⁸ იქვე.

⁹ სტილი დაცულია – ი.ნ. „Frankfurter Zeitung“ – გამოდიოდა 1856-1943 წლებში. იხ: David Welch. Germany and Propaganda in World War I: Pacifism, Mobilization and Total War. London and New York. I. B. Tauris, 2014, გვ. 31-32.

მომავალ შეთანხმებასა და რუსეთ-იაპონიის ომს შორის და აღნიშნულია, რომ „ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ეხლანდელ ომის დროს (იგულისხმება რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომი – ი.ნ.) იმის მომასწავებელია, რომ რუსეთისა და იაპონიის გარდა არავინ გაერევა, ეს ომი საერთაშორისო ომად არ გადაიქცევა და ევროპას არ მოედებაო“.¹ გაზეთი ყოველდღიურად აწვდიდა მოკლე ინფორმაციებს საზოგადოებას ინგლისისა და საფრანგეთის მომავალი შეთანხმების შესახებ. ბევრი ურთიერთგამომრიცხავი დეპეშების² მიღების შემდეგ 1904 წლის 12 მარტის³ „ცნობის ფურცელი“ მკითხველს აუწყებდა „სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკება ზოგიერთი სადავო საკითხების შესახებ მალე დასრულდება. როგორც ხმა არის, გადანწყდა საკითხები ნიუთაუნდლენდის და დასავლეთ აფრიკის სამფლობელოთა შესახებ. საფრანგეთი თანახმაა უარ-ჰყოს ზოგიერთი თავისი უფლება ეგვიპტეში, მაგრამ თხოულობს, რომ ინგლისიც არ შეეცილოს მაროკოში“.⁴ მართლაც, როგორც ცნობილია, საფრანგეთმა უარი თქვა ეგვიპტის საქმეებში ჩარევაზე, ინგლისმა კი თავის მხრივ მაროკო დაუთმო საფრანგეთს⁵ მარტის ბოლო ნომერი საზოგადოებას ატყობინებდა, რომ „გამოქვეყნებულია შინაარსი საფრანგეთ-ინგლისის ახალი შეთანხმებისა. საფრანგეთი ხელს არ შეუშლის ინგლისის მოქმედებას ეგვიპტეში. თავის მხრივ, ინგლისი ნებას აძლევს საფრანგეთს დაიკვას მშვიდობიანობა მაროკოში“.⁶ ამ ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ გაზეთის რე-

¹ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2435. 1904 წლის 11 მარტი. რუბრიკა „ჟურნალ-გაზეთებიდან“, გვ. 3.

² რომლებსაც რედაქცია რუსეთის დეპეშათა სააგენტოსგან იღებდა – ი.ნ.

³ ძველი სტილით – ი.ნ.

⁴ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2436. 1904 წლის 12 მარტი. რუბრიკა „დეპეშები“, გვ. 4. №2451. 1904 წლის 30 მარტი. რუბრიკა „ღამის დეპეშები“, გვ. 4. №2452. 1904 წლის 31 მარტი. რუბრიკა „ღამის დეპეშები“, გვ. 4.

⁵ მაროკო, რომელიც ასე ძალიან აინტერესებდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს (16.XI.1917 – 20.I.1920. II მთავრობა) ჟორჟ კლემანსოს (1841-1929). ეს კარგად ჩანს მის შემდეგ სიტყვებში: „მე შეიძლება ხშირად გამოვდიოდი კოლონიური ექსპანსიის წინააღმდეგ, მაგრამ მე ყოველთვის ვაკეთებდი გამონაკლისს მაროკოსათვის“. მისი ბუნებიდან გამომდინარე მას თავისუფლად შეეძლო საჯაროდ ეთქვა ეს სიტყვები (რაც გააკეთა კიდევ). მას ხომ ზედმეტსახელად „ვეფხვს“ და „გამარჯვების მამას უწოდებდნენ“ – ი.ნ. იხ: **Carl Cavanagh Hodge**. Encyclopedia of the Age of Imperialism, 1800-1914, Volume 1&2. London. Greenwood Press, 2007, გვ. 153. წიგნის სრული ელექტრონული ვერსია იხილეთ აქ:

<https://ia801205.us.archive.org/23/items/EncyclopediaOfAgeOfImperialism18001914/Encyclopedia%20of%20Age%20of%20Imperialism%201800-1914.pdf>

ასევე იხ: **Who's Who – Georges Clemenceau** – <https://www.firstworldwar.com/bio/clemenceau.htm>

⁶ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2452. 1904 წლის 31 მარტი. რუბრიკა „ღამის დეპეშები“, გვ. 4.

დაქცია გვთავაზობს ინგლისური გაზეთის „დეილი ნიუსის“¹ აზრს² და აღნიშნავს, რომ „ამ შეთანხმებას მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ორსავე დიდებულ სახელმწიფოს დემოკრატიას დიდი ხანია ჰსურდა ასეთ პირობის დადებო. ინგლისისა და საფრანგეთის ერები ამას იქით შეიგნებენ, რომ საერთო ინტერესები და საქმეები აქვთ და ესეთი შეგნება უკეთესი თავდები იქმნება საყოველთაო მშვიდობიანობისა და ზავისა. მართალია ეს შეთანხმება ლიბერალურმა სამინისტრომ არ ჩამოავდო, მაგრამ ეს შეთანხმება მაინც ლიბერალურ პარტიის პოლიტიკის შედეგია“.³ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების⁴ შესახებ საინტერესო წერილს გვთავაზობს გაზეთი „ივერია“, რომელიც დიდი აღტაცებით აღნიშნავს, რომ „საფრანგეთ-ინგლისის მორიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეგ მორიგება თავდები იქნება იმისა, რომ დღევანდელი ომი (იგულისხმება რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომი – ი.ნ.) არ გამწვავდება“.⁵

საფრანგეთისა და ინგლისის შეთანხმების მიღწევის შემდეგ დღის წესრიგში დგებოდა ინგლისისა და რუსეთის მორიგება, რომელიც არცთუ იოლად შესასრულებელი იყო. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. ინგლისისა და რუსეთის მტრობას, როგორც ცნობილია, დიდი ხნის ისტორია აქვს და იმ პერიოდშიც დიდი ბრიტანეთის მხარს უჭერდა იაპონიას რუსეთის წინააღმდეგ 1904-1905 წლებში. მიუხედავად ასეთი დიდი წინააღმდეგობისა, 1906 წლიდან მაინც შეიქმნა კარგი პირობები ინგლის-რუსეთის დაახლოებისათვის, როცა რუსეთის საგარეო-საქმეთა მინისტრი გახდა ალექსანდრე იზვოლსკი.⁶ ეს უკანასკნელი ანტიგერმანულად იყო განწყობილი და ინგლისთან დაახლოების მომხრე იყო. ამ ნაბიჯით იგი თვლიდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა იაპონიასთან დაკავშირებული პრობლემების

¹ The Daily News (UK) – დაარსდა 1846 წელს. იხ: <http://www.rossettiarchive.org/docs/ldn.1856.raw.html>

² რომელსაც გაზეთის რედაქციაც იზიარებს. ეს კარგად ჩანს სტატიის შინაარსიდან – ი.ნ.

³ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2458. 1904 წლის 6 აპრილი. რუბრიკა „საზღვარგარეთ. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება“, გვ. 2.

⁴ საინტერესო კარიკატურა არის დაბეჭდილი „სახალხო ფურცლის“ სურათებიან დამატებაში, სადაც ჩამოთვლილია „სამთა კავშირისა“ და „ანტანტის“ შეიარაღება ხმელეთსა და ზღვაზე. იხილეთ: გაზ. „სახალხო ფურცელი. სურათებიანი დამატება“. №10. 1914 წლის 3 აგვისტო. გვ. 3.

⁵ გაზ. „ივერია“. №85. 1904 წლის 9 აპრილი. რუბრიკა „დღეპეშები“, გვ. 4.

⁶ იხილეთ ვრცლად: G.P. Gooch. Before The War. Studies in Diplomacy. Vol I. London, New York, Toronto. Longmans, Green And Co, 1936, გვ. 287-365. წიგნის სრული ელ. ვერსია: <https://ia801901.us.archive.org/8/items/in.ernet.dli.2015.2275/2015.2275.Before-The-War-Studies-In-Diplomacy-Vol-i.pdf>

გადაწყვეტაც.¹ ჯერ კიდევ 1904 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოთქვამდა ოპტიმისტურ მოსაზრებას, რომ „უკანასკნელ საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა ექნება რუსეთისა და ინგლისის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ყოველ შემთხვევაში ეს შეთანხმება უზრუნველ ჰყოფს რუსეთს, რომ ეხლანდელ ომის დროს (რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომი – ი.ნ.) ინგლისთან საქმე არ გაუმწვავდება“.² 11 აპრილის ნომერი საზოგადოებას ამცნობდა ინგლისის მთავრობის პოზიციას და განუმარტავდა, რომ „ინგლისის მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება რუსეთთან ისეთივე ხელშეკრულება დასდოს, როგორც საფრანგეთთან დასდო“.³ გაზეთის რედაქცია ფართო მკითხველს სთავაზობს ინგლისური პრესის მოსაზრებებს, რომელთა ნაწილიც ემხრობა რუსეთთან მორიგებას, ხოლო მეორე ნაწილი კი – არა. „ინგლისურ ჟურნალ „ფორნაიტლი რევიუ“-ში⁴ ერთმა ლიბერალმა⁵ წერილი დაბეჭდა და ინგლისელებს რუსეთთან შეთანხმება ურჩია. კონსერვატიულმა გაზეთ „მორნინგ პოსტ“-მა⁶ ამ წერილის პასუხად შემდეგი დასწერა: რაზე უნდა მოვურიგდეთ რუსეთს? რა ინტერესი აქვს რუსეთს დიდ ოკეანისა და სპარსეთის ყურეს ნაპირებზე? ჩვენის აზრით, ინგლისისა და რუსეთის შეთანხმება მეტად ძნელი საქმეა. ამას გარდა, ინგლისს, როგორც იაპონიის მოკავშირეს, ამ უამად არც შეუძლიან რუსეთთან შეთანხმების ჩამოგდება. ასეთ შეთანხმებას ეხლა თვითონ რუსეთიც ეჭვის თვალით შეჰხედავს („რ.ს“)⁷. ინგლისთან შეთანხმება არც თუ რუსულ გაზეთებს მოსდით ჭკუაში: თითო-ოროლას გარდა, რუსული გაზეთები თითქმის ერთხმად ამბობენ, ინგლისთან შეთანხმება ხელს არ მოგვცემსო. ინგლისი ყოველთვის ჩვენი მტერი ყოფილა და იქნებაო“.⁸ გაზეთი „ივერია“ იგივე შინაარსის სტატიებს აწვდიდა მკითხველს და მიუთითებდა, რომ „უმ-

¹ Rotem Kowner. Historical Dictionary of the Russo-Japanese War. Lanham, Maryland, Toronto, Oxford. The Scarecrow Press, 2006, გვ. 167-168.

² გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2461. 1904 წლის 9 აპრილი. რუბრიკა „ღამის დეპეშები“, გვ. 4.

³ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2463. 1904 წლის 11 აპრილი. რუბრიკა „ღამის დეპეშები“, გვ. 1.

⁴ სტილი დაცულია – ი.ნ. გაზ. „The Fortnightly Review“ – დაარსდა 1865 წელს. იხ: Laurel Brake. Marysa Demoor. Dictionary of Nineteenth-Century Journalism In Great Britain and Ireland. London. Academia and The British Library Press. 2009, გვ. 273.

⁵ რომლის ვინაობასაც არ ასახელებს ავტორი.

⁶ სტილი დაცულია – ი.ნ. „The Morning Post“ – დაარსდა 1772 წელს. იხილეთ: Laurel Brake. Marysa Demoor. Dictionary of..., გვ. X.

⁷ როიტერის სააგენტო ხო არ უნდა იგულისხმებოდეს? ჩვენი აზრით, კი – ი.ნ.

⁸ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2473. 1904 წლის 21 აპრილი. რუბრიკა „ჟურნალ-გაზეთებიდან, ხმები ინგლის-რუსეთის შეთანხმებაზე“, გვ. 2.

აღლეს დიპლომატიურ წრეებში ხმაა გავრცელებული, ინგლისის მთავრობა უარს არ იტყობდა ისეთსავე პირობით შეეკრას რუსეთსა, როგორც საფრანგეთთან შეკრაო¹.

საბოლოო ჯამში, როგორც ცნობილია, 1907 წლის 31 აგვისტოს იზვოლსკიმ და ნიკოლსონმა² ხელი მოაწერეს შეთანხმებას. იგი ეხებოდა სპარსეთს, ავღანეთსა და ტიბეტს.³ ეს საკითხები შეჯამებული არის გაზეთ „თანამედროვე აზრის“ მიერ 1916 წლის ერთ-ერთ ნომერში, სადაც აღნიშნულია ინგლის-რუსეთის შეთანხმების მნიშვნელობა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. „1907 წლის ინგლის-რუსეთის შეთანხმებით გადაწყდა ბევრი სადაო საკითხი სპარსეთის შესახებ“.⁴ ამ „სადაო საკითხში“ ავტორი უნდა გულისხმობდეს სპარსეთის სამ ზონად დაყოფას – სამხრეთ აღმოსავლეთი (ინგლისური გავლენის ზონა), ჩრდილოეთი (რუსულის გავლენის ზონა) და ნეიტრალური. ჩვენი მხრივ დავეუმატებდით იმას, რომ, როგორც ცნობილია, ამ ხელშეკრულებაში მართო სპარსეთზე არ ყოფილა საუბარი. იგი ეხებოდა ავღანეთსა და ტიბეტსაც. ავღანეთის სტატუსი⁵ უცვლელი რჩებოდა. ტიბეტის მიმართებით კი ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში. ყველა მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ ჩინეთის ხელისუფლების გავლით.⁶ „სამთა კავშირისა“ და „ანტანტის“ დაპირისპირება საინტერესოდ აისახა მემუარულ ლიტერატურაშიც. გრიგოლ ლორთქიფანიძე იხსენებდა რა ამ მოვლენებს საინტერესოდ შენიშნავდა, რომ მათ დაპირისპირებაში „უნდა გაემარჯვა და გაიმარჯვა კიდევ იმ ბანაკმა, რომელიც სჭარბობდა თავის ეკონომიური სიძლიერით, ტეხნიკითა და კულტურით. დამარცხდა ის მხარე, რომელსაც ყველაფერი ეს შედარებით სუსტი ჰქონდა. მართალია, გერმანიას საკმაოდ ძლიერი ტეხნიკა და ეკონომიკა ჰქონდა, მაგრამ ის სუსტი იყო პოლი-

¹ გამ. „ივერია“. №87. 1904 წლის 11 აპრილი. რუბრიკა „დევეშა“, გვ. 3. ამ და სხვა ნომერებში თითქმის ყველგან ხაზგასმულია, რომ ინგლისისა და რუსეთის შეთანხმება სასარგებლო იქნება ორივე სახელმწიფოსთვისო – ი.ნ.

² ინგლისის ახალი ელჩი პეტერბურგში.

³ G.P. Gooch. Harold Temperley. British Documents on the Origins of the war 1898-1914. Vol. IV. The Anglo-Russian Rapprochement 1903-1907. London. Johnson Corporation, 1929, გვ. 618-620. იხილეთ ელ.ვერსია: <https://ia800309.us.archive.org/3/items/britishdocuments04greabyu/britishdocuments04greabyu.pdf>

⁴ გამ. „სახალხო ფურცელი“. №599. 1916 წლის 15 ივნისი. რუბრიკა „ომი და ახლობელი აღმოსავლეთი“, გვ. 3. ამ სტატიას ხელშეკრულების ბევრი საინტერესო დეტალი აკლია, რაზეც ზემოთ ვსაუბრობთ კიდევ – ი.ნ.

⁵ დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც იმყოფებოდა ინგლისის გავლენის სფეროში.

⁶ J.A.S. Grenville and Bernard Wasserstein. The Major International Treaties of the Twentieth Century. Volume One. London and New York. Routledge, 2001, გვ. 45-46. ასევე იხილეთ: **Primary Documents – Anglo-Russian Entente, 1907-** <https://www.firstworldwar.com/source/anglorussianentente1907.htm>

ტიკური კულტურით და რაც უმთავრესია საერთო ჯამით გერმანია-ავსტრია-ოსმალეთ-ბულგარეთის კოალიცია მაინც გაცილებით დაბლა იდგა ანტანტასთან შედარებით“.¹ ამის შემდეგ, მაროკოს პირველი კრიზისის შესახებ ვხვდებით არაერთ საინტერესო ცნობას პრესის ფურცლებზე. როგორც ცნობილია, XX ს-ის დასაწყისში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მაროკოს კრიზისმა, რომელმაც დიდი სახელმწიფოები კიდევ ერთხელ დაუპირის-პირა ერთმანეთს, თუმცა ამჯერად ყველაფერი „მშვიდობიანად“ დასრულდა. გაზეთი „ივერია“ 1906 წელს სავესებით სამართლიანად შენიშნავდა, რომ „მაროკოს საქმემ ევროპის დღევანდელ ცხოვრების მიმდინარეობას კინალამ მშვიდობიანი კალაპოტი დაუწვია და მთელი დასავლეთი ევროპა საერთაშორისო ომის საშინელ ტალღებში გადასტყორცნა“.² როგორც ცნობილია, 1904 წ. 5 ოქტომბერს საფრანგეთმა მიაღწია შეთანხმებას ესპანეთთან მაროკოში გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ, ხოლო 1905 წლის თებერვალში მაროკოს სულთანს შესთავაზეს „რეფორმების“ პროექტი. ამასთან დაკავშირებით ცოტა ოპტიმისტურ მოსაზრებას გამოთქვამდა გაზეთის რედაქცია და აღნიშნავდა, რომ „რეფორმების პროექტი ამ ქვეყნის მშვიდობიანობის უზრუნველყოფას ეხებიან“,³ თუმცა რეალურად ეს იყო მაროკოს „ტუნისიფიკაცია“. რა თქმა უნდა, მაროკოში თავისი ინტერესები ჰქონდა გერმანიასაც, რომელმაც გადანწყვიტა საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ გამოსვლა. ამას აღნიშნავს გაზეთი „ივერიაც“ და მკითხველს აწვდის ასეთ ინფორმაციას: „გერმანიის ინტერესები შელახული იქნება მაროკოში და გერმანიის წარმომადგენლებს მაროკოში ბრძანება მიეცათ, რომ ყოველივე ძალღონე ეხმარათ საფრანგეთის რეფორმების განხორციელების წინააღმდეგ. მარტის ბოლოს ხმა გავრცელდა, რომ ვილჰელმი ტანჟერში გამგზავრებას აპირებსო და, მართლაც, ვილჰელმი და სულთანი ერთმანეთს შეხვდნენ“.⁴ იმპერატორის ტანჟერში მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში ამცნობდა ფართო მკითხველს გაზ. „ცნობის ფურცელი“, რომელიც აღნიშნავ-

¹ გრიგოლ ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე..., გვ. 200.

² გაზ. „ივერია“. №4. 1906 წ. „მაროკოს საქმე“, გვ. 12. სტატიას ბოლოში დართული აქვს ავტორის ინიციალები დ. უ-ძე. ვფიქრობთ, რომ ის დიმიტრი უზნაძე უნდა იყოს – ი.წ. მაროკოს კრიზისის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: გივი კილურაძე. ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი). თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1960.

³ გაზ. „ივერია“. №4. 1906 წ. „მაროკოს საქმე“, გვ. 12.

⁴ გაზ. „ივერია“. №4. 1906 წ. „მაროკოს საქმე“, გვ. 12.

და, რომ „იმპერატორი ვილჰელმი, როცა გიბრალტარისკენ წავა, რამდენიმე საათით ტანჟერში შეჩერდება“.¹ გერმანიის ინტერესებს მაროკოში ეხება მომდევნო ნომერი და საინტერესო ინფორმაციულ წერილს აქვეყნებს, სადაც ვკითხულობთ, რომ „გერმანია მაროკოში ადგილების დაჭერას არა სცდილობს, მხოლოდ თხოულობს, რომ არ დაირღვეს ეკონომიკური ინტერესების თანასწორობა“.² ამ „თანასწორობაში“ იგულისხმებოდა ის ფაქტი, რომ მომავალში საფრანგეთს არ გაეტარებინა მაროკოში ანტიგერმანული აქციები. სწორედ ამ მიზნით მოეწყო იმპერატორ ვილჰელმ II-ის საზღვაო ვიზიტი, რომელიც 1905 წლის 31 მარტს მისი ტანჟერში ჩასვლით დასრულდა.³ „სულთანმა, – წერდა გაზ. „ივერია“, – უარი განაცხადა საფრანგეთის წარმოდგენილ რეფორმებზე. იგი გათამამებული იყო ვილჰელმის შეპირებით“.⁴ მართლაც, სულთნისა და კაიზერის შეხვედრაზე, გერმანიის იმპერატორმა განაცხადა, რომ იგი მიესალმებოდა მაროკოს სულთანს, როგორც დამოუკიდებელ მმართველს და იქვე აღნიშნავდა, რომ აპირებდა გერმანული ინტერესების დაცვას მაროკოში. მაროკოს სულთანმა მართლაც გერმანელების წაქეზებით მოითხოვა საერთაშორისო ჩარევა რეფორმების საკითხის განსახილველად.⁵ გაზეთის რედაქცია მკითხველს ამცნობს გერმანიის კანცლერის ბიულოვის მოთხოვნის შესახებ საფრანგეთის მთავრობის მიმართ, რომ გადამდგარიყო საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასე. „საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასე, რომელიც ომის პოლიტიკას ადგა აიძულეს გადამდგარიყო“, – წერდა „ივერია“.⁶ მისი ადგილი შეითავსა პრემიერ-მინისტრმა რუვიემ. იგივე „ივერიის“ რედაქცია ოპტიმისტურად იყო განწყობილი და მკითხველს აცნობდა, რომ „რუვიეს წყალობით საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიის შესახებ კანონიერ გზას დაადგა“.⁷ გაზ. „ცნობის ფურცელიც“ ასევე ოპტიმისტურ მოსაზრებას გამოთქვამდა და აღნიშნავდა, რომ „იმედია შეთანხმება მალე მოხდება მათ შორისო“.⁸ შეთანხმება მარ-

¹ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2764. 1905 წლის 8 მარტი. რუბრიკა „დეპეშები“, გვ. 1.

² გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2765. 1905 წლის 9 მარტი. რუბრიკა „ლამის დეპეშები“, გვ. 4.

³ J.A.S. Grenville and Bernard Wasserstein. The Major..., გვ. 41.

⁴ გაზ. „ივერია“. №4. 1906 წ. „მაროკოს საქმე“, გვ. 14.

⁵ Eugene N. Anderson. The First Moroccan Crisis 1904-1906. Chicago. The University of Chicago Press, 1930, გვ. 181-195. <https://ia801605.us.archive.org/19/items/in.ernet.dli.2015.227811/2015.227811.The-First.pdf>

⁶ გაზ. „ივერია“. №4. 1906 წ. „მაროკოს საქმე“, გვ. 14.

⁷ გაზ. „ივერია“. №171. 1905 წ. რუბრიკა „დეპეშა“, გვ. 2.

⁸ გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2888. 1905 წლის 17 აგვისტო. რუბრიკა „დეპეშები“, გვ. 2.

თლაც მოხდა, როცა 1906 წ. იანვარში ალხესირასში დაიწყო მოლაპარაკებები. ალხესირასის კონფერენციას, „ივერია“¹ აფასებდა, როგორც „გერმანიის აგრესიული პოლიტიკის გამოვლინებას“. გერმანელები ალხესირასში პრაქტიკულად იზოლაციაში მოექცნენ. 1906 წლის 7 აპრილს მიღებული ტრაქტატის თანახმად მაროკო ცნეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და აქ გამოცხადებულ იქნა ყველა ერის თანასწორობა ეკონომიკურ სფეროში.² 1912-1913 წლების ბალკანეთის ომები ქართულ პრესაში მიჩნეულია, როგორც პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი და ასეთი შინაარსის სტატიებს აწვდიან მკითხველებსაც. მართლაც, ბალკანური ომები იყო პირველი მსოფლიო ომის „გენერალური რეპეტიცია“ (ხაზგასმა ჩვენია – ი.წ.) და ერთგვარი პრელუდია.³ 1914 წლის გაზეთი „აზრი“ ვრცელ ანალიტიკურ წერილს სთავაზობდა საზოგადოებას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ და აღნიშნავდა, რომ „ევროპელ დიპლომატთა მიერ ბალკანეთის ხელოვნურმა დანაწილებამ გამოიწვია დაძაბული პოლიტიკური ვითარების შექმნა“.⁴ გაზეთი დამცინავი ტონით წერდა, რომ ბალკანეთში ყველაფერი დინასტიურმა ინტერესებმა შეიწირა და გამოიწვია უფრო დიდი დაპირისპირება პირველი მსოფლიო ომის სახით. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ 1914 წელს მსჯელობდა 1912-1913 წლების ბალკანეთის ომებზე და მკითხველს შეახსენებდა, თუ როგორი მარცხი განიცადა ოსმალეთმა ბალკანეთის ომებში, როგორ განდევნეს იგი ევროპიდან. გაზეთის შეფასებით „ოსმალეთს სურს ამ ომში (იგულისხმება I მსოფლიო ომი – ი.წ.) ჩაბმით დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები“.⁵ მსჯელობის ასეთ პასაჟს იზიარებს გაზ. „იმერეთიც“. ეს უკანასკნელი ქართველ მკითხველს უხსნის, რომ „ოსმალეთს სურდა ევროპაში დაწყებული ომით ესარგებლა და რევანში მოეხდინა, ბალკანეთის ომების შედეგად დაკარგუ-

¹ გაზ. „ივერია“. №4. 1906 წ. „მაროკოს საქმე“, გვ. 14.

² შეიქმნა მაროკოს სახელმწიფო ბანკი, რომელსაც გააკონტროლებდა ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის სახელმწიფო ბანკები და რაისბანკი. ფრანგებმა და ესპანელებმა დამატებით მიიღეს უფლება საკუთარ ზონაში ეხელმძღვანელათ პოლიციისათვის. ყველაფერი ეს კი გერმანელთა მარცხს ნიშნავდა. იხ: J.A.S. Grenville and Bernard Wasserstein. The Major..., გვ. 41-42. Eugene N. Anderson. The First..., გვ. 348-396.

³ სხვათაშორის 1912-1913 წლების ომი იყო ძალიან სისხლიანი მოვლენა. იხილეთ: Richard C. Hall. The Balkan Wars, 1912-1913: Prelude to the First World War. London and New York. Routledge, 2000. გვ. 1.

⁴ გაზ. „აზრი“. №78. 1914 წლის 22 ივნისი. რუბრიკა „ბალკანეთის ნახევარკუნძულზე“, გვ. 1.

⁵ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №237. რუბრიკა „ომი და ბალკანეთის სახელმწიფო“, გვ. 2-3. გაზეთი 1914 წლის ივნისიდან გამოდიოდა ამ სახელწოდებით, ხოლო მანამდე ის „სახალხო გაზეთის“ სახელწოდებით გამოდიოდა.

ლი ტერიტორიების დაბრუნებით“.¹

ქართული გაზეთები საზოგადოებას ელზას-ლორენის პოლიტიკური სტატუსისა და ცაბერნის ინციდენტზე აწვდიან მოკლე ინფორმაციებს. 1914 წელს „სახალხო გაზეთი“ აქვეყნებს საინტერესო შინაარსის სტატიას ელზას-ლორენის შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ ამ მხარის გაგერმანელების წინააღმდეგ გერმანიის ოფიციალურ ხელისუფლებას დიდი წინააღმდეგობა ხვდება ადგილობრივი მცხოვრებლებისგან. „რაც ელზას-ლოტარინგია გერმანიის ხელშია, ამ ხნის განმავლობაში გერმანიამ ვერ შეძლო ამ კუთხის მცხოვრებთა დაახლოება და თანაგრძნობის მოპოვება“, – წერდა გაზეთი.² მართლაც კაიზერი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმა ელზას-ლოტარინგიის მიმართ შეცდომა იქნებოდა.³ შემდეგ ავტორის ცნობით, ელზას-ლორენის განსხვავებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ აიძულა გერმანიის მთავრობა 1911 წელს მიენიჭებინა მათთვის ავტონომია. „1911 წელს⁴ ამ ორ პროვინციას ცოტაოდენი ნასახი ავტონომიისა მიენიჭა, ელზას-ლოტარინგიელებს ჰსურთ დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრივი ავტონომია. მათ სურთ, რომ მოისპოს ძალით გაგერმანელება და პრუსიელ მოხელეთა თვითნებობა და განსაკუთრებული უფლებები“.⁵ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცაბერნის ინციდენტს⁶ „სახალხო გაზეთი“ და მკითხველს აცნობს, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამით წარმოჩნდება გერმანიის იმპერიის დამოკიდებულება პატარა ერებისადმი. გაზეთის რედაქცია დიდად თანაუგრძნობდა ელზას-ლორენის მოსახლეობას და აღნიშნავდა, რომ

¹ გაზ. „იმერეთი. №126. 1914 წლის 10 აგვისტო. რუბრიკა „მდგომარეობა ბალკანეთზე“, გვ. 3. „იმერეთი“ ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის გაზეთი იყო. გამოდიოდა 1912-1915 წლებში. იხილეთ: გ. ბაქრაძე. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია – 1819-1946. თბ., „ნიგნის პალატის“ გამოცემა, 1947, გვ. 12-47. გაზ. „იმერეთის“ საქმიანობის შესახებ ასევე იხ: სსცა. ფ. 13, ანაწ. 3, ს. 1451, ფურც. 23-26.

² გაზ. „სახალხო გაზეთი“. №1168. 1914 წ. რუბრიკა „უცხოეთი – ელზას-ლოტარინგია“, გვ. 4.

³ Lamar Cecil. Wilhelm II: Emperor and Exile, 1900-1941-Vol. 2. London. The University of North Carolina Press, 1996, გვ. 190.

⁴ აქ საუბარია 1911 წლის ივნისში რაიხსტაგის მიერ ელზას-ლორენისთვის ახლად მიღებულ კონსტიტუციის პროექტზე – ი.6.

⁵ გაზ. „სახალხო გაზეთი“. №1168. 1914 წ. რუბრიკა „უცხოეთი – ელზას-ლოტარინგია“, გვ. 4.

⁶ 1913 წლის ოქტომბრის ბოლოს ლეიტენანტმა ფორსტენერმა ელზასელები შეურაცხმყოფელი ტერმინებით მოიხსენია და თავის სამხედროებს უბრძანა წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში დაეხოცათ ისინი. ამან დიდად აღაშფოთა მშვიდობიანი მოსახლეობა და გამოიწვია მათი შეტაკება ოფიცრებთან. იხ: Lamar Cecil. Wilhelm II., გვ. 189-192. ასევე იხ: James W. Gerard. My Four Years In Germany. New York. Grosset & Dunlap, 1917, გვ. 59-70. ასევე იხ: ვაჟა ჩოჩია. გერმანია პირველი მსოფლიო ომის წინ. 1909-1914. თბ., გორის უნ-ტი, 2008, გვ. 128.

„ცაბერნის ინციდენტი საყურადღებოა აგრეთვე მეორე მხრით: თუ წინააღმდეგობა დამოკიდებული
ერები ხმის ამოღებას ვერ ჰბედავდნენ, როდესაც მათ ეროვნულ გრძნობებს შეურაცხყოფ-
დნენ, ახლა სახელმწიფოებმა ცალკე ეროვნებათა მდგომარეობას მეტი ყურადღება უნდა
მიექციონ“-ო.¹

¹ გაზ. „სახალხო გაზეთი“. №1109. 1914 წლის 6 თებერვალი. რუბრიკა „უცხოეთის მიმოხილვა“, გვ. 4.

თავი II. 1914 წელი ქართულ ნარატიულ წყაროებში

ომს ყოველთვის გმირობათა
და ჭრილობათა სიდიადე წარმოაჩენს
ნინო ჯორჯაძე, 1916 წ.

1914 წელი თავისი უმნიშვნელოვანესი მოვლენებით აისახა ქართულ პრესასა თუ მე-მუარულ ლიტერატურაში. ვერავინ წარმოიდგინა, რომ 1914 წელს დაწყებული ომი ასეთი ხანგრძლივი იქნებოდა. გაზ. „სახალხო ფურცელი“ აღნიშნავდა, „ომის დასაწყისში ყველას ეგონა, რომ საქმე რამდენიმე თვეში გადაწყდებოდა და ომი გათავდებოდა, მაგრამ ომი გაჭიანურდა“.¹ ამას თვით გერმანიის კაიზერიც ვერ წარმოიდგენდა. ეს უკანასკნელი 1914 წლის აგვისტოში თავის ჯარისკაცებს მიმართავდა „თქვენ შინ მანამდე დაბრუნდებით, სანამ ფოთოლუცვენა დაიწყება“.²

პირველი მსოფლიო ომის მოსალოდნელ მოახლოებას ჯერ კიდევ 1914 წლის მარტის თვეში ელოდნენ ქართული პრესის ფურცლებზე. იმ დროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით³ „ბათუმის გაზეთი“ მკითხველს აუწყებდა, რომ „ომი იქნებოდა ზოგად ევროპული, საერთაშორისო და არა მხოლოდ ორთა შუა“.⁴ ქართულ პრესაში ერთხმად აღნიშნულია, რომ მეომარი სახელმწიფოები დიდი ხანია ემზადებიან და გამალებული შეიარაღება მიმდინარეობს. გაზ. „ჩვენი ერი“ საინტერესო მიმოხილვით სტატიას აწვდის ფართო საზოგადოებას და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ევრო-

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №596. 1916 წლის 11 ივნისი. რუბრიკა „ომი და ახლობელი აღმოსავლეთი“, გვ. 3.

² **Barbara W. Tuchman.** The Guns of August. New York. Toronto. London. Sydney. Auckland. Bantam Books, 19162, გვ. 142. ეს ფრაზა სხვადასხვა ინტერპრეტაციით გვხვდება სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევაში – ი.წ. მაგალითად, იხ: **John H. Maurer.** The Outbreak of the First World War: Strategic Planning, Crisis Decision Making and Deterrence Failure. London. Praeger, 1995, გვ. 3. **Никитинский Сафинов.** Немецкий шпионаж в России во время войны 1914-1918. Москва, 1942, გვ. 33-34.

³ განსაკუთრებით ეს ეხება რუსეთ-გერმანიის „საგაზეთო ომს“, რომელიც ქართულ პრესაში აქტიურად შექდებოდა. მაგალითად, იხილეთ: გაზ. „სახალხო გაზეთი“. №1128. 1914 წ. რუბრიკა „რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულებანი“, გვ. 4. №1129. რუბრიკა „რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულებანი“, გვ. 4. №1130. რუბრიკა „რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულებანი“, გვ. 4. გაზ. „ბათუმის გაზეთი“. №19. 1914 წ. რუბრიკა „გერმანელი შოვინისტები“, გვ. 1 და ა.შ.

⁴ გაზ. „ბათუმის გაზეთი“. №21. 1914 წლის 13 მარტი. რუბრიკა „ომის მზადება მშვიდობიანობისთვის“, გვ. 1. ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა 1911-1914 წწ. (1913 წლიდან კვირაში ორჯერ). იხ: **გ. ბაქრაძე.** ქართული პერიოდიკის..., გვ. 12-47. ასევე გაზეთის საქმიანობის შესახებ იხ: *სსსა.* ფ. 480, ანაწ. 2, ს. 1046, ფურც. 4-7.

პის სახელმწიფოებმა სამხედრო შეიარაღებაზე საჭირო ხარჯები გაზარდეს. „სამთა შეთანხმების (იგულისხმება ანტანტა – ი.წ.) და სამთა კავშირის სახელმწიფოებმა ბოლო 30 წლის განმავლობაში სამხედრო შეიარაღებაზე 62 მილიარდი მანეთი დახარჯეს. ეს ხარჯები თანდათან იზრდება და სად არის იმის გარანტია, რომ მომავალში ეს ხარჯები შემცირდება“.¹ ამ მხრივ საინტერესოა ინგლის-გერმანიის საზღვაო შეიარაღების გამაღებელი ზრდა. ეს ფაქტიც არ დარჩენილა ყურადღების მიღმა და მან თავისი ასახვა ჰპოვა გაზ. „საქართველოს“ ფურცლებზე. რედაქცია ცდილობს შეადაროს გერმანიისა და ბრიტანეთის საზღვაო ძალები და აკეთებს ასეთ დასკვნას „გერმანული სამხედრო ფლოტის განვითარებამ ძალთა ურთიერთობა შეარყია ომის წინა წლებში. რაოდენობით ინგლისის ფლოტს ვერ გადააჭარბა, მაგრამ გვერდში ამოუდგა სისწრაფით და იარაღის სიძლიერით“.² ვიზიარებთ ავტორის მსჯელობას, როცა ის წერს, რომ ბრიტანეთი დაატრთხო გერმანული ღრედნოუტებისა და წყალქვეშა ნაგების წარმოშობამ. ბრიტანეთში შესანიშნავად იცოდნენ, რომ გერმანიის ეს ღონისძიებები მიმართული იყო ზუსტად მათ წინააღმდეგ და ემუქრებოდა ბრიტანეთის ბატონობას ზღვაზე. ზღვაზე ბატონობის დაკარგვა კი კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა ბრიტანეთისთვის. შემთხვევითი არ იყო ინგლისელთა ასეთი შეშფოთება. ამიტომაც საადმირალოს პირველი ლორდი ადმირალი ფიშერი აცხადებდა: „ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ვიძინოთ ჩვენს საწოლში, ვიდრე ჩვენი ფლოტი უძლეველია“.³ ასეთმა წინაპირობებმა და გამაღებულმა შეიარაღებამ კაცობრიობა მანამდე არნახულ მსოფლიო ომამდე მიიყვანა, რომელმაც ძალიან დიდი მსხვერპლი მოიტანა თან. „აღსრულდა, მოხდა ის, რასაც მთელი განათლებული კაცობრიობა კარგა ხანია შიშითა და თრთოლვით მოელოდა. დაიწყო დიდი, ჯერ ისტორიაში გაუგონარი, უმაგალითო ომი, რომელმაც თითქმის მთელი კაცობრიობა აამოძრავა და საშინელებაში ჩააგდო“, –

¹ გაზ. „ჩვენი ერი“. №26. 1914 წლის 19 აპრილი. წერილი „მილიტარიზმი“, გვ. 3. ყოველდღიური საპოლიტიკო გაზეთი გამოდიოდა 1914 წელს, ქუთაისში. იხ: გ. ბაქრაძე. ქართული პერიოდიკის..., გვ. 12-47. სსცა. ფ. 480, ანან. 2, ს. 984, ფურც. 1-5.

² გაზ. „საქართველო“. №34. 1917 წლის 14 თებერვალი. რუბრიკა „ინგლისი და გერმანეთი“, გვ. 1-2. ავტორი ფსევდონიმით ვ. ლელიანი. იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლის – გერმანიის საზღვაო დაპირისპირებას, რომ გაზეთში პირდაპირ იხსნება ასეთი რუბრიკა „ინგლისი და გერმანეთი“.

³ David Lloyd George. War Memoirs Volume I. London. Odhams Press, 1938, გვ. 58. სრული ელ. ვერსია იხ: <https://ia800501.us.archive.org/18/items/warmemoirsvolume035284mbp/warmemoirsvolume035284mbp.pdf>

იხსენებდა გიორგი ლასხიშვილი.¹

§2.1. სარაევოს მკვლელობა და ქართული საზოგადოების რეაქცია

სარაევოს გასროლა იქცა პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბად. მან, უპირველეს ყოვლისა, დიდი გამოხმაურება ჰპოვა პრესის ფურცლებზე, სადაც თითქმის ყოველდღე იბეჭდებოდა სხვადასხვა შინაარსის წერილები. უმეტესწილად ისინი ორიენტირებულები იყვნენ ინფორმაციის მიწოდებაზე და ერიდებოდნენ რაიმე პროგნოზის გაკეთებას, რადგან არავინ იცოდა მოვლენები როგორ განვითარდებოდა და რა გავლენას მოახდენდა სარაევოს გასროლა ევროპის პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობაზე.² პირველი გაზეთი, რომელმაც სარაევოს გასროლის შესახებ საკმაოდ საინტერესო შინაარსის სტატია მიანოდა მკითხველს იყო 18 ივნისის (ძველი სტილით – ი.ნ.) გაზეთი „აზრი“,³ რომელიც დიდ მწუხარებას გამოთქვამდა სარაევოში მომხდარი მკვლელობის შესახებ და იქვე მიუთითებდა, რომ „მკვლელობა პოლიტიკური მიზნით უნდა იყოს გამოწვეული“.⁴ 19 ივნისის (ძველი სტილით – ი.ნ.) „სახალხო ფურცელი“ განიხილავს ნედელკო ჩაბრინოვიჩის მიერ გასროლილი ყუმბარის შემთხვევას, რომელიც ფრანც-ფერდინანდის კაბრიოლეტიდან ასხლტა და მის უკან მომყოლი ავტომობილის ქვეშ აფეთქდა. „ცაბრინოვიჩის მიერ გადასროლილი ყუმბარა შინაურულადაა დამზადებული და როგორცა ჩანს შესდგებოდა ლურსმნითა, ქვების ნამტვრევებითა და ასაფეთქებელ მასალით გატენილი ბოთლისა-

¹ გიორგი ლასხიშვილი. მემუარები..., გვ. 252.

² თუმცა გაზეთებისგან განსხვავებით, ჟურნალები ცდილობდნენ ანალიტიკური შინაარსის წერილები მიეწოდებინათ მკითხველებისთვის და ჰქონოდათ მკაფიოდ საკუთარი პოზიცია. იხ: მაია მაჭავარიანი. 1914..., გვ. 45.

³ და არა 28-29 ივნისის გაზ. „სახალხო ფურცელი“, როგორც ამას შეცდომით მიუთითებს ქ-ნი მაია მაჭავარიანი თავის დისერტაციაში – ი.ნ. იხ: მაია მაჭავარიანი. 1914..., გვ. 45. თანაც ის ამ მკვლელობასთან დაკავშირებით „სახალხო ფურცლის“ სულ 4 ნომერს განიხილავს, რაც, ვფიქრობთ, რომ ძალიან ცოტაა. მაშინ, როცა ივნისის თითქმის ყველა ნომერი საგანგებოდ ეხებოდა ამ მოვლენას – ი.ნ.

⁴ გაზ. „აზრი“. №74. 1918 წლის 18 ივნისი. რუბრიკა „უცხოეთი. ერც-ჰერცოგის მკვლელობის შესახებ“, გვ. 2. მოგვიანებით ფრანც-ფერდინანდის ფოტოც კი დაიბეჭდა „სახალხო ფურცლის სურათებიან დამატებაში“ – ი.ნ. იხ: „სახალხო ფურცელი. სურათებიან დამატება“. №112. 1916 წლის 17 ივლისი, გვ. 3.

გან“¹ – აღნიშნავდა გაზეთი. ამის შემდეგ ფერდინანდმა რატუშაში² სიტყვით გამოსვლა ვერ შეძლო. „ამბობენ, რომ როდესაც ჰერც-ჰერცოგი ბოროტმოქმედების შემდეგ რატუშას მიუახლოვდა, ქალაქის მოურავს (ქალაქის მერს – ი.ნ.) უთხრა: „სარაევოს სტუმრად ვენვიეთ და ყუმბარებს კი გვესვრიანო. შემდეგ ისინი ჩასხდნენ ავტომობილში და ლაზარეთისაკენ გაემართნენ.“ – წერდა „სახალხო ფურცელი“.³ სწორედ სარაევოს ერთ-ერთი საავადმყოფოსაკენ მიმავალ გზაზე შენიშნა ფერდინანდის ავტომობილი იმავე ქუჩაზე მალაზიაში მყოფმა გავრილო პრინციპმა და გაისროლა ჯერ ფეხმძიმე სოფისკენ და შემდეგ ფერდინანდისკენ. ორივე გასროლა სასიკვდილო აღმოჩნდა. ამ მკვლელობამ ქართული საზოგადოება ძალიან აღაშფოთა. 28 ივნისის „სახალხო ფურცელი“ წერდა, რომ „ავსტრიის ერც-ჰერცოგის ფრანც ფერდინანდისა და მისი მეუღლის⁴ ამ მკვლელობას უმთავრეს მიზეზად პოლიტიკურ სარჩულს ასახელებენ“. რედაქცია ცდილობს გაანალიზოს ამ მკვლელობის შედეგები და აღნიშნავს, რომ სარაევოს გასროლამ გამოიწვია დიდი არეულობა ავსტრიასა და სერბეთში.⁵ რუბრიკის შემდეგ ნაწილში გაზეთი ცდილობს ფართო წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს ფრანც ფერდინანდის შესახებ და სთავაზობს საზოგადოებას მის ვრცელ ბიოგრაფიას. ამ საკმაოდ მოცულობითი და შინაარსიანი სტატიის ნაწილიდან გამოვყოფდით ერთ საინტერესო დეტალს, რომელიც ეხებოდა ფრანც-ფერდინანდის პოლიტიკურ იდეალს. „ფრანც ფერდინანდი იყო შემქმნელი და სულის ჩამდგმელი დიდებული ავსტრიის იდეისა. სურდა მონარქიის ქუცმაც ნაწილების დუღაბით შეკონინება. ამ გზაზე მას არ ეთანხმებოდნენ ის ეროვნებანი, რომელთაც სრულებითაც არ ჰსურდათ ხელი აეღოთ თავიანთ ეროვნულ-კულტურულ უფლებებზე. უმთავრესად სერბიელები. ფრანც ფერდინანდი გულმოდგინე მომხრე იყო სამთა კავშირისა, დიდის ნდობით ეკ-

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №16. 1914 წლის 19 ივნისი. რუბრიკა „დეპეშები“, გვ. 4.

² როგორც ცნობილია ახალი სტილით 28 ივნისს ფრანც ფერდინანდი მეუღლე სოფისა და თანხმლებ პირებთან ერთად სარაევოში ჩამოვიდა. მათ უნდა დაეთვალიერებინათ ქალაქი. სწორედ აქ მოხდა ის საბედისწერო გასროლა.

³ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №16. 1914 წლის 19 ივნისი. რუბრიკა „დეპეშები“, გვ. 4

⁴ თვითმხილველთა ცნობით, ფრანც ფერდინანდს სიკვდილის წინ ასე მიუმართავს სოფისტვის: „სოფი, სოფი! არ მოკვდე. იცოცხლე ჩვენი შვილებისთვის“. იხ: **Primary Documents – Archduke Franz Ferdinand's Assassination, 28 June 1914** – <https://www.firstworldwar.com/source/harrachmemoir.htm>. ასევე იხ: **Luigi Albertini. The Origins of the War of 1914. Vol. II. London, New York and Toronto. Oxford University Press, 1953, გვ. 37-38.**

⁵ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №24. 1914 წლის 28 ივნისი. სარედაქციო წერილები, გვ. 3 და №25. 1914 წლის 29 ივნისი. სარედაქციო წერილები, გვ. 4.

იღებოდა გერმანიას, განსაკუთრებით კი თვითონ იმპერატორ ვილჰელმს, ჰერცოგს არ უყვარდა უნგრელები და მტრულად ეკიდებოდა სერბიელებს“.¹ მართლაც, ფრანც-ფერდინანდი მხარს უჭერდა იმპერიის ე.წ. ტრიალიზმის გეგმას. ამ უკანასკნელის თანახმად, დუალისტური ავსტრია-უნგრეთის იმპერია უნდა გარდაქმნილიყო ტრიალისტურ ავსტრო-უნგრულ-სლავურ იმპერიად.² გავრილო პრინციპის შესახებ „სახ. ფურც.“ წერს, რომ ის „17 წლისაა და სიკვდილით დასჯას ვერ გადაუწყვეტენო“.³ აქ პატარა უზუსტობაა. ის არა 17-ის, არამედ 19 წლის იყო და მართლაც სასიკვდილო განაჩენს ვერ გამოუტანდნენ. ავსტრია-უნგრეთის კანონით, სრულწლოვანების ასაკად 21 წელი ითვლებოდა და ამიტომ მას ოცწლიანი პატიმრობა შეეფარდა და ტერეზიენშტადტის ციხეში 1918 წლის 28 აპრილს ჭლექით⁴ დაავადებული გარდაიცვალა.⁵ ამ საზარელ მკვლელობას „სახალხო ფურცელი“ სერბიის მთავრობას აბრალებდა და იქვე განმარტავდა გაზეთის ასეთ პოზიციას. „რადგანაც მკვლელები სერბიელები იყვნენ, მითქმა-მოთქმა გაჩნდა, რომ ეს საქმე სერბიის მთავრობის ხელმძღვანელობით იყო მოწყობილიო“.⁶ მკვლელობასთან დაკავშირებით, როგორც 19 ივნისის „სახ. ფურც.“ გადმოგვცემს ვენაში მოხდა ანტისერბული დემონსტრაციები და „ქალაქიდან სერბიელები მიდიან, რადგან ძალმომრეობისა ეშინიათ“.⁷ გაზეთ „აზრის“ თქმით ავსტრია-უნგრეთის მოხუც იმპერატორს ფრანც იოზეფს უამრავი დეპუშები გაუგზავნეს, რომლებიც გამოთქვამდნენ დიდ მწუხარებას სარაევოში მომხდარი ბოროტმოქმედების გამო.⁸ გაზეთის რედაქცია ცდილობს ქართველ საზოგადოებას საერთაშორისო პრესის მასალებიც მიანოდოს და ამ მიზნით ის ბეჭდავს „ბერლინერ ტაგებლათის“⁹ აზრს მკვლელობასთან დაკავშირებით. „ჰერც-გერცოგი შეიქნა მსხვერპლი სერბიის

¹ იქვე.

² **Hew Strachan.** The First World War. Volume I: To Arms. Oxford. Oxford University Press, 2001, გვ. 37-43. ასევე იხ: **Luigi Albertini.** The Origins., გვ. 11-17.

³ სტილი დაცულია – ი.ნ. გაზ. „სახალხო ფურცელი“. №24. 1914 წლის 28 ივნისი. სარედაქციო წერილები, გვ. 3

⁴ მის ამ დაავადებას აღნიშნავდა „სახალხო ფურცელიც“. იხ: გაზ. „სახალხო ფურცელი“. №24. 1914 წლის 28 ივნისი. სარედაქციო წერილები, გვ. 3.

⁵ **Who's Who – Gavrilo Princip** . იხ: <https://www.firstworldwar.com/bio/princip.htm>

⁶ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №25. 1914 წლის 29 ივნისი. სარედაქციო წერილები, გვ. 4.

⁷ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №16. 1914 წლის 19 ივნისი. რუბრიკა „დეპუშები“, გვ. 4.

⁸ გაზ. „აზრი“. №75. 1918 წლის 19 ივნისი. რუბრიკა „უეხოეთი“, გვ. 2.

⁹ დაარსდა 1872 წელს.

წინააღმდეგ მიმართული ავსტრო-უნგრეთის პოლიტიკისო“.¹ გაზეთის რედაქცია იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ფრანც-ფერდინანდი იმპერიალისტური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა.

სარაევოს მკვლელობას იხსნებს დავით კლდიაშვილი. ის თავის მემუარებში წერდა: „ცხრაას თოთხმეტი წელი მეტად აღელვებით მიმდინარეობდა. ყველა რალაც უბედურების მოლოდინში იყო და უბედურებით დათავდა კიდევ. სარაევოში ავსტრიის კრონ-პრინცის ფერდინანდის და მისი მეუღლის მოკვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ იფეთქა საერთო ომმა“.²

„ბათუმის გაზეთი“ საინტერესო ბიოგრაფიულ წერილს აწვდის ფართო მკითხველს, სადაც აცნობს ფრანც-ფერდინანდის წარმომავლობას. მისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს. გაზეთიც აღიარებს იმ ფაქტს, რომ ეს მკვლელობა შედეგი იყო პრინცის იმპერიალისტური პოლიტიკის.³ ძალიან დეტალურად გადმოგვცემს ფრანც-ფერდინანდისა და მისი მეუღლის მკვლელობას გაზეთი „იმერეთი“, რომელიც ამ ფაქტთან დაკავშირებით ხსნის სპეციალურ რუბრიკას „ჰერც-ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის და მისი მეუღლის მოკვლა“.⁴ გაზეთი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გავრილო პრინციპს „დიდი ხანია ვინმე მაღალი წოდების პირის მოკვლა სურდა ეროვნული მოტივების მიხედვით“-ო.⁵ საინტერესო სტატიას სთავაზობს მკითხველს გაზეთი „თემი“, სპეციალურ რუბრიკაში „ავსტრია-სერბიის ომის მიზეზები“ განხილულია ომის მიზეზები და სავსებით სამართლიანად აღნიშნულია, რომ ავსტრია-უნგრეთისა და თვით სერბეთის შიგნით არსებულმა პოლიტიკურმა და ეთნიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია ომი. ასევე რუბრიკის ავტორი ფსევდონიმით „სანქანი“ ხაზს უსვამს ფრანც-ფერდინანდის იმპერიალისტურ მიზნებს, რომლის თანახმადაც „დუალისტური იმპერიის ნაცვლად უნდა შექმნილიყო ტრიალისტური ავსტრია-უნგრეთის იმპე-

¹ სტილი დაცულია. სტატიას ეტყობა, რომ ის რუსულიდან არის გადმოთარგმნილი – ი.ნ. იბ: გაზ. „აზრი“ №75. 1918 წლის 19 ივნისი. რუბრიკა „უცხოეთი“, გვ. 2

² დავით კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1961. გვ. 226.

³ გაზ. „ბათუმის გაზეთი“. №48. 1914 წლის 19 ივნისი. სარედაქციო წერილი, გვ. 2. №52. 1914 წლის 3 ივლისი. „ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრენი“, გვ. 3-4.

⁴ გაზ. „იმერეთი“. №83. 1914 წლის 19 ივნისი. გვ. 3.

⁵ იქვე.

რია“.¹ ომის გაჩაღების ასეთ მოტივებს იზიარებს გაზეთი „ახალი აზრიც“, რომლის მიხედვით, „ფრანც-ფერდინანდი სიცოცხლეში მთელი ევროპისთვის ომის ემბლემა იყო, მოკვდა და ომის საბაბი შეიქმნა“.² გაზეთი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტურ მიზნებს წინ აღუდგა ბალკანეთის ომების შედეგად გაძლიერებული სერბეთის ეროვნული ინტერესები. ჟურნალი „კლდე“ ხსნის სპეციალურ რუბრიკას „ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა“, სადაც მკითხველს უხსნის ფრანც-ფერდინანდის პოლიტიკურ კრედოს და მიუთითებს მის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე. „როგორც ტახტის მემკვიდრეს, – წერს ჟურნალი, – ფრანც-ფერდინანდს დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოს უმაღლეს და სამხედრო წრეებში. იგი ხელმძღვანელობდა ომის პარტიას, რომელიც მიზნად ისახავდა ავსტრიული დიდმპყრობელური პოლიტიკის გატარებას“.³ ჟურნალის რედაქცია თანაუგრძნობდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სლავური წარმომავლობის ერებს და თვლიდა, რომ ეს მკვლელობა ნაციონალურ უკმაყოფილებაზე იყო აღმოცენებული და ჩაბრინოვიჩი და გავრილო პრინციპი უბრალოდ ამ უკმაყოფილების გამომხატველი „იარაღი“ იყო. ავტორი ცხადია, შემთხვევით არ მიგვანიშნებდა ამ პატარა ერების პრობლემებზე, რადგან ქართულ საზოგადოებაში ეს საკითხები ყოველთვის დიდ ინტერესს და აღელვებას იწვევდა.

ამ მკვლელობას გვერდი ვერ აუარა იუმორისტულმა ჟურნალმა „მათარახმაც“, რომელიც იზიარებს ჟურნალ „კლდის“ პოზიციას.⁴ ისტორიულ ექსკურსს ატარებს და 1912-1913 წლების ბალკანეთის ომებს მიმოიხილავს, სადაც ჟურნალი აღნიშნავს, რომ „ავსტრია-უნგრეთმა ამ ომში დიდი ლუკმის შოვნა ვერ შეძლო და მას კი რომელიმე პატარა სახელმწიფოს უმეტესწილად სერბეთის გადაყლაპვა და თავის პროვინციად გარდაქმნა სწყუროდა“.⁵ რუბრიკის ავტორი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ აუტანელ მდგომარეობაზე, რაც ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ სერბეთისათვის და სხვა პატარა ერებისთვის

¹ გაზ. „თემი“. №185. 1914 წლის 21 ივლისი. რუბრიკა „ავსტრია-სერბიის ომის მიზეზები“. წერილი ფსევდონიმით „სან-ქანი“ (სანდრო ეულ-ქერიძე), გვ. 2.

² გაზ. „ახალი აზრი“. №3. 1914 წლის 15 ივლისი. რუბრიკა „კიდევ ომი“, გვ. 1.

³ ჟურნ. „კლდე“. №25. 1914 წლის 22 ივლისი. რუბრიკა „ფრანც ფერდინანდის მკვლელობა“. ავტორი ფსევდონიმით „მეომარი“, გვ. 14-15.

⁴ ჟურნ. „მათარახი“. №27. 1914 წლის 27 ივლისი. რუბრიკა „ომი“. გვ. 2.

⁵ იქვე.

შექმნა. მსჯელობის მსგავს პოზიციას იზიარებს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ და საინტერესო შინაარსის სტატიას სთავაზობს მკითხველს სათაურით „ომიანობა“. ავტორი ფსევდონიმით „ს. დ. ანი“ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის აგრესიული პოლიტიკის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ეს იმპერიები ხელოვნურად შექმნილი იყვნენ და ერთგვარად წინასწარმეტყველურად კითხულობს: „ხომ არ დამდგარა უკანასკნელი ჟამი ჰაბსბურგთა დინასტიისა და საერთოდ გერმანიის ძლიერებისა?“. ავტორი თანაუგრძობს პატარა სერბეთის მძიმე მდგომარეობას და იქვე ყურადღებას ამახვილებს რუსეთის მიერ სერბეთისათვის მხარდაჭერაზე, მაგრამ იქვე სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს მხარდაჭერა არ იქნება უანგარო, რადგან „რუსეთს დიდი ხანია აქვს თავისი იმპერიული ინტერესები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე“.¹

§2.2. „ივლისის კრიზისი“ ქართული პრესის ფურცლებზე

1914 წლის 28 ივნისიდან (სარაევოს ინციდენტიდან) პირველი მსოფლიო ომის ოფიციალურ დასაწყისამდე (1914 წლის 4 აგვისტომდე) პერიოდი ცნობილია, როგორც „ივლისის კრიზისი“.² ამ პროცესებმა თავისი ასახვა ჰპოვა ქართულ პრესაშიც. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ე-ნ მაია მაჭავარიანს, როცა ის წერს, რომ „ქართულ პრესაში „ივლისის კრიზისმა“, თავად ივლისის თვეში დროული და სათანადო ასახვა ვერ ჰპოვაო“,³ პირიქით ივლისის ყველა ნომერი საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა ქართულ საზოგადოებას ამ მოვლენის შესახებ. ამ პერიოდში პრესის მუშაობას დიდი სირთულეებიც ახლდა თან. პირველ რიგში, ეს ეხებოდა საცენზურო კომიტეტის საქმიანობას, რომელიც ამ პერიოდში განსაკუთრებით მკაცრად აკონტროლებდა მათ. ქართველ საზოგადოებას პირველ ცნობას

¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №21. 1914 წლის 27 ივლისი. რუბრიკა „ომიანობა“. გვ. 7. რუბრიკა „ომი“. ავტორი ფსევდონიმით „ს. დ. ანი“, გვ. 7.

² Feature Articles – The July Crisis. იხ: <https://www.firstworldwar.com/origins/julycrisis.htm>

³ იხილეთ: მაია მაჭავარიანი. 1914 წელი..., გვ. 54. აქ ის წინააღმდეგობაში ვარდება, როცა იმავე გვერდზე მიუთითებს, რომ „ივლისის კრიზისის“ შესახებ გაზეთები (ვცითირებ- ი.ნ.) „პირველი ინფორმაციის მიწოდებას იწყებენ 13 ივლისიდან...“. თანაც ე-ნ მაია იმავე გვერდზე არასწორად მიუთითებს, რომ „ივლისის კრიზისმა“ ქართულ ჟურნალებში თავისი ასახვა ვერ ჰპოვაო. ეს ასე არაა და ჩვენ საგანგებოდ შევხებით ქართული ჟურნალების მასალებსაც. ამიტომაც დავასათაურეთ ეს პარაგრაფი ასე: „ივლისის კრიზისი“ ქართული პრესის ფურცლებზე – ი.ნ.

ავსტრია-უნგრეთის ულტიმატუმის შესახებ სერბეთის წინააღმდეგ აწვდის 13 ივლისის (ძვ. სტ. – ი.წ.) გაზ. „სახალხო ფურცელი“, რომელიც ამ ფაქტთან დაკავშირებით ხსნის სპეციალურ რუბრიკას „ავსტრია-უნგრეთის ნოტის გადაცემა“. რუბრიკაში¹ ვკითხულობთ: „10 ივლისს (ძველი სტილით – ი.წ.) საღამოს 6 საათზე ავსტრიის ელჩმა² გადასცა სერბიის მთავრობას ულტიმატუმი სარაევოში მომხდარი მკვლელობის გამო. ნოტა 48 საათის ვადას აძლევს სერბიას პასუხისათვის“. როგორც ცნობილია, სერბიის მთავრობისადმი გადაცემული ულტიმატუმი სულ 10 პუნქტისაგან შედგებოდა³ და გაზეთის რედაქცია ცდილობს მკითხველს ყველა მათგანის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია. რედაქცია სწორ აქცენტებს სვამს მათ შეფასებისას. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ულტიმატუმის მეორე პუნქტზე (რომელიც გაზეთში დანომრილია, როგორც მე-6 პუნქტი – ი.წ.). გაზეთის მიხედვით: „დაუყოვნებლივ უნდა დაიხუროს „ნაროდნაია ოდბრანას“ საზოგადოება, ჩამოერთვას ქონება. ამგვარივე ზომები უნდა იქნას მიღებული იმ სხვა საზოგადოებათა წინააღმდეგაც, რომლებიც ავსტრიის სამტროდ მუშაობდნენ“.⁴ არ არის მითითებული თუ რომელ სხვა ორგანიზაციებზეა საუბარი. ესენია: 1) ცრნა რუკა (სერბულად) – „შავი ხელი“. მას ხელმძღვანელობდა სერბეთის კონტრდაზვერვის უფროსი, პოლკოვნიკი დრაგუტინ დმიტრიევიჩი, მეტსახელად აპისი.⁵ მას დიდი გავლენა ჰქონდა იმპერიაში და, როგორც, ბოროტი ენები ამბობენ, მისი თვით პრემიერ-მინისტრ ნიკოლა პაშიჩსაც ემინოდა; 2) „მლადა ბოსნია – ახალგაზრდა ბოსნია“, რომელსაც კოორდინირებდა სერბი დანილო ილიჩი უნევიდა.⁶ გაზეთი აღნიშნავდა, რომ სერბია უნდა დაემორჩილოს ავსტრიელთა მოთხოვნებს. იგივე ნომერი მკითხველს აცნობს გერმანული გაზეთების პოზიციას, რომელთა მიხედვით, „სერბიამ ან

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“ №37. 1914 წ. 13 ივლისი. რუბრიკა „ავსტრია-უნგრეთის ნოტის გადაცემა“, გვ. 2.

² ის იყო ავსტრია-უნგრეთის ელჩი ბელგრადში ბარონი გიბლი – ი.წ.

³ იხილეთ: Вячеслав Шацкило. Первая Мировая Война 1914-1918. Москва. Олма-Пресс, 2003, გვ. 21.

ასევე იხ: **Primary Documents – Austrian Ultimatum to Serbia, 23 July 1914.** <https://www.firstworldwar.com/source/austrianultimatum.htm>

⁴ გაზ. „სახალხო ფურცელი“ №37. 1914 წლის 13 ივლისი. რუბრიკა „ავსტრია-უნგრეთის ნოტის გადაცემა“, გვ. 2.

⁵ **Who's Who – Dragutin Dimitrijevic** – <https://www.firstworldwar.com/bio/dimitrijevic.htm>. ასევე იხ: **John H. Maurer.** The Outbreak..., გვ. 51. **Owen Pearson.** Albania In The Twentieth Century: A History. Volume One. London. The Centre for Albanian Studies, 2004, გვ. 27-28.

⁶ **Edward R. Kantowicz.** The Rage of Nations. Cambridge. B. Erdmans Publishing Company, 1999, გვ. 97-98. ასევე იხილეთ: **Feature Articles – The Balkan Causes of World War One** – დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: https://www.firstworldwar.com/features/balkan_causes.htm.

უნდა შეასრულოს ავსტრიის მოთხოვნილებანი ან დაილუპოს“. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერის“¹ (სტილი დაცულია -ი.ნ.) მოსაზრებამ, რომელსაც, როგორც ჩანს ქართული სტატიის ავტორიც იზიარებს, რადგან ყოველგვარი კომენტარის გარეშე, უცვლელად აწვდის მკითხველს. „თუ სერბიას რუსეთის იმედი ჰქონდა და ამიტომ ეწინააღმდეგებოდა ავსტრიას, ავსტრია ვალდებულია მკაცრად ალაგმოს მოუსვენარი მეზობელი“. გერმანული გაზეთის ასეთი პოზიცია, რა თქმა უნდა, გამოხატავდა იმპერიის ინტერესებს. 23 ივლისსაც (ახ. სტ.) გერმანელების წაქეზებით წაუყენა ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ ულტიმატუმი სერბეთს. მსჯელობის ამ ნაწილში სწორი აქცენტებია დასმული. ზოგადად, გერმანია მიიჩნევდა, რომ ავსტრია-უნგრეთი უნდა გასწორებოდა სერბიას და ბალკანეთის რუკა შეეცვალათ გერმანია-ავსტრიის ალიანსის სასარგებლოდ. ვილჰელმ II იმედოვნებდა, რომ მალე „გერმანიის დროშები აფრიალდებოდნენ ბოსფორიის სიმაგრეებზე“.² უფრო მეტიც, კანცლერი ბეთმან ჰოლვეგი³ კიდევ უფრო აქეზებდა ავსტრიელებს და მშვიდობის შენარჩუნების გარანტიად სერბიის ინტერესების გათვლას მიიჩნევდა. „თუ ავსტრია-უნგრეთი გადაწყვეტდა სერბების „მოჭკვიანებას“, მას ამაში ხელს არავინ შეუშლიდა და ის შეძლებდა ცეცხლის ჩაქრობას, რომელიც ემუქრებოდა ევროპის მშვიდობიან მოსახლეობას“.⁴ გამ. „სახალხო ფურცელი“ ცდილობს კიდევ უფრო ფართო წარმოდგენა შეუქმნას მკითხველ საზოგადოებას ამ საკითხებთან დაკავშირებით და ახლა მას მოჰყავს ფრანგული გაზეთების პოზიცია, რომლებიც ავსტრიის მოთხოვნებს გადაჭარბებულად სცნობენ და თვლიან, რომ ისინი სერბიის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოსპობისკენაა მიმართულიო.⁵ „სერბიამ უნდა დააკმაყოფილოს ყველა ის

¹ დაარსდა 1883 წელს. გერმანული ყოველდღიური გაზეთი. იხ: **Bernhard Fulda**. Press and Politics in the Weimar Republic. Oxford. Oxford University Press, 2009, გვ. 14.

² **D. C. B Lieven**. Russia and the Origins of the First World War. (Making of the 20th Century). New York. Macmilan, 1983, გვ. 46.

³ მის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: **Who's Who. Theobald von Bethmann-Holweg** – <https://www.firstworldwar.com/bio/bethmann.htm>

⁴ **Бетман-Гольвег Т.** Мысли о войне. Москва. Государственное Издательство, 1925, გვ. 64.

ნიგნის ელ.ვერსია იხილეთ – <http://elib.shpl.ru/ru/nodes/32187-betman-golveg-t-mysli-o-voyne-m-l-1925-biblioteka-memuarov#mode/inspect/page/82/zoom/6> თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, იგივე ბეთმან ჰოლვეგი ცდილობდა როგორმე პასუხისმგებლობა აეცილებინა გერმანიისათვის და აცხადებდა: „სერბიის საკითხის გადაწყვეტა ამჯერადაც რუსეთის პოზიციაზე იქნებოდა დამოუკიდებელიო“.

⁵ გამ. „სახალხო ფურცელი“. №38. 1914 წლის 15 ივლისი. რუბრიკა „ავსტრია-სერბიის უთანხმოება“, გვ. 2.

მოთხოვნა, რომელიც არ შებღალავს მის დამოუკიდებლობას. მან უნდა მოახდინოს გამოძიება და დასაჯოს დამნაშავენი, მაგრამ თუ მისგან მეტს მოითხოვენ, უფლება აქვს უარი განაცხადოს“.¹

როგორც ცნობილია, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საზონოვის მოთხოვნით, სერბებმა თითქმის ყველა პუნქტზე განაცხადეს თანხმობა, მხოლოდ გამოძიების საკუთარ ტერიტორიაზე წარმოების უფლება არ მისცეს ავსტრიელებს. შედეგად ავსტრიულმა მისიამ 25 ივლისს დატოვა სერბეთის ტერიტორია. გაზეთი გვთავაზობს უნგრეთის პრემიერ-მინისტრის იშტვან ტისას² მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ულტიმატუმს არ ჰქონდა აგრესიული ხასიათი და არ იყო მიმართული ომის გასაჩაღებლად. „ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ მეზობლურ მოვალეობის შესრულებას“.³ ფაქტია, ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ეს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ხელმძღვანელობას ჰქონდა ჩაფიქრებული. საინტერესოა გ. ქიქოძის ანალიტიკური წერილი „პატარა სერბიის ბრძოლა დიდი სერბიის იდეისათვის“, სადაც აღნიშნულია, რომ „დიდი სერბიის შექმნის იდეამ გამოიწვია შეურიგებელი ანტაგონიზმი ამ ორ (ე. ი. ავსტრია-უნგრეთსა და სერბეთს შორის – ი.ნ.) სახელმწიფოს შორის“.⁴ „სახალხო ფურცელი“ გვთავაზობს ინგლისური გაზეთების განსხვავებულ შეხედულებას, რომლებიც ანტისერბული თვალსაზრისით უყურებენ პროცესებს. „ჰვიცხავენ სერბიელების სისხლით გაუმაძღრობასა და იხსენიებენ მეფე ალექსანდრეს მოკვლას“.⁵ „სერბიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მისი პასუხი ბელგრადში მყოფ ავ-

¹ იქვე. აქ საუბარი არ არის ავსტრია-უნგრეთის მთავარ მოთხოვნაზე, რომ გამოძიება ავსტრიელებსაც ეწარმოებინათ სერბიის ტერიტორიაზე – ი.ნ.

² სხვათაშორის, ეს უკანასკნელი თავდაპირველად წინააღმდეგი იყო სერბეთთან ომისა. ის თვლიდა, რომ სერბეთის შეყვანა იმპერიის შემადგენლობაში გამოიწვევდა სლავური ელემენტების გაძლიერებას უნგრულის საზიანოდ. მის შესახებ იხილეთ: **Who's Who – Count Istvan Tisza de Boros-Jeno** – <https://www.firstworldwar.com/bio/tisza.htm>

³ გაზ. „**სახალხო ფურცელი**“. №38. 1914 წლის 15 ივლისი. რუბრიკა „ავსტრია-სერბიის უთანხმოება“, გვ. 2.

⁴ აღნიშნული წერილი იმ პერიოდში გამომავალ ორ ქართულ გაზეთში „იმერეთსა“ და „სახალხო ფურცელში“ დაიბეჭდა. იხ: გაზ. „**იმერეთი**“. №117. 1914 წლის 30 ივლისი, გვ. 2 და გაზ. „**სახალხო ფურცელი**“. № 49. 1914 წლის 27 ივლისი. გვ. 3.

⁵ აქ იგულისხმება 1903 წელს მომხდარი შეთქმულება, როცა სერბმა ნაციონალისტებმა მეფე ალექსანდრე I ობრენოვიჩის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს პოლკოვნიკ დრაგუტინ დიმიტრიევიჩის მეთაურობით. ეს თავდასხმა ალექსანდრე I-ის მოკვლითა და ტახტზე პიოტრ I კარაგეორგევიჩის ასვლით დასრულდა. იხ: **David Mackenzie**. Apis: The Congenial Conspirator. The Life of Colonel Dragutin T. Dimitrijević. New York. Columbia University Press, 1989, გვ. 41-49. ასევე იხ: **Who's Who – Dragutin T. Dimitrijević** – <https://www.firstworldwar.com/bio/dimitrijevic.htm> და **Who's Who – King Peter I** –

სტრია-უნგრეთის ელჩისადმი, მოსპობს ყოველივე გაუგებრობას და შეუძლია მეზობლური კეთილგანწყობილება შემოიღოს ავსტრო-ჰუნგრეთის მონარქიისა და სერბიის სამეფოს შორის“, – წერდა „სახალხო ფურცელი“. ¹ იდეაში ეს ასეც იყო. კაიზერი ვილჰელმ II, როცა გაეცნო სერბიის პასუხს, გაკვირვებული დარჩა, რომ სერბიამ ულტიმატუმის თითქმის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხელსაყრელი საბაბი ომის დასაწყებად ქრებოდა.² თავად იმპერატორი სთავაზობდა ვენას, რომ დაეწყოთ მოლაპარაკებები სერბებთან, თუმცა უკვე გვიანი იყო. 28 ივლისს (ახ. სტ.) ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს.³ გაზ. „ვარსკვლავი“ ცალსახად ერთ პოზიციამე იდგა და ავსტრიის პოლიტიკას უმკაცრეს შეფასებას აძლევდა. ამ მიზნით რედაქცია ხსნის სპეციალურ რუბრიკას „ავსტრიის პოლიტიკა“, სადაც დაგმობილი და გაკრიტიკებულია ავსტრიის დამოკიდებულება პატარა ერებისადმი და მთლიანად თანაუგრძნობს სერბეთს.⁴ გაზ. „ახალი ამერი“ სავესებით სამართლიან დასკვნას აკეთებს და თვლის, რომ სერბეთს მკაცრი ნოტა წარუდგინეს და ომის იქეთ სხვა გზა არ დაიტოვა. „სერბეთმაც ომის გზა აირჩია“.⁵ უურნალი „კლდეც“ მსგავსი შინაარსის წერილს აწვდის მკითხველს, სათაურით „აუცილებელი ომი“⁶ და აღნიშნავს, რომ სერბიას ძალიან მკაცრი მოთხოვნა წაუყენეს. ავსტრიის პოლიტიკას აკრიტიკებს უურნალი „მათრახი“ და წერს, რომ ავსტრია-უნგრეთის ულტიმატუმმა „სერბიის დამოუკიდებლობა მიწასთან გაასწორა“-ო.⁷ უურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აფასებდა რა დაპირისპირებული მხარეების შესაძლებლობებს, საინტერესოდ აღნიშნავდა, რომ „მრავალეროვანი და ძლიერი ავსტრია-უნგრეთი მალე მოუღებდა ბოლოს სერბეთს – მაგრამ ამ უკანასკნელს უურნალის თქმით – გამოესარჩლა რუსეთი როგორც მონათესავე

<https://www.firstworldwar.com/bio/peter.htm>

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №39. 1914 წლის 16 ივლისი. რუბრიკა „ავსტრია-სერბიის უთანხმოება“, გვ. 2

² Бюлов Б. Воспоминания. Москва. Государственное социально-экономическое издательство, 1935, გვ. 438. ელ. ვერსია – <http://elib.shpl.ru/ru/nodes/13712-byulov-b-vospominaniya-per-s-nem-m-l-1935#mode/inspect/page/5/zoom/5>

³ Вячеслав Шаццло. Первая Мировая., გვ. 22. ასევე იხ: On This Day – 28 July 1914 – https://www.firstworldwar.com/onthisday/1914_07_28.htm

⁴ გაზ. „ვარსკვლავი“. №1. 1914 წლის 30 ივნისი. რუბრიკა „ავსტრიის პოლიტიკა“, გვ. 1. გამოდიოდა 1914 წელს. ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის გაზეთი. რედაქტორი მ. ლომინაძე. იხ: გ. ბაქრაძე., გვ. 20. გაზეთის საქმიანობის შესახებ ასევე იხ: . სსცა. ფ. 480, ანან. 2, ს. 1002, ფურც. 5-11.

⁵ გაზ. „ახალი ამერი“. №3. 1914 წლის 15 ივლისი. რუბრიკა „კლდეც ომი“, გვ. 1.

⁶ უურნ. „კლდეც“. №27. 1914 წლის 28 ივლისი. რუბრიკა „აუცილებელი ომი“, გვ. 6.

⁷ უურნ. „მათრახი“. №27. 1914 წლის 27 ივლისი. რუბრიკა „ომი“. გვ. 2.

ერს (სერბებიც სლავიანთა მოდემისანი არიან).¹ ჟურნალი მომდევნო ნომრებში საინტერესო პარალელს ავლებს გერმანულ პანგერმანიზმსა და რუსულ პანსლავიზმს შორის² და აღნიშნავს, რომ „პანგერმანიზმის გააქტიურებას „შეუძლებელი იყო რუსეთისთვისაც არ მოეგონებია პანსლავიზმის იდეა“.³ 29 ივლისის გაზ. „ჩვენი აზრი“ ეხმიანება ამ საკითხს და მიუთითებს, რომ რუსეთს უნდა დაეცვა ერთმორწმუნე და „ერთმოსისხლე“ (სტილი დაცულია – ი.ნ.) ნათესავი“.⁴ ქართული პრესა წინასწარ „ამზადებდა“ ქართულ საზოგადოებას, რომ ძალიან მალე დაიწყებოდა ომი, მაგრამ იყო გამონაკლისებიც და უფრო ოპტიმისტური შეხედულებები. „სახალხო ფურცელი“ იმედოვნებდა, რომ „ევროპელი დიპლომატები შეკრთებოდნენ მომავალი ომიანობის წინაშე და კონფლიქტი მშვიდობიანად გადაიჭრებოდა“.⁵ ასეთი იყო თვით გერმანიის კაიზერის პოზიციაც, რომელიც აცხადებდა, რომ „გერმანიის მმართველი წრეები 1914 წლის ივლისში ნაკლებად თიქრობდნენ ომზე, არათუ მის მომზადებაზე“.⁶ მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, გერმანიას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, როგორც ომის გამჩალებელს.⁷

რუსეთის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციის შესახებ ამცნობს საზოგადოებას გაზ. „სახალხო ფურცელი“ და აღნიშნავდა იმ საერთო ალტკინებას, რაც ამ მობილიზაციას მოჰყვა.⁸ ასეთი ალტკინება კავკასიის სხვა მრავალეროვან მოსახლეობაშიც შეინიშნებოდა, აღნიშნულია რუსეთის იმპერატორისადმი მიმართვებში.⁹ იგივე „სახალხო ფურცელი“ საე-

¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №27. 1914 წლის 27 ივლისი. რუბრიკა „ომიანობა“, გვ. 7-8.

² აღსანიშნავია, რომ სხვაგან მსგავსი შედარება არ შეგვხვედრია. – ი.ნ.

³ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №41. 1914 წლის 10 აგვისტო. გვ. 7-8. (რუბრიკის გარეშე – ი.ნ.). ჟურნალის ეს ნომერი ქ-ნ მაია მაჭავარიანს არასწორად აქვს დათარიღებული. ის ამ ნომერს 10 აგვისტოს ნაცვლად 27 ივლისით ათარიღებს. იხ: **მაია მაჭავარიანი**. 1914 წელი..., გვ. 175.

⁴ გაზ. „ჩვენი აზრი“. №7. 1914 წლის 29 ივლისი. რუბრიკა „ომის მიზეზები“, გვ. 1.

⁵ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №40. 17 ივლისი. რუბრიკა „ავსტრია-სერბიის უთანხმოება“, გვ. 2.

⁶ **Вильгельм II**. События и люди 1878—1918. Воспоминания Мемуары. Л. Д. Френкель, 1923, გვ. 121. იხ: <http://militera.lib.ru/memo/german/wilhelm2/index.html>, ან იხილეთ განახლებული 2003 წლის გამოცემა: [file:///C:/Users/U%20S%20E%20R/Downloads/%D0%A1%D0%BE%D0%B1%D1%8B%D1%82%D0%B8%D1%8F%20%D0%B8%20%D0%BB%D1%8E%D0%B4%D0%B8.%201878-1918%20\(%20PDFDrive.com%20\).pdf](file:///C:/Users/U%20S%20E%20R/Downloads/%D0%A1%D0%BE%D0%B1%D1%8B%D1%82%D0%B8%D1%8F%20%D0%B8%20%D0%BB%D1%8E%D0%B4%D0%B8.%201878-1918%20(%20PDFDrive.com%20).pdf)

⁷ **Lamar Cecil**. Wilhelm II., გვ. 193-212. ასევე იხ: **Who's Who – Kaiser Wilhelm II**. <https://www.firstworldwar.com/bio/wilhelmii.htm>

⁸ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №45. 23 ივლისი. რუბრიკა „იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მანიფესტი“, გვ. 2. 29 ივლისის (ახ.სტ.) რუსეთმა მობილიზაცია გამოაცხადა. ორი დღის შემდეგ გერმანიამ ულტიმატუმი წაუყენა, რომ თუ ის არ შეწყვეტდა მობილიზაციას, მაშინ გერმანელებიც იძულებულნი გახდებოდნენ გამოეცხადებინათ მობილიზაცია. 1 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს.

⁹ *სსკა*. ფ. 13, ანან. 27, ს. 3160. მთლიანად ეს დოკუმენტები ეძღვნება წინამდებარე საკითხებს – ი.ნ. ასევე იხ:

სებით სამართლიანად, აღნიშნავდა რომ „გერმანიაზე სულ სხვა ეფექტი მოახდინა ინგლისის ომში ჩარევამ და აუნერელი შეძრწუნება გამოიწვია“. მართლაც, როგორც ცნობილია, 29 ივლისს, გერმანიის ელჩთან ლიხნოვსკისთან საუბარში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერ ედუარდ გრეიმ განაცხადა, თუ საფრანგეთი ჩაებმებოდა ომში, მაშინ ინგლისი მას მხარს დაუჭერდა.¹ ინგლისის ჩართვა ბრძოლაში მართლაც კატასტროფას ნიშნავდა გერმანელებისთვის. ინგლისის გამოსვლით ომს საერთაშორისო ხასიათი მიეცა. 4 აგვისტოს, ბრიტანეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას.² ეს იყო პირველი მსოფლიო ომის ოფიციალური დასაწყისი.³

§2.3. 1914 წლის სამხედრო მოქმედებები პრესის მასალებისა და საარქივო დოკუმენტების მიხედვით

გერმანელების მიერ ბელგიის ტერიტორიის ხელყოფამ დიდი ალტკინება გამოიწვია ქართული პრესის ფურცლებზე, რომლებიც მთლიანად თანაუგრძობდნენ პატარა ბელგიის მამაცურ ბრძოლას გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. 4 აგვისტოს (ახ. სტ.) გერმანელებმა შეუტიეს ქალაქ ლიეჟს, რითაც დაირღვა ბელგიის ნეიტრალიტეტი. ირაკლი წერეთელი ამ ფაქტს მიიჩნევდა, როგორც „ვეროპის ძალთა წონასწორობის დარღვევას. ასე გაიგეს ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიის შეჭრა ბელგიაში“.⁴ ლიეჟის აღებას დიდი გულსტკივილით გამოეხმაურა გაბ. „სახალხო ფურცელი“, რომელიც ამ ფაქტთან და-

სსცა. ფ. 13, ანან. 27, ს. 3165.

¹ **Viscount Grey Of Fallodon**. Twenty-Five Years 1892-1916. New York. Frederick A. Stokes Company, გვ. 274. სხვათაშორის, გრეი დიდ ხანს უმაღავდა ავსტრიელებსა და გერმანელებს, რომ ინგლისი აპირებდა ომში ჩარევას. ასევე იხ: **Prince Lichnowsky**. My Mission To London 1912-1914. New York. George H. Doran Company, გვ. 37-38.

² **Primary Documents – British Reaction to Official German Statement on the Outbreak of War in August 1914**. <https://www.firstworldwar.com/source/britishreactiontogermandstatement.htm> ასევე იხ: **On This Day – 4 August 1914**. https://www.firstworldwar.com/onthisday/1914_08_04.htm

³ და არა 1 აგვისტო, როგორც ეს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომშია მითითებული – ი.ნ. მაგალითად, იხ: **რუსუდან დაუშვილი**. 8 ეპიზოდი ქართულ-გერმანული ურთიერთობების ისტორიიდან. თბ., გამომცემლობა „რაეო“, 2014, გვ. 12.

⁴ **ირაკლი წერეთელი**. ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი. პარიზი. 1927, გვ. 20.

კავშირებით ხსნის სპეციალურ რუბრიკასაც კი სათაურით „ლიეჟის აღება“.¹ ქართველი პუბლიცისტები დიდ აღტაცებასა და თანაგრძნობას გამოხატავენ ლიეჟის გმირის, ბელგიელი გენერლის ლემანის მიმართ² და ეპითეტებით ამკობენ მას.³ 20 აგვისტოს გერმანელების მიერ ბრიუსელის აღების შესახებ მკითხველს საინტერესო წერილს აცნობს „სახალხო ფურცელი“ და იქვე სავსებით სამართლიანად მიუთითებდა მთლიანად ბელგიის ნეიტრალიტეტის მნიშვნელობაზე ბრიტანეთისა და საფრანგეთისათვის.⁴ ქართული პრესა განსაკუთრებით აღფრთოვანებით შეხვდა ფრანგების შესვლას ელზასსა და ლოთარინგიაში, როცა მათ 8 აგვისტოს შეუტყეს მონინაალმდეგეს და აიღეს მიულჰაუზენი.⁵ ამასთან დაკავშირებით „სახალხო ფურცელი“ აღნიშნავდა, რომ „43 წლის შემდეგ კვლავ შევიდა ელზასში საფრანგეთის ჯარი და მოსახლეობა ოვაციებით შეხვდა მას“⁶, თუმცა მომდევნო დღეებში ფრანგები იძულებულები გახდნენ უკან დაეხიათ გერმანელების კონტრშეტევის შედეგად. აქვე გვინდა შევეხოთ ოსმალეთის ნეიტრალიტეტსა და გერმანია-ოსმალეთის ურთიერთობას, რომლებმაც ქართულ პრესაში დიდი ინტერესი გამოიწვია. „სახალხო ფურცელი“ ხსნის სპეციალურ რუბრიკას „ოსმალეთის ნეიტრალიტეტი“, რათა მკითხველს ვრცელი და საინტერესო ანალიტიკური წერილები მიაწოდოს. ჯერ კიდევ 23 ივლისის ნომერი წერდა, რომ „რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ერთხმად გადაწყვეტილი მოსთხოვეს ოსმალეთს ნეიტრალიტეტის დაცვა“.⁷ ეს „მოთხოვნა“ შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №56. 1914 წლის 5 აგვისტო. რუბრიკა „ლიეჟის აღება“, გვ. 4. ამასთან დაკავშირებით გაზეთი ასევე გვთავაზობს საინტერესო რუკას სახელწოდებით „საერთაშორისო ომის ასპარეზი ბელგიის მიწა-წყალზე“. იხ: №59. 1914 წლის 6 აგვისტო, გვ. 3.

² მის შესახებ იხ: **Who's Who – Gerard Leman**. <https://www.firstworldwar.com/bio/leman.htm>; **Primary Documents – Extract from General Leman's Diary, August 1914**. <https://www.firstworldwar.com/source/lemandiary.htm> და **Primary Documents – General Leman's Letter to King Albert I, August 1914**. <https://www.firstworldwar.com/source/lemanletter.htm>

³ გაზ. „ახალი აზრი“. №30. 1914 წლის 27 სექტემბერი. რუბრიკა „ლიეჟის გმირები“, გვ. 4. „სახ.ფურც.“ გვთავაზობს გენერლის ფოტოსურათსაც მოკლე აღწერით. იხ: გაზ. „სახალხო ფურცელი“. №78. 1914 წლის 3 სექტემბერი, გვ. 2.

⁴ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №64. 1914 წლის 15 აგვისტო. რუბრიკა „ბრიუსელის აღების მნიშვნელობა“ გვ. 3-4.

⁵ **Battles – The Battle of Mulhouse, 1914**. <https://www.firstworldwar.com/battles/mulhouse.htm>

⁶ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №64. 1914 წლის 15 აგვისტო. რუბრიკა „ბრიუსელის აღების მნიშვნელობა“ გვ. 3. უურნალი „კლდე“ ეხმაურება ამ მოვლენებს სპეციალური რუბრიკით „გერმანელები ბელგიაში“, სადაც ავტორი (დ. კასრაძე) დიდ თანაგრძნობას გამოხატავს ბელგიელების მიმართ. იხ: უურნ. „კლდე“. №30. 1914 წლის 19 სექტემბერი. რუბრიკა „გერმანელები ბელგიაში“, გვ. 13-16.

⁷ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №45. 1914 წლის 23 ივლისი. რუბრიკა ოსმალეთის ნეიტრალიტეტი, გვ. 2.

რაც უფრო გაიწელებოდა ოსმალეთის ჩართვა რუსეთის წინააღმდეგ ომში, რუსეთის არ-
 მია მით უფრო თავისუფლად იმოქმედებდა ევროპაში გერმანელების წინააღმდეგ. უფრო
 მეტიც, 7 აგვისტოს (ახ. სტ.) გრეი არწმუნებდა ოსმალეთის ელჩს ლონდონში, რომ თუ
 „ბრწყინვალე პორტა“ დაიკავებდა ნეიტრალურ პოზიციას, იმპერიის ტერიტორიული
 მთლიანობა შენარჩუნებული იქნებოდა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების
 ნებისმიერ პირობებში.¹ გერმანელებს კი პირიქით სურდათ, რომ რუსეთ-ოსმალეთს შო-
 რის ომი მალე დაწყებულიყო. „სახალხო ფურცელი“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა,
 რომ „გერმანელები ძლიერ აგიტაციას ეწევიან ოსმალეთში, რომ ომში ჩაითრიონ“.² მას
 შემდეგ, რაც ოსმალეთი ომში ჩაერთო გერმანელების გავლენა იქ ძალიან გაიზარდა.
 გერმანელ სამხედრო მოხელეები სრულიად თავისუფლად მოქმედებდნენ ისე, როგორც
 სურდათ.³ ოსმალეთის ნეიტრალიზაციის შესახებ „სახალხო ფურცელი“ მიიჩნევდა, რომ
 „თუ ომი მთელ ევროპას მოედვა, მაშინ ოსმალეთიც სხვა პოზიციას დაადგება“.⁴ თავად
 საზღვაო მინისტრი ჯემალ-თაშა აცხადებდა, „ნეიტრალიტეტი იმიტომ გამოვაცხადეთ,
 რომ დრო მოგვეგო და მობილიზაცია დაგვემთავრებინა, რაც ომში ჩაბმის საშუალებას
 მოგვცემდა“.⁵ 1914 წლის 2 აგვისტოს ოსმალეთსა და გერმანიას შორის გაფორმებულ სა-
 იდუმლო ხელშეკრულებას საინტერესოდ ეხმიანება გაზ. „იმერეთი“, რომელიც წერდა,
 რომ ამ ფაქტმა შეაშფოთა რუსეთის პოლიტიკური წრეები. „ოსმალეთის გადაწყვეტილება
 საბოლოოა და ეხლა მხოლოდ ანგარიში უნდა გავუწიოთ მას“.⁶ შავ ზღვაში გერმანული
 გემების გამოჩენის შესახებ პირველ ინფორმაციას ქართველ საზოგადოებას აწვდიდა 1
 აგვისტოს გაზეთი „სახალხო ფურცელი“.⁷ „ოსმალეთის მთავრობამ იყიდა გერმანელთა

¹ Efraim Karsh. Islamic Imperialism, A History. New Haven and London. Yale University Press, 2013, გვ. 106.
 წიგნის სრული ელ. ვერსია იხილეთ: http://www.a-handful-of-leaves.org/documents/Islamic%20Imperialism_A%20History_2nd%20Ed_Karsh.pdf

² გაზ. „სახალხო ფურცელი“. №54. 1914 წლის 3 აგვისტო, გვ. 3.

³ Sydney N. Fisher, William Ochsenswald. The Middle East, A History. Fourth Edition. London. McGraw-Hill Publishing Company, გვ. 379.

⁴ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №51. 1914 წლის 30 ივლისი, გვ. 2.

⁵ Джемаль-паша. Записки: 1913-1919 г.г. Тифлис. Закрайком РКП, 1923, გვ. 101-102. ამას აღნიშნავდა გაზ. „სახალხო ფურცელი“. იხ: „სახალხო ფურცელი“. №79. 1914 წლის 4 სექტემბერი. რუბრიკა „ომი“, გვ. 2. თავად ოსმალეთის მინისტრთა კაბინეტში არ იყო ერთსულოვნება ამ საკითხებთან დაკავშირებით.

⁶ გაზ. „იმერეთი“. №141. 1914 წლის 29 აგვისტო. რუბრიკა „ოსმალეთი და რუსეთი“, გვ. 3.

⁷ და არა 3 აგვისტოს ნომერი, როგორც ამას შეცდომით მიუთითებს ქ-ნი მ. მაჭავარიანი თავის დისერტაციაში

კრეისერები „ჰებენი“ და „ბრესლაუ“. პირველს სელიმი დაარქვეს, ხოლო მეორეს მიდილი.¹

მარნის ბრძოლის შესახებ პირველ, მოკლე, მაგრამ საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს გაბ. „სახალხო ფურცელი“, რომელიც აღნიშნავდა გერმანელების დამარცხებას² და მიუთითებდა გერმანული გაზეთების პოზიციას. „გერმანული გაზეთები ცდილობენ შეასუსტონ გერმანიის ჯარის მარცხი“.³ ამ ბრძოლამ სერიოზულად შეცვალა ზოგადად ომის მსვლელობა. პირველ რიგში, გერმანელებს გაუცრუვდათ იმედები, რომ ისინი საფრანგეთს სწრაფად მოულებდნენ ბოლოს. ამას აღნიშნავდა გაზეთიც. „გერმანიის მიზანი იყო, რაც შეიძლება სწრაფად გადაეღახა საფრანგეთის საზღვარი და ერთი დაკვრით გაენადგურებინა“.⁴ როგორც ცნობილია, ბრძოლები მიმდინარეობდა ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთის არმიებს შორის. მაგალითად, გალიციაში ბრძოლები (რომელიც 18 აგვისტოდან – 26 სექტემბრამდე მიმდინარეობდა) რუსების გამარჯვებით დასრულდა. ამ ბრძოლის შესახებ 22 აგვისტოდან მოყოლებული ცნობები პერიოდულად იბეჭდებოდა „სახალხო ფურცელში“, რომელიც ამ ბრძოლასთან დაკავშირებით ხსნის სპეციალურ რუბრიკას სახელწოდებით „გალიციაში“, „რუსების გამარჯვება გალიციაში“ და ა.შ. 22 აგვისტოს ნომერი ქართველ საზოგადოებას ამცნობდა გალიციის აღების მნიშვნელობას და მიუთითებდა, რუსების მომავალ გამარჯვებაზე.⁵ ამ ბრძოლის შესახებ ძალიან მაღალი აზრის იყო გაზეთის რედაქცია.⁶ რუსების ასეთი გამარჯვება⁷ განაპირობა მე-8 რუსული არმიის სარდლის

– ი.ნ. იბ: **მაია მაჭავარიანი**. 1914 წელი..., გვ. 131.

¹ გაბ. „**სახალხო ფურცელი**“. №53. 1914 წლის 1 აგვისტო. რუბრიკა „ომი“, გვ. 2. გერმანელი ინსტრუქტორების სახელები. იბ: **Sydney N. Fisher, William Ochsenwald**. The Middle..., გვ. 379. გაზეთი მომდევნო ნომერში აღნიშნავდა, რომ „ამ ორი გემის შექმნა ფრიალ მნიშვნელოვანია ოსმალეთისთვის, ვინაიდან იგი ზღვაზე ბევრად უფრო მძლავრი შეიქმნება“. №54. 1914 წლის 3 აგვისტო. რუბრიკა „ომი“, გვ. 3.

² ბრძოლა მოხდა 1914 წლის 6-12 სექტემბერს. იბ: **Battles – The Battle of the Marne, 1914**. <https://www.firstworldwar.com/battles/marne1.htm>; ასევე იბ: **Hew Strachan**. The First..., გვ. 242-261.

³ გაბ. „**სახალხო ფურცელი**“. №80. 1914 წლის 7 სექტემბერი. რუბრიკა „ვერდენ-ნანსი“, გვ. 2.

⁴ გაბ. „**სახალხო ფურცელი**“. №85. 1914 წლის 12 სექტემბერი, გვ. 3. უურნ. „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს საფრანგეთის არმიის მთავარსარდლის უოზიფ უოფრის ფოტოსურათს. იბ: „**თეატრი და ცხოვრება**“. №23. 1914 წ. გვ. 12.

⁵ გაბ. „**სახალხო ფურცელი**“. №69. 1914 წლის 22 აგვისტო. რუბრიკა „გალიციაში“, გვ. 2.

⁶ გაბ. „**სახალხო ფურცელი**“. №74. 1914 წლის 28 აგვისტო. რუბრიკა „რუსების გამარჯვება გალიციაში“, გვ. 2.

⁷ ამის აღსანიშნავად ცოტა მოგვიანებით „სახალხო ფურცელი“ ბეჭდავს ბრუსილოვის ფოტოს მოკლე აღწერით. იბ: გაბ. „**სახალხო ფურცელი**“. №598. 1916 წლის 14 ივნისი. გვ. 3.

ა. ბრუსილოვის მხედართმთავრულმა ნიჭმა.¹ ბრძოლები ხდებოდა არამართო ხმელეთზე, არამედ ზღვაშიც. პირველი ასეთი სერიოზული შეტაკება მოხდა 1914 წლის 28 აგვისტოს ჰელგოლანდის ყურეში² (ჩრდილოეთის ზღვა). ამ ბრძოლის შესახებ საკამოდ დანვრით ინფორმაციას აწვდის მკითხველს 1915 წლის „სახალხო ფურცელი“, რომელიც სპეციალურად ამ ბრძოლისთვის ხსნის რუბრიკას „1914 წლის ომი ზღვაზე“. რუბრიკაში აღნიშნულია ზოგადად ზღვაზე ბატონობის მოპოვების მნიშვნელობა. „ინგლისისათვის საჭირო იყო გერმანიის სამხედრო ფლოტის განადგურება. უამისოდ ომში ინგლისი ვერ გაიმარჯვებდა“.³ შემდეგ ხაზგასმულია ინგლისელთა უპირატესობაზე, რის შემდეგაც „მათ ჩასძირეს გერმანული კრეისერები“.⁴ ბრძოლები გაიმართა ატლანტიკის ოკეანეშიც, სადაც მოძრაობდა გერმანული ესკადრა აღმირალ ფონ შპეეს მეთაურობით. ამ უკანასკნელის დამარცხების შესახებ გაზეთი შემდეგი შინაარსის ცნობას გვწვდის და თანმიმდევრულად მიჰყვება პროცესებს. „მოკავშირეებმა დაუნყეს დევნა გერმანელთა „გაქცეულ“ (სტილი დაცულია – ი.ნ.) კრეისერებს და 21 ნოემბერს (ძვ. სტ. – ი.ნ.) ფოლკლენდის კუნძულებთან დალუპეს ჯავშნიანი კრეისერები „შარნჰორსტი“ და „გნეიზენაუ“. მსუბუქი – „ნიურნბერგი“ და „ლეიპციგი“.⁵ 1914 წლის 29 ოქტომბერს (ახ. სტ. – ი.ნ.) ოსმალეთის იმპერია ომში ჩაება.⁶ ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართველ მოწყალეების დას ნინო ჯორჯაძეს ასეთი რამ ჩა-

¹ Who's Who – Alexei Brusilov. <https://www.firstworldwar.com/bio/brusilov.htm>; ასევე იხ: Hew Strachan. The First..., გვ. 347-356.

² Battles – The Battle of Helgoland Bight, 1914. <https://www.firstworldwar.com/battles/heliogoland.htm>

³ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №190. 1915 წ. რუბრიკა „1914 წლის ომი ზღვაზე“, გვ. 4. (ს. დიმიტრიევის წერილი). როგორც ჩანს, ავტორს 1914 წელსვე არ მოეპოვებოდა ამ ბრძოლის შესახებ ინფორმაცია. შეიძლება დეპეშების დაგვიანებით აიხსნას ის ფაქტი, რომ 1915 წლის ნომერი აწვდის მკითხველს პირველ ინფორმაციებს – ი.ნ.

⁴ იქვე. მითითებული არ არის მათი რაოდენობა. ეს იყო 3 მსუბუქი კრეისერი, 1 ტრალერი და 1 საესკადრო ნალმოსანი. იხ: Hew Strachan. The First..., 437-451.

⁵ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №190. 1915 წ. რუბრიკა „1914 წლის ომი ზღვაზე“, გვ. 4. იქვე მითითებულია კრეისერ „დრეზდენის“ ჩაძირვის შესახებაც, რომელიც 1915 წლის 14 მარტს (ახ. სტ. – ი.ნ.) ჩასძირეს. იხ: Battles – The Battle of the Falkland Islands, 1914. <https://www.firstworldwar.com/battles/falklandislands.htm>. ასევე იხ: A.M. Ageev, D.B. Verzhovskiy... История первой мировой войны 1914-1918 гг. Москва. „Наука“, 1975, გვ. 239.

⁶ რომელიც იმპერიისთვის უკანასკნელი ომი გამოდგა. იხ: William L. Cleveland, Martin Bunton. A History Of The Modern Middle East. Fourth Edition. USA. Westview Press, 2009, გვ. 149. წიგნის სრული ელ.ვერსია იხილეთ აქ: <https://ia600605.us.archive.org/20/items/WilliamLClevelandMartinBuntonAHistoryOfTheModernMiddleEastFourthEdition/William%20L%20Cleveland%20Martin%20Bunton%20A%20History%20of%20the%20Modern%20Middle%20East%20Fourth%20Edition.pdf>

უნერია თავის დღიურში: „გერმანელებს სურდათ ომში ჩაბმა თურქებისა, რათა რეგულარული ჯარების ნაწილი კავკასიის ფრონტისკენ გადმოსულიყო. მათთვის მნიშვნელოვანი იყო თავიანთი მდგომარეობის შემსუბუქება ევროპულ ომის მთავარ ფრონტზე“.¹ ოსმალეთის ომში ჩაბმამ სათანადო ასახვა ჰპოვა ქართული პრესის ფურცლებზეც, რომლებიც მკითხველს საინტერესო ანალიტიკურ რუბრიკებს სთავაზობენ. 29 ოქტომბერს ოსმალურ-გერმანულმა ფლოტმა დაბოძა რუსული პორტები შავ ზღვაში სევასტოპოლი, ფეოდოსია და ნოვოროსიისკი.² „სახალხო ფურცელი“ ძალიან დეტალურად განიხილავს ამ ფაქტს და შეძრწუნებულია პორტების დაბომბვით. გაზ. „თემი“ გერმანელებს ადანაშაულებს და ამბობს, რომ „გერმანიამ წააქეზა დაუძლურებული ოსმალეთი იარაღი აესხა და საომრად გამოსულიყო“.³ საქართველოში დაიბოძა ფოთიც. გაზ. „სახალხო ფურცლის“ თქმით, ამ ფაქტმა დიდი აღელვება გამოიწვია და „იქურ მცხოვრებლებს თავზარი დასცა“.⁴ რუსეთის მიერ შავი ზღვისპირა ფორტების დაბომბვის შემდეგ რუსეთმა 2 ნოემბერს ოსმალეთის იმპერიას ომი გამოუცხადა. 5-6 ნოემბერს კი ინგლისმა და საფრანგეთმაც იგივე გააკეთეს. 12 ნოემბერს ოსმალეთმა „სალვთო ომი“ გამოუცხადა ანტანტას.⁵ „სახალხო ფურცლის“ აზრით, რომელიც ამ ფაქტთან დაკავშირებით ხსნის სპეციალურ რუბრიკას სახელწოდებით „სალვთო ომი“, „სულთნის „ფეტვა“ ყველა მაჰმადიანს მოუწოდებს სალვთო ომისაკენ, მაგრამ ისლამის მტრებად არ თვლის გერმანელებსა და ნეიტრალური სახელმწიფოთა მოსახლეობას“.⁶ გაზეთი აღნიშნავდა, რომ ზოგი მუსულმანი ქვეყნების მთავრობები გერმანელთა მახეში არ გაებმებიან. აღსანიშნავი და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ქართველი

¹ **თამარ ლორთქიფანიძე**. ნინო ჯორჯაძე. ქართველი ქალის თვალით დანახული პირველი მსოფლიო ომი. თბ., 2015, გვ. 138.

² გაზ. „**სახალხო ფურცელი**“. №115. 1914 წლის 18 ოქტომბერი. რუბრიკა „ომი“, გვ. 1. პორტების დაბომბვის შესახებ ასევე იხ: **მიხეილ სვანიძე**. ოსმალეთის ისტორია. ნაწ. II. 1600-1923 წწ. თბ., ქრონოგრაფი, 2002, გვ. 252-261. სხვათაშორის, პირველად თურქებმა ოდესის პორტში მდგარი მცირე საბრძოლო ხომალდი „Донец“ ჩაძირეს, რასაც მოჰყვა გერმანული კრეისერ „ბრესლაუს“ და ჯავშნოსან „გიობენის“ მიერ რუსული შავი ზღვისპირა პორტების დაბომბვა. იხ: **Корсун, Н. Г.** Первая мировая война на Кавказском фронте: Оперативно-стратегический очерк. Москва. Воен изд-во, 1946, გვ. 3. წიგნის სრული ელ.ვერსია იხილეთ აქ: <http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=941DFFC50270F71AA2C3CBD81804BD46>, ან, იხილეთ ახალი, 2004 წლის გამოცემა.

³ გაზ. „**თემი**“. №190. 1914 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 1.

⁴ „**სახალხო ფურცელი**“. №124. 1914 წლის 29 ოქტომბერი. რუბრიკა „ომის დეპეშები“, გვ. 2.

⁵ **Sydney N. Fisher, William Ochsenwald**. The Middle..., გვ. 380.

⁶ გაზ. „**სახალხო ფურცელი**“. №131. 1914 წლის 6 ნოემბერი. რუბრიკა „სალვთო ომი“, გვ. 2.

პუბლიცისტები ყურადღებას ამახვილებენ არამარტო ოსმალეთის მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, არამედ ცდილობენ აქცენტი გააკეთონ მის პოლიტიკურ მომავალზე.¹ „სახალხო ფურცელი“ 14 ნოემბრის ნომერში ხსნის სპეციალურ რუბრიკას „პროექტი ოსმალეთის დანაწილებისა“, სადაც წერდა,² რომ „მოკავშირეებს ოსმალეთის მომავალი გადანაწილება უკვე გადანყვეტილი აქვთ და დანაწილების რამდენიმე პროექტი არსებობს“.³ ავტორი სავსებით სწორია ამ სიტყვებში. ოსმალეთის მომავალი დანაწილების შესახებ არაერთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. მათ შორის იყო 1915 წლის მარტში საფრანგეთის, რუსეთისა და ბრიტანეთის მიერ ხელმოწერილი „კონსტანტინოპოლის ხელშეკრულება“. ამ უკანასკნელის შესახებ სხვათა შორის საინტერესო ცნობებს გვანვდის მოგვიანებით გაზეთი „ერთობა“, რომელიც ხსნის სპეციალურ რუბრიკას სახელწოდებით „საიდუმლო დიპლომატია და საიდუმლო ხელშეკრულებანი“. აქ სწორადაა გარჩეული ამ ხელშეკრულების შინაარსი. „საფრანგეთი და ინგლისი თანახმა არიან, რომ რუსეთმა შეერთოს სრუტეები და კონსტანტინოპოლი“.⁴ შემდეგ გაზეთს მოჰყავს რუსეთის მთავრობის პასუხი, რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელები მიესალმებიან მოკავშირეების ამ შეთავაზებას. ანტანტის სახელმწიფოების ამგვარ პოლიტიკას ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ხშირად უწოდებენ „წინასწარ დაზვერვით იმპერიალისტურ და ექსპანსიონისტურ პოლიტიკას“.⁵ მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება ძალაში არასდროს შესულა, ინგლისი პრემიერი ასქვითი დიდი ენთუზიაზმით აღნიშნავდა, რომ „მას არაფერი ისე დიდ სიამოვნებას არ მიანიჭებდა, როგორც ოსმალეთის იმპერიის საბოლოო გაქრობა ევროპიდან და კონ-

¹ მაია მაჭავარიანი. 1914 წელი..., გვ. 140.

² რედაქცია ცდილობს მკითხველს ფართო წარმოდგენა შეუქმნას ამ საკითხზე და იშველიებს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ასქვითის მოსაზრებებს – ი.ნ.

³ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №138. 1914 წლის 14 ნოემბერი. რუბრიკა „პროექტი ოსმალეთის დანაწილებისა“, გვ. 2. აქ ავტორი ვარაუდობს, რომ „სტამბოლი და „ოსმალეთის სომხეთი“ რუსეთს, სირია-პალესტინა საფრანგეთსა და მესოპოტამია ინგლისს დარჩებოდა“.

⁴ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №260. 1915 წლის 17 აპრილი. რუბრიკა „ოსმალეთი ბედი“, გვ. 2. ასევე იხ: გაზ. „ერთობა“. №210. 1917 წლის 24 ნოემბერი. რუბრიკა „საიდუმლო დიპლომატია და საიდუმლო ხელშეკრულებანი“, გვ. 4. ცოტა გვიკვირს კიდევ, როგორ (თუნდაც მოგვიანებით – ი.ნ.) აღმოჩნდა ეს საიდუმლო მოლაპარაკებები პრესის ფურცლებზე – ი.ნ.

⁵ Elizabeth Monroe. Britain's Moment In The Middle East 1914-1956. London. The Johns Hopkins Press: Baltimore, 1963, გვ. 26. წიგნი ხელმისაწვდომია ფასიანი ელექტრონული სამეცნიერო ბიბლიოთეკის www.questia.com – ის მისამართზე – ი.ნ.

სტანტინოპოლის თუნდაც რუსეთისთვის გადაცემა“.¹ ქართული პრესის ყურადღება ასევე მიიპყრო კავკასიის ფრონტმა. ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ოსმალეთის ომში ჩართვის შემდეგ საქართველო გადაიქცა ფრონტისპირა მხარედ. კავკასიის ფრონტზე ბევრმა ქართველმა ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა და თავიც განსაკუთრებულად გამოიჩინეს. სარიყამიშის ბრძოლამ (1914 წ. 22 დეკემბერი – 1915 წ. 7 იანვარი), განსაკუთრებით დიდი დანტერესება გამოიწვია, რომლის შესახებაც ჟურნალი „კლდე“ ვრცელ ანალიტიკურ სტატიასა და სპეციალურ რუბრიკას გვთავაზობს სათაურით „საბედისწერო ომი სარიყამიშთან“. აქ დეტალურად გარჩეული არის სარიყამიშის ბრძოლის მნიშვნელობა და მისი მოსალოდნელი შედეგები. ავტორი (ფსევდონიმით „დიოგენი“) თავდაპირველად დანვრილებით მიმოიხილავს სარიყამიშის ადგილმდებარეობას და შემდეგ აღნიშნავს ამ ბრძოლის მნიშვნელობას. ოსმალთა ამ მარცხს ის აბრალებდა სურსათისა და იარაღის ნაკლებობას, „რასაც მოჰყვა ის ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც მთელმა ქალაქმა ბაირაღების გაშლით იღღესასწაულა“.² გაზეთი „იმერეთი“ დანვრილებით აღწერს სარიყამიშის ბრძოლის მიმდინარეობას. აღნიშნავს მეომარი მხარეების რაოდენობას, შეიარაღებასა და იმ სირთულეებს, რაც გადაადგილებებისას ექმნებოდათ ჯარისკაცებს.³ განსაკუთრებით ეს ითქმის ოსმალებზე, რომლებიც მაღალმთიან ზონაში მოხვდნენ და ქარბუქმა და ძლიერმა ყინვამ დიდი დანაკარგები მიაყენა.⁴ მიუხედავად ასეთი პირობებისა, გაზეთი აღნიშნავდა, რომ „ოსმალები მაინც თამამად მიიწვევენ წინ“-ო.⁵ სარიყამიშის ბრძოლაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ტარასი ვაშაკიძემ, რომელიც ცნობილია, როგორც „შაითან კაპიტანი“. მის მიერ თურქი ისხან ფაშისა და თურქთა III არმიის მთელი IX კორპუსის დატ-

¹ ასტვითის შესახებ იხ: **Who's Who – Herbert Asquith**. <https://www.firstworldwar.com/bio/asquith.htm>. ასევე იხ: **Sir Oliver Popplewell**. *The Prime Minister and His Mistress*. USA. Lulu Publishing Services, 2014, გვ. 7-37.

² ჟურნ. „კლდე“. №40. 1914 წლის 31 დეკემბერი. რუბრიკა „საბედისწერო ომი სარიყამიშთან“, გვ. 9-10. ჟურნალის რედაქცია წინა ნომერში წერდა ოსმალეთის არმიის რაოდენობისა და შეიარაღების შესახებ. მითითებული იყო, რომ მათი რაოდენობა 100 ათასს აჭარბებდა. ჟურნ. „კლდე“. №39. 1914 წლის 21 ნოემბერი, გვ. 9. მართლაც, საერთოდ, 1914 წლის დეკემბერში კავკასიის ფრონტზე ოსმალთა არმია 150 ათასს აღწევდა, რომლებიც სხვადასხვა ადგილას (მათ შორის ერზერუმში) იყვნენ განლაგებულნი. იხ: **Edward J. Erickson**. *Ordered To Die. A History of the Ottoman Army in the First World War*. London. Greenwood Press, 2001, გვ. 55-57.

³ გაზ. „იმერეთი“. №12. 1915 წლის 21 იანვარი. რუბრიკა ომი, გვ. 3-4.

⁴ **Edward J. Erickson**. *Ordered To...*, გვ. 52-59.

⁵ გაზ. „იმერეთი“. №12. 1915 წლის 21 იანვარი. რუბრიკა ომი, გვ. 4.

ყვევების ამბავს დაწვრილებით აღწერს ვაზ. „იმერეთი“. „დატყვევების დროს ისხან-ფაშამ ჰკითხა ვ-ძეს (ვაშაკიძეს – ი.ნ.) რა ძალებით გვატყვევებთო? ვ-ძემ უჩვენა მარცხნივ და მარჯვნივ და უთხრა „აქ დივიზიაა, იქ პოლკი და იქით კიდევ ორი ბატალიონი“-ო. ისხან-ფაშამ ხელი ჩაიქნია და თავი ჩაჰკიდა. როდესაც სარიყამიშში მას უთხრეს, რომ სულ ერთი როტა იყო, ბრამზორეულმა მაგიდაზე ხელი დაჰკრა და წამოიძახა: „შაითან-კაპიტან, შაითან-კაპიტან“.¹ ტარასი ვაშაკიძის გმირობამ დიდად აღაფრთოვანა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს სპეციალურ რუბრიკას სახელწოდებით „სარიყამიშის გმირი“. აქ აღწერილია ტარასი ვაშაკიძისა და ისხან-ფაშას დიალოგი და აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელმა „ქართველ კაპიტანს შეითან-კაპიტან, ეშმაკი კაპიტანი უწოდა“.² კაპიტან ტარასი ვაშაკიძეს იხსენებს დავით ვაჩნაძე, რომელიც თავის მემუარებში წერდა, რომ „1906 წელს შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „კავკასიის ოფიცერთა კავშირის“ წევრი იყო კაპიტანი ვაშაკიძე, შემდეგ ცნობილი გმირი, რომელმაც 1914 წელს დაატყვევა მთელი შტაბი, შემოჭრილი ამიერკავკასიაში, თურქის ჯარისა. თურქებმა მას დაარქვეს „შაითან კაპიტან“.³

საინტერესო ცნობებია დაცული ეროვნული არქივის 1477-ე ფონდის აღწერაში⁴, რომლის ნახევარი ეთმობა სარიყამიშის ოპერაციებს. ამის შესახებ თავის დროზე, ბ-ნმა დენის ქასრაშვილმა გამოსცა საინტერესო მასალები, მაგრამ ყველა მათგანი არ შესულა მის გამოკვლევაში.⁵ ეს ფონდი დიდი რაოდენობით მასალებს შეიცავს, რომელთა უმრავ-

¹ ვაზ. „იმერეთი“ №14. 1915 წლის 24 იანვარი. რუბრიკა „ჟურნალ-გაზეთებიდან-ისხან ფაშა“. გვ. 2. გაზეთი აღნიშნავდა, რომ დამარცხებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ოსმალებში.

² ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ №12. 1915 წლის 22 მარტი. რუბრიკა „სარიყამიშის გმირი“, გვ. 10. რუბრიკას თან ახლავს ტარასი ვაშაკიძის ფოტოც. სარიყამიშის ოპერაციის მნიშვნელობაზე საუბრობს ვაზ. „სახალხო ფურცელიც“, რომელიც ამ ბრძოლასთან დაკავშირებით სპეციალურ რუბრიკას ხსნის სათაურით „სარიყამიში“. იხ: ვაზ. „სახალხო ფურცელი“ №168. 1914 წლის 20 დეკემბერი. რუბრიკა „სარიყამიში“, გვ. 2. ოსმალებისთვის სარიყამიშის ბრძოლის მნიშვნელობაზე იხილეთ: **Н.Г. Корсун.** Сарыкамьшская операция на Кавказском фронте мировой войны в 1914-1915 гг. Москва. Государственное Военное Издательства, 1937. 19-20. წიგნის სრული ელ. ვერსია იხილეთ აქ:

file:///C:/Users/U%20S%20E%20R/Downloads/Сарыкамьшская%20операция%20на%20Кавказском%20фронте%20Мировой%20войны%20в%201914-1915%20гг.%20(%20PDFDrive.com%20)%20(1).pdf

³ დავით ვაჩნაძე. სამშობლოს სამსახურში. მოგონებანი. ნაწ. I. ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი ივერია“. თბილისი-პარიზი. 1992, №1, გვ. 123.

⁴ სსკა. ფ. 1477, ანაწ. 1. დავით ნათიშვილის („ნათიევის“) პირადი ფონდი.

⁵ დენის ქასრაშვილი. ლეგენდარული კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე. თბ., 1997. აქ მხოლოდ დოკუმენტების გამოქვეყნებული, როგორც ზემოთაც ღვინძინეთ არასრული სახით, შესაბამისი კომენტარების გარეშე – ი.ნ.

ლესობა არ ყოფილა სამეცნიერო მიმოქცევაში.¹ სარიყამიშის ოპერაციის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით შემდეგი სათაურებით: „პროექტები სარიყამიშის ბრძოლის შესახებ“, „სარიყამიშის ოპერაციის აღწერა“, „მიმონერა ისხან ფაშასა და კაპიტან ვაშაკიდეს შორის“, „აღწერა კაპიტან ვაშაკიდის ბრძოლისა“ და ა.შ. ყველა მათგანი ძალიან დანვრლებით აღწერს ბრძოლის წინა პერიოდს, მიმდინარეობასა და მის შედეგებს. შედეგები კი მართლაც შთამბეჭდავი იყო. დატყვევებულ იქნა 107 ოფიცერი, 1300-მდე ჯარისკაცი. გარდა ამისა, ბრძოლიდან წამოღებულ იქნა 24 ტყვიამფრქვევი, 8 ზარბაზანი, უამრავი ტყვიანამალი, ცხენები და სხვ. ამ ყველაფრისთვის ტარასი ვაშაკიძე დაჯილდოებულ იქნა წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენითა² და საფრანგეთის სამხედრო მედლით „meddaille militaire“.³ გარდა ამ ჯილდოებისა, მოგვიანებით ტარასი ვაშაკიძე დაჯილდოებულ იქნა წმ. სტანისლავის მე-2 და მე-3 ხარისხისა და წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენებით, ხმლითა და ბაფთით.⁴ სარიყამიშის ბრძოლაში სხვა ქართველი მეთომრებიც იღებდნენ მონაწილეობას. მაგალითად, გენერალ-ლეიტენანტი ვასილ გაბაშვილი (გენ. „გაბაევი“), რომელმაც 28 დეკემბრის ღამის ბრძოლაში ოსმალთა 32-ე ქვეითი დივიზიის ნაწილები გაანადგურა, რომლის შედეგადაც 2000-მდე ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს.⁵ გენერალი ნიკოლოზ ბარათაშვილი (გენ. „ბარათოვი“), რომელიც კავკასიის არმიაში, კავალერიის კორპუსის პირველი მეთაური იყო და დიდად გამოიჩინა თავი.⁶ სარიყამიშთან თავი გამოიჩინა ქაქუცა ჩო-

¹ მაგრამ ყველა მათგანის დეტალური გარჩევა დიდ ადგილს წაიღებს და საუბრის ცალკე თემაა. ჩვენი მოკრძალებული აზრით, მას მომავალში შეიძლება ცალკე, ერთი დიდი მონოგრაფიაც მიეძღვნას. ამჟამად ყურადღებას რამდენიმეზე გავამახვილებთ – ი.ნ.

² *სსკა. ფ.* 1477, ანან. 1, ს. 50, *ფურც.* 1-5. ტარასი ვაშაკიდის დაჯილდოების ფოტოები. დოკუმენტის ორიგინალის ელექტრონული ვერსია იხილეთ აქ: https://www.researchgate.net/publication/334442422_sstsap1477anatslsak50.

³ *სსკა. ფ.* 1477, ანან. 1, ს. 48, *ფურც.* 75-77. დოკუმენტების უმრავლესობა იმდენად დაზიანებულია, რომ ხშირ შემთხვევაში ძალიან ძნელი იყო ბოლომდე წაკითხვა და გარჩევა – ი.ნ. ასევე იხილეთ: *სსკა. ფ.* 1477, ანან. 1, ს. 42, *ფურც.* 10-15. *სსკა. ფ.* 1477, ანან. 1, ს. 43, *ფურც.* 5-15. *ფ.* 1477, ანან. 1, ს. 45, *ფურც.* 5-9. *სსკა. ფ.* 1477, ანან. 1, ს. 49, *ფურც.* 2-3. *სსკა. ფ.* 1477, ანან. 1, ს. 52, *ფურც.* 1-15.

⁴ **გიორგი უუუნაშვილი.** ქართველები სარიყამიშის ბრძოლაში. – „*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*“. ტ. II. თბ., 2011, გვ. 459.

⁵ **Корсун, Н. Г.** Первая мировая..., გვ. 41.

⁶ კავკასიის ფრონტზე მის სამხედრო ნიჭს კიდევ ერთხელ გავსვა ხაზი. იხ: *სსკა. ფ.* 1437, ანან. 1, ს. 64, *ფურც.* 4-5. *სსკა. ფ.* 1437, ანან. 1, ს. 65, *ფურც.* 1-3. გენერალ ბარათაშვილს ჩვენ ქვემოთ კიდევ ერთხელ დაუბრუნდებით – ი.ნ.

ლოცაშვილმაც, რომელიც ოქროს ხმლით იქნა დაჯილდოებული.¹

¹ გიორგი უუუუნაშვილი. ქართველები.., გვ. 456. გარდა ამისა, კიდევ ბევრი ქართველი იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. მათ შესახებ უამრავ საარქივო დოკუმენტს მივაკვლიეთ, რომელთა აქ გარჩევა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდ ადგილს წაიღებს და, ალბათ, საუბრის ცალკე თემაა და სხვა ფორმატს საჭიროებს – ი.ნ. კავკასიის ფრონტზე წარმოებული ბრძოლების შესახებ ასევე იხ.: <http://smolbattle.ru/threads/Кавказский-фронт-ПМВ.23527/> .

თავი III. 1915-1917 წლების სამხედრო ოპერაციები საარქივო დოკუმენტებისა და პრესის მასალების მიხედვით

კაცობრიობას არ ახსოვს ასეთი
სისხლისმღვრელი ომი
გაზ. „სამშობლო“, 1915 წ.

გაზ. „სამშობლო“ აღნიშნავდა, რომ ეს ომი გამოირჩეოდა არამარტო თავისი მასშტაბურობით, არამედ „ბრძოლის ახალი საშუალებებით“.¹ მართლაც, 1915 წლის 22 აპრილს იპრის არხზე (ბელგიაში) გერმანელებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოიყენეს ქიმიური იარაღი (ქლორი) და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს კიდეც.² გაზ. „თანამედროვე აზრი“ წერდა, რომ „იპრთან გერმანელებმა საყურადღებო ახალი გამოგონება გამოიყენეს. ეს არის სულის შემხუთავი გაზები, რომელიც ჯარისკაცებს სუნთქვას უძნელებს“.³ იმდენად დიდი ეფექტი მოახდინა ამ მოვლენამ, რომ „თანამედროვე აზრი“ სპეციალურ წერილსაც კი უძღვნის სათაურით „სად ამზადებენ სულის შემხუთავ გაზებს“, სადაც საუბარია ლიუდვისგაფენისა და მანჰიმის (სტილი დაცულია – ი.ნ.) ქიმიურ ქარხნებზე და მითითებულია, რომ სწორედ ამ ქარხანაში ამზადებენ მომწამლავ გაზებს.⁴ გაზ. „სახალხო ფურცელი“ დეტალურად აღწერდა, თუ როგორ იყენებდნენ გერმანელები მომწამლავ გაზებს მოწინააღმდეგეების მიმართ. „ეს გაზი გამოდიოდა განსაკუთრებული მილებიდან, რომლებიც იყო ტრანშეებში და აგრეთვე ყუმბარების გასკდომის დროს. გერმანელები, რომლებიც ამ გაზს ამოფარებული მოდიოდნენ, ჰქონდათ განსაკუთრებული სასუნთქი მანქანები და საფრები“. შემდეგ გაზეთი აღნიშნავდა, რომ გერმანელები ამ გაზებს ხმარობდნენ, როგორც იერიშის მისატანად, ისე მოსაგერიებლადაც. იქვე საუბარია იმ უკუშედეგებზე, რაც მის გამოყენებას ახლდა თან. „მხოლოდ ზურგის ქარის დროს გაზის მოქმედება არც ისე უვნებელია, როგორც ამის შესახებ სწერს გერმანელთა პრესა“.⁵ საინ-

¹ გაზ. „სამშობლო.. №52. 1915 წლის 10 აპრილი. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 2.

² Battles – The Second Battle of Ypres, 1915. <https://www.firstworldwar.com/battles/ypres2.htm>

³ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №35, 1915 წლის 14 აპრილი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 2.

⁴ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №75. 1915 წლის 2 ივნისი. რუბრიკა „სად ამზადებენ სულის შემხუთავ გაზებს“, გვ. 1.

⁵ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №266. 1915 წლის 24 აპრილი. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 2-3. გაზეთი ამ

ტერესო ფოტოა დაბეჭდილი „სახალხო ფურცლის სურათებიან დამატებაში“, სადაც ჩანს, თუ როგორ ცდილობენ ფრანგი ჯარისკაცები მოიგერიონ გერმანელთა ქიმიური იარაღი.¹

აღმოსავლეთის ფრონტზე უფრო მასშტაბური ბრძოლები მიმდინარეობდა. 22 მარტს რუსების მიერ პერემიშლის ალებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ქართველ პუბლიცისტთა შორის, რომლებიც მკითხველს ძალიან საინტერესო და ანალიტიკურ რუბრიკებს სთავაზობენ სახელწოდებებით „პერემიშლი“, „პერემიშლის ალება“, „პერემიშლის ალების მნიშვნელობა“ და სხვ.

პირველი გაზეთი, რომელმაც მკითხველს პერემიშლის ალების შესახებ ამცნო, იყო „სახალხო ფურცელი“, რომელიც წერდა, რომ პერემიშლის ალებას გარდა მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობისა, სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. „პერემიშლი რუსის ჯარის დიდ ძალებს აბანდებდა. ეხლა ეს ძალები განთავისუფლდა და წინ მიიწევა. ბანაკში მისი უდიდებულესობის (ნიკოლოზ II – ი.ნ.) თანდასწრებით, უმაღლესი მთავარსარდლის და მთელი შტაბის პარაკლისი იქნა გადახდილი“.² გაზეთი გვთავაზობს ავსტრიული პრესის მოსაზრებებს, რათა მკითხველს უფრო ფართო და სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას. თავად ავტორი, როგორც ჩანს, არ იზიარებს ავსტრიელთა ასეთ ოპტიმისტურ განცხადებებს. „ვენაში პერემიშლის ალების ამბავი საღამოს ექვს საათზე გამოაქვეყნეს. სამხედრო უწყებამ გამოაცხადა, რომ ამ ამბავს მოველოდით და პერემიშლის დაკარგვას არავითარი არსებითი გავლენა არ ექნება საქმის ვითარებისთვისო“.³ ცოტა ხანში იგივე „სახალხო ფურცელი“ აღნიშნავდა, რომ გერმანელებმა ძირითადი ნაწილები გადმოისროლეს აღმოსავლეთის ფრონტზე და „გორლიცეს ხაზზე დაიწყო სასტიკი ბრძოლა“-ო.⁴ გაზეთის რედაქცია ცენზურის მკაცრი მოთხოვნებიდან გამომდინარე⁵ ცდილობდა როგორმე შეემცირებინა გენერალ მაკენზენის ნაწილების წარმატებები და აქცენტს აკეთებდა მათ

პერიოდში ინფორმაციულობის სიმრავლის თვალსაზრისით, ყველა სხვა დანარჩენი პერიოდული გამოცემებისაგან გამოირჩეოდა – ი.ნ.

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი. სურათებიან დამატება“. №73. 1915 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 2.

² გაზ. „სახალხო ფურცელი. №232. 1915 წლის 12 მარტი. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 3.

³ გაზ. „სახალხო ფურცელი. №233. 1915 წლის 14 მარტი. რუბრიკა „პერემიშლის ალება“, გვ. 2.

⁴ გაზ. „სახალხო ფურცელი. №274. 1915 წლის 5 მაისი. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 2. გაზეთი საზოგადოებას აცნობდა მაკენზენის მოკლე ბიოგრაფიასაც. იხ: №292. 1915 წლის 28 მაისი. რუბრიკა „გენერალი მაკენზენი“, გვ. 2.

⁵ ალბათ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მოსახლეობაში არ გამოეწვიათ იმედგაცრუება – ი.ნ.

მიერ სწრაფად განხორციელებულ თავდასხმებზე. ე.წ. „გორლიცეს გარღვევა“ წარმატებით დასრულდა და გენერალ მაკენზენის¹ მეთაურობით გერმანელებმა მაისის ბოლოს აიღეს კიდევ პერემიშლი. „ფართო წრეებზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პერემიშლის აღებამ გერმანელების მიერ. ეს რასაკვირველია, გამარჯვებაა ჩვენი მტრის, რომელიც არც უნდა გავაზვიადოთ და არც უნდა დავამციროთ. ეხლანდელი პერემიშლი დანგრეულის ფორტებით, მოკლებული ძლიერს არტილერიას, აღარ არის ის პირველხარისხოვანი ციხე, როგორც იყო წინააღმდეგობა“. ² გერმანელებმა 22 ივნისს კი აიღეს ლვოვი და „ალბათ ჯერ კიდევ აღმოსავლეთისაკენ განაგრძობენ წინსვლას“ – სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა გაზეთის რედაქცია. ზაფხულის განმავლობაში გერმანელებმა აიღეს სხვა რიგი ქალაქებისა. ვარშავა, კოვნო, ოსოვეცი, ვილნო, გროდნო და სხვ. ამასთან დაკავშირებით პრესაში ჩნდება სპეციალური რუბრიკები „ვარშავის დაცლა“, „ვილნოს დაცლა“, „ვარშავის უკანასკნელი დღეები“ და ა.შ. გაზ. „თანამედროვე აზრის“ რედაქცია გულსტკივილით აღნიშნავდა, რომ „ქალაქი დაიცალა, პოლონეთის სიამაყე ვარშავა მონყენილ სასაკლავოს დაემსგავსა“. ³ გერმანელების ასეთმა მოულოდნელმა წარმატებებმა გარკვეული გაკვირვებაც კი გამოიწვია. „ბევრს უკვირს, როგორ მოხდა, რომ მოკლე ხანში გერმანელებმა თითქმის ყველა ციხეები დაიპყრეს. ივანგოროდი, კოვნო, გროდნო, ბრესტ-ლიტოვსკი. ეს უზარმაზარი, კარგად მოწყობილი პირველ ხარისხის ციხეები მათ თითქმის ერთი დარტყმით აიღეს“. ⁴ ბალკანეთის ფრონტზე სერბების თავგანწირულ ბრძოლის შესახებ სისტემატურად აწვდიდა სხვადასხვა სახის რუბრიკებს გაზ. „საქართველო“ და აღნიშნავდა, რომ „უკანასკნელ უამს ბელგრადში სერბები რკინის სიმტკიცით

¹ Hew Strachan. The First., გვ. 1118. გენ. მაკენზენის შესახებ იხ: **Who's Who – August von Mackensen.** <https://www.firstworldwar.com/bio/mackensen.htm>

² გაზ. „სახალხო ფურცელი“. №292. 1915 წლის 28 მაისი. რუბრიკა „პერემიშლი“, გვ. 2.

³ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №124. 1915 წლის 2 აგვისტო. რუბრიკა „ვარშავის უკანასკნელი დღეები“, გვ. 1. კოვნოს აღების შესახებ იხ: გაზ. „სახალხო ფურცელი“. №347. 1915 წლის 1 აგვისტო. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 1-2.

⁴ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №366. 1915 წლის 26 აგვისტო. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 2. ასევე იხ: გაზ. „საქართველო“. №61. 1915 წლის 4 აგვისტო. რუბრიკა „ომის დღიური“, გვ. 2. №64. 1915 წლის 8 აგვისტო. რუბრიკა „ომის დღიური“, გვ. 2-3. გაზ. „საქართველოს“ რედაქცია ისე აღაფრთოვანა გერმანელთა წარმატებებმა, რომ გვანდის ვილჰელმ II-სა და თავისი შტაბის ფოტოს ბრძოლის ველიდან. იხ: გაზ. „საქართველო“. №65. 1915 წ. გვ. 3.

იბრძოდნენ, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო“.¹ საბოლოო ჯამში, როგორც ცნობილია, სერბები მთელი ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში უკან იხევდნენ და იძულებულნი გახდნენ დეკემბერში საერთოდ დაეტოვებინათ სერბეთის ტერიტორია. გაზ. „თანამედროვე აზრი“ დიდად თანაუგრძნობდა სერბების თავგანწირულ ბრძოლას და დიდი სინანულს გამოთქვამდა, რომ მათ მოუწიათ ქვეყნის დატოვება. „სერბიის ჯარს ორი გზა დარჩა: ჩერნოგორიასა და ალბანეთში გადასვლა“.² სერბებმა ალბანეთი აირჩიეს და იქ მოახდინეს ჯარების გადასროლა, საიდანაც შემდეგ ისინი გადაიყვანეს კ. კორფუსა³ და ბიზერტაში (ტუნისში). მათმა ნაწილმა საბერძნეთის ტერიტორიაზე დაიხია და იქ შეუერთდა სალონიკის არმიას.⁴

დარდანელის ოპერაციის მსვლელობას თითქმის ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად აშუქებდნენ ქართულ პრესაში და მისადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო. გაიხსნა სპეციალური რუბრიკები „დარდანელი“, „დარდანელის გარშემო“, „დარდანელის დაცვა“, „გალიპოლი“ და სხვ. „დარდანელის ხელში ჩაგდებას სურვილმა ყველას მადა გაუღვიძა. არავინ იცის როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი“, – სავსებით სწორად შენიშნავდა უურნალი „კლდე“.⁵ საქმე ისაა, რომ სარიყამიშთან რუსული შენაერთების წარმატებებმა დაათქვამა ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელობა და ამ უკანასკნელებმა გადაწყვიტეს დაესწროთ რუსებისათვის და თავად დაეკავებინათ კონსტანტინოპოლი, რომელიც უნდა გადასცემოდა რუსეთს ომში გამარჯვების შემდეგ. საქმეც ეს იყო, რომ „რუსეთს არ უნდა გადასცემოდა კონსტანტინოპოლი მშვიდობის დამყარების შემდეგ“.⁶ ამ მიზნით დაიწყო დარდანელის სრუტეში ოპერაცია, რომელმაც საბოლოო ჯამში ორივე მხრიდან ძალიან დიდი დანაკარგები გამოიწვია. გაზ. „სახალხო ფურცელი“ ანალიზებდა დარდანელის ოპერაციის მნიშვნელობას და წერდა, „დარდანელის საკითხი ერთი უდიდეს სა-

¹ გაზ. „საქართველო“. №118. 1915 წლის 21 ოქტომბერი, რუბრიკა „ომის ამბები“, გვ. 2. №126. 1915 წლი 25 ოქტომბერი. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 2. №140. 1915 წლის 11 ნოემბერი. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 2 და ა.შ.

² გაზ. „თანამედროვე აზრი“. №203. 1915 წლის 6 ნოემბერი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 1.

³ აქ დაბინავდა სერბეთის მთავრობა პრემიერ პაშიჩის ხელმძღვანელობით. იხ: Who's Who – Nikola Pasic. <https://www.firstworldwar.com/bio/pasic.htm>

⁴ Peter Simkins, Geoffrey Jukes, Michael Hickey. The First..., გვ. 286.

⁵ უურნ. „კლდე“. №107. 1915 წლის 22 იანვარი. რუბრიკა „დარდანელის საკითხი“, გვ. 14.

⁶ David Fromkin. A Peace To End All Peace. New York. Henry Holt and Company, 1989, გვ. 138.

კითხთაგანია მთელი ქვეყნისათვის. ფიქრობენ, რომ დარდანელი ოსმალეთს უნდა ჩამოერთვას და მოხდეს მისი ნეიტრალიზაციაო“.¹ გაზეთი ცდილობდა მკითხველისთვის აეხსნა, თუ როგორ კარგად მომზადებული დახვდა ოსმალეთი ამ შემოტევას. „დიდი ხანი გაივლის, სანამ მოკავშირენი გაარღვევენ დარდანელს, თუკი გაარღვიეს საზოგადოდ“.² მართლაც, როცა მოკავშირეები დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ გაერთიანებული ფლოტით შეტევები უპერსპექტივო იყო, გადაწყვიტეს გადაესხათ დესანტი გალიპოლის ნახევარკუნძულზე. გაზ. „თანამედროვე აზრი“ ოპტიმისტურად იყო განწყობილი და აღნიშნავდა, რომ მოკავშირეთა ფლოტი და ხმელეთის ჯარი ერთად შეუდგებიან დარდანელის სიმაგრეების გარღვევას და სტამბული იძულებული იქნება „ან დანებდეს მოკავშირეებს, ან დაქცეულ იქნება“.³ შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად ოპტიმისტური მოსაზრებაა, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ გაზეთის რედაქცია თანაუგრძობს ანტანტის სახელმწიფოებს. ⁴ ოპერაციამ უშედეგოდ ჩაიარა. ამის მიზეზს „სახალხო ფურცელი“ სავსებით სამართლიანად თავად თურქულ არმიამი ხედავს და დასძენს, რომ ამ უკანასკნელებს „საკმაო დრო ჰქონდათ, რომ გერმანელების ხელმძღვანელობით კარგად გაემაგრებინათ დარდანელის ორივე მხარე“.⁵ ოპერაციის ჩავარდნამ დიდი ზიანი მიაყენა ჩერჩილის რეპუტაციას და მისი გადადგომა გამოიწვია.⁶ ამ ფაქტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა პრესაში. ყველა ერთხმად და ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ ჩერჩილის გადადგომა დიდი დანაკლისი იქნებოდა.

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №215. 1915 წლის 20 თებერვალი. რუბრიკა „დარდანელი“, გვ. 2. გაზეთი შემდეგ ნომერში მიუთითებდა, რომ დარდანელის გარღვევა ძალიან რთული საქმე იყო და მოითხოვდა ურიცხვ მსხვერპლს. „დარდანელი ძლიერაა გამაგრებული. პირველი ფორტების აღებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ოსმალეთს დიდძალი ჯარი ჰყავს, რომელიც ხელს უშლის ინგლის-საფრანგეთის ჯარის გადმოსხმას“. იხ: №216. 1915 წლის 21 თებერვალი. რუბრიკა „დარდანელი“, გვ. 2.

² გაზ. „სახალხო ფურცელი“. №219. 1915 წლის 25 თებერვალი. რუბრიკა „დარდანელის გარშემო“, გვ. 2.

³ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №13. 1915 წლის 15 მარტი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 2.

⁴ რაც არაა გასაკვირი, რადგან გაზეთი იმ პერიოდში საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მთავარი ტონისმიმცემი იყო და აძლევდა კიდევ გარკვეულ მიმართულებას საზოგადოების დამოკიდებულებას ომისადმი – ი.ნ.

⁵ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №245. 1915 წლის 31 მარტი. რუბრიკა „დარდანელის გარშემო“, გვ. 2 სხვათაშორის, მარტო გაზ. „საქართველო“ აღნიშნავდა კამპანიაში ავსტრალიელებისა და ახალზელანდიელების მონაწილეობას – ი.ნ. იხ: გაზ. „საქართველო“. №59. 1915 წლის 1 აგვისტო. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 3.

⁶ ჩერჩილის გადადგომის ოფიციალური დოკუმენტაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ:

<http://www.churchillarchive.com/explore/page?id=CHAR%202%2F68%2F2#image=0>. ასევე იხ: **Battles – The Gallipoli Front – An Overview**. https://www.firstworldwar.com/battles/overview_gf.htm და **Who's Who – Sir Winston Churchill**. <https://www.firstworldwar.com/bio/churchill.htm>

ჩვენ აქ ვხვდებით ჩერჩილის მოღვაწეობის ზომიერი შეფასების ფორმებს. „მართალია ჩერჩილს ხანდახან შეცდომა მოსდიოდა, მაგრამ სამაგიეროდ იგი ენერჯიასა და სიციხოველეს მატებდა სამინისტროს. ინგლისის საზღვაო ძალების მეფური ძლიერება ჩერჩილის წყალობაა. მისი დაუპრეტელი ენერჯია არავითარი სიძნელის წინაშე არ შედგებოდა“.¹ მართლაც, ჩერჩილის ძალიან დიდი დამსახურება იყო ინგლისის საზღვაო ძლიერება პირველ მსოფლიო ომში. აქ გვინდა ერთი პატარა კომენტარი გავაკეთოთ. ზოგადად, ქართულ პრესაში სავსებით სწორად აღნიშნულია გალიპოლის კამპანიის მნიშვნელობა და ადგილი. გალიპოლის ოპერაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირეებისათვის. ამას მონიშნავს თავად ჩერჩილის სიტყვები, როცა ის ამის შესახებ წერდა. „ეს არის უდიდესი კამპანია ისტორიაში. აღმოსავლეთისათვის კონსტანტინოპოლი უფრო დიდია, ვიდრე ერთად აღებული ლონდონი, პარიზი და ბერლინი დასავლეთისათვის. ეჭვსგარეშეა მისი დაცემა ძალიან მძიმე იქნება“.² გაზ. „სახალხო ფურცელი“ ასეთ საინტერესო დასკვნას აკეთებს. „გალიპოლში ოსმალოების გმირობამ და სიმამაცემ დაამტკიცა, რომ ევროპის ეს ავადმყოფი ადამიანი სრულიად ჯანსაღია და მოკავშირეების დიდი მსხვერპლის გაღება მოუხდათ“.³ მსხვერპლი ორივე მხრიდან მართლაც ძალიან დიდი იყო. მოკავშირეებმა 146 ათასი, ხოლო თურქებმა 186 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1915 წლის მაისში იტალია ჩაერთო ომში, თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა პრესაში თითქმის ყოველდღე იბეჭდებოდა ცნობები იტალიის მოსალოდნელი გადაწყვეტილებების შესახებ. უურნ. „კლდე“ საინტერესოდ შენიშნავდა, რომ იტალიაში ნეიტრალიტეტისა და ომში ჩარ-

¹ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №203. 1915 წ. რუბრიკა „ომის ამბები“, გვ. 2.

² **Winston S. Churchill**. The World Crisis. Toronto. The Macmillan Company of Canada, 1923, გვ. 534. ზოგი ავტორი, არამართო ჩერჩილის გადადგომას უკავშირებდა მოკავშირეების ამ მარცხს გალიპოლში, არამედ პრემიერ ასქვიტის მთავრობის გადადგომასა და რუსეთში ნიკოლოზ II-ის ტახტიდან ჩამოგდებასაც კი. იხ: **David Fromkin**. A Peace To..., გვ. 231. წიგნის სრული ელ.ვერსია იხ:

<https://ia902802.us.archive.org/17/items/APeaceToEndAllPeaceTheFallOfTheOttomanEmpireAndTheCreationOfTheMiddleEast1989/A%20Peace%20to%20End%20All%20Peace%2C%20The%20Fall%20of%20the%20Ottoman%20Empire%20and%20the%20Creation%20of%20the%20Middle%20East%20%281989%29.pdf>

³ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №500. 1915 წლის 11 თებერვალი. რუბრიკა „ომის გარშემო“, გვ. 2. აღსანიშნავია, რომ ეს ფრაზა „ევროპის ავადმყოფი ადამიანი“ სხვაგან არ შეგვხვდრია – ი.წ. როგორც ცნობილია, მასში ოსმალეთის იმპერია მოიაზრებოდა, რომელსაც ასე მოიხსენიებდნენ. იხ: **Arthur Marwick, Clive Emsley, Wendy Simpson**. Total War and Historical Change Europe 1914-1955. United Kingdom. Open University Press, 2007, გვ. 73. ასევე იხ: **Feature Articles – The Minor Power During World War One – Turkey**. https://www.firstworldwar.com/features/minorpowers_turkey.htm. პირველად ეს ტერმინი ნიკოლოზ I-მა გამოიყენა ოსმალეთის იმპერიის მიმართ.

თვის მომხრეებს შორის „ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ ლამის ერთმანეთს დაერივნენო“.¹

გარდა იტალიისა, ასევე ინტენსიურად იბეჭდებოდა ბულგარეთისა და რუმინეთის შესახებაც ცნობები, სპეციალურ რუბრიკებში, რომლებიც მკითხველს საინტერესოდ მოუთხრობდნენ ამ ქვეყნების მოსალოდნელი გადაწყვეტილებების შესახებ საომარ მოქმედებებში ჩართვასთან დაკავშირებით. ცდილობენ, რაც შეძლება ობიექტური სურათი მიიტანონ მკითხველამდე და ამისთვის იყენებენ სხვადასხვა სააგენტოების მასალებსაც.² პირველ საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობას იტალიელების ბრძოლის შესახებ გვანვდის გაბ. „თანამედროვე აზრი“, რომელიც აღნიშნავდა, რომ „იტალიელებმა ავსტრიელთა გამაგრებული ხაზი გაარღვიეს და მდინარე იზონცომდე მოვიდნენ, სადაც საშინელი ბრძოლა გაჩაღდა“.³ ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვთავაზობს „სახალხო ფურცელი“, რომელიც წერდა, რომ „გაზეთმა კორიერე დ'იტალიამ (სტილი დაცულია. დაარსდა 1898 წელს – ი.ნ.) ყალბი ცნობა გამოაქვეყნა იტალიის ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ და ამიტომ გაზეთის ნომერი დაატუსაღეს“. აქ სწორედ იტალიელთა შეტევები იგულისხმება მდ. იზონცომდე, როდესაც უამრავჯერ სცადეს იტალიელებმა ამ მდინარის გადალახვა, მაგრამ ყველა ჯერზე უშედეგოდ. მხოლოდ ერთხელ შეძლეს მათ მონინალმდეგის თავდაცვის გარღვევა, ისიც რამდენიმე დღით, რის შემდეგაც კვლავ უკან დაიხიეს. ტრენტინოს ოპერაციის (რომელიც ახ.სტ-ით 1916 წლის 15 მაისს დაიწყო) შესახებ სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, გაბ. „სახალხო ფურცელი“ რომ ეს ოპერაცია ცვალებადი წარმატებებით მიმ-

¹ უერნ. „კლდე“. №17. 1915 წლის 10 მაისი. რუბრიკა „იტალია ფიქრობს“, გვ. 2. ასევე იხ: „სახალხო ფურცელი“. №223. 1915 წლის 13 მარტი. რუბრიკა „იტალია და სამთა შეთანხმება“, გვ. 2. გაბ. „თანამედროვე აზრი“. №61. 1915 წლის 16 მაისი. რუბრიკა „სამთა კავშირის დარღვევა“, გვ. 3. და სხვ.

² გაბ. „სახალხო ფურცელი“. №243. 1915 წლის 28 მარტი. რუბრიკა „ბულგარეთის ნეიტრალიტეტი“, გვ. 3. №361. რუბრიკა „ოსმალეთისა და ბულგარეთის შეთანხმება“, გვ. 4. გაბ. „სახალხო ფურცელი“. №640. 1916 წლის 3 აგვისტო. რუბრიკა „ბრატიანუს პოზიცია“, გვ. 2. გაზეთის რედაქცია ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე, წინასწარ აანალიზებდა, რომ, „ბრატიანუ იძულებული იქნება საბოლოოდ შეუთანხმდეს ოთხთა შეთანხმებას.(სტილი დაცულია – ი.ნ.) წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მისი პოლიტიკა ფუჭად ჩაივლისო“. აქ იგულისხმება ანტანტის ოთხი ქვეყანა: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და იტალია, რომლებთანაც ბრატიანუმ 1916 წლის 17 აგვისტოს (ახ. სტ. – ი. ნ.) დადო ხელშეკრულება და ანტანტის მხარეზე ომში ჩაება. მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთმა 28 აგვისტოს ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს, ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა და წლის ბოლოსათვის ის ოკუპირებული იქნა ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის ჯარების მიერ.

³ გაბ. „თანამედროვე აზრი“. №64. 1915 წლის 20 მაისი, რუბრიკა „იტალია-ავსტრიის ომი“, გვ. 2. №66. 1915 წლის 22 მაისი, რუბრიკა „ომის ამბები“, გვ. 1.

დინარეობდა და საბოლოო ჯამში დიდი მსხვერპლით დასრულდაო“.¹ დანაკარგები კი მართლაც დიდი იყო. მთლიანობაში იტალიელებმა მაინც შეძლეს მდ. იზონცოზე დაბრუნება, მაგრამ დიდი მსხვერპლის ფასად. მათ დაკარგეს 483 ათ. ჯარისკაცი, ავსტრია-უნგრეთმა კი – 260 ათასი. 1915 წელს მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც შემდგომში აშშ-ის ჩართვა გამოიწვია ომში. ეს იყო გერმანელების მიერ 12 მაისს გემ „ლუზიტანიის“ ჩაძირვა. ამ ფაქტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. პირველი ეს ცნობა მკითხველს „სახალხო ფურცელმა“ მიანოდა. სპეციალური რუბრიკით „გემ ლუზიტანიის დაღუპვა“, სადაც დეტალურად არის მოყვანილი გემის აღწერილობა და მგზავრთა რაოდენობა. გაზეთის რედაქცია ცდილობს მკითხველს ფართო წარმოდგენა შეუქმნას და ნუთობრივად აღწერს გემის დაღუპვას.² სხვათა შორის, გაზეთი აღნიშნავდა, რომ გემზე იმყოფებოდნენ ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენები და ასახელებს ერთ-ერთ მათგანს ვანდერბილდს. „თანამედროვე აზრი“ გვთავაზობს საინტერესო რუბრიკას „საერთაშორისო ომი“. აქ ვკითხულობთ, რომ ნალმმა ჩაძირა დიდი საოკეანო გემი ლუზიტანია, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.³ რედაქციას შემდეგ მოჰყავს ვოლფის სააგენტოს აზრი, რომელიც აცხადებდა, რომ „ლუზიტანია შეიარაღებული იყო და მოჰქონდა კიდევ საომარი მასალებიო. ამერიკელები წინდანინვე გაფრთხილებულები იყვნენ, რომ გემი ჩაიძირებოდაო“.⁴ „სახალხო ფურცელი“ ცდილობს მკითხველს გააცნოს გერმანული გაზეთების პოზიცია და ასეთ რამეს წერს: „წყალქვეშა ნაგები სამართლიანად მოიქცნენ, რადგან ლუზიტანია არა თუ მამველი კრეისერი იყო, არამედ უეჭველია სამხედრო სურსათიც მიჰქონდა ინგლისისათვის“, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ გერმანიის მთავრობა დიდ ნუხილს გამოთქვამს ამერიკელების დაღუპვის გამო.⁵ როგორც ცნობილია, ამის შემდეგ დაიძაბა აშშ-ისა

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №576. 1916 წლის 17 მაისი. რუბრიკა „ავსტრია-იტალიის ასპარეზი“, გვ. 3.

² გაზ. „სახალხო ფურცელი“. №268. 1915 წლის 28 აპრილი. რუბრიკა „გემ ლუზიტანიის დაღუპვა“, გვ. 2. ურნ. „კლდე“. №16. 1915 წლის 3 მაისი. რუბრიკა „ლუზიტანიის დაღუპვა“, გვ. 14. ავტორი ფსევდონიმით „დიოგენი“.

³ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №47. 1915 წლის 28 აპრილი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 1-2. მსხვერპლი მართლაც დიდი იყო. დაიღუპა 2000-მდე ადამიანი, მათ შორის 128 ამერიკელი. იხ: Patrick J. Kelly. Tirpitz and the Imperial German Navy. USA. Indiana University Press, 2011, გვ. 399. **Feature Articles – RMS Lusitania: The Fateful Voyage.** <https://www.firstworldwar.com/features/lusitania.htm>

⁴ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №47. 1915 წლის 28 აპრილი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 2.

⁵ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №274. 1915 წლის 5 მაისი. რუბრიკა „ომის გარემო“, გვ. 2. №286. 1915 წლის 21 მაისი. რუბრიკა „გერმანია და ამერიკა“, გვ. 3.

და გერმანიას შორის ურთიერთობა. ამასთან დაკავშირებით პრესაში იხსნება სპეციალური რუბრიკა „გერმანია და ამერიკა“, სადაც დეტალურად გარჩეულია მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკებები. ყველა ერთხმად თანხმდებოდა, რომ მათ შორის ურთიერთობა მწვავედებოდა.¹ ამასთან დაკავშირებით, გაზ. „საქართველო“ მკითხველს სთავაზობს ვილსონის გამოსვლების ტექსტებს ორ ვრცელ სპეციალურ რუბრიკაში სახელწოდებით „ვილსონის სიტყვა“ და „ზავი და ამერიკა“.² „მე მშვიდობიანობის მომხრე ვარ და ბევრიც ვიბრძოლე მისთვის. მე არ შემიძლია გითხრათ, ხვალ როგორი იქნება საერთაშორისო განწყობილება ჩვენი ქვეყნისა. მე მუდამ ვეცდები მსოფლიოს მშვიდობიანობა არ დაირღვეს, თუმცა ამერიკას მსოფლიო განწყობილებაზე გავლენა არა აქვს. ამერიკის შეერთებულ სახელმწიფოთა პრეზიდენტად ხელახლად არჩეულმა უილსონმა აღნიშნა, რომ ამერიკას ეს ომი ისე მკაცრად შეეხო, რომ მათ საგანგებოდ უნდა იზრუნონ თავიანთ ინტერესთა დაცვისათვის“ – ეს სტატიები და ვილსონის ეს სიტყვებიც ერთგვარად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ვიზიარებთ მსჯელობის ამ ნაწილს და მასში უმთავრესად სწორი აქცენტებია დასმული. სინამდვილეშიც ასე იყო. შემთხვევითი არაა ისიც, რომ ვილსონის ეს სიტყვა 1916 წლის ნომერშია გამოქვეყნებული. 1916 წელს ვ. ვილსონი პრეზიდენტად მეორე ვადით იქნა არჩეული. პრეზიდენტის წინასწარჩევნო კამპანიას ერთგვარად წითელ ხაზად გასდევს მოწოდება მშვიდობიანობისაკენ და ეს გამოიხატა წინასწარჩევნო სლოგანშიც, რომლის მთავარი აზრი ის იყო, რომ „მან ჩვენ ომს აგვააცილა“³.

ბრძოლები მიმდინარეობდა მესოპოტამიასა და სპარსეთშიც. გაზ. „საქართველო“ დაწვრილებით გადმოგვცემდა ამ რეგიონში მომხდარი ბრძოლების შესახებ და სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა მოკავშირეთა უპირატესობებს ოსმალების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, სპარსეთმა 1914 წლის 2 ნოემბერს ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და ახლა კი მოსთხოვა რუსეთს გაეყვანა ჯარი ჩრდილო ირანიდან და დაიწყო ანტირუსული აჯ-

¹ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №50. 1915 წლის 2 მაისი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 2.

² გაზ. „საქართველო“. №16. 1916 წ. რუბრიკა „ვილსონის სიტყვა“, გვ. 2. №278. რუბრიკა „ზავი და ამერიკა“, გვ. 2.

³ „He kept us out of war“. იხ: **Who's Who – Woodrow Wilson**. <https://www.firstworldwar.com/bio/wilson.htm>
პრეზიდენტ ვ. ვილსონის (1856-1924) მეორე საპრეზიდენტო ინაუგურაციის (1917 წლის, 4 მარტი) მიმართვა – **Primary Documents – President Woodrow Wilson's Inauguration Address, 4 March 1917** – იხილეთ: <https://www.firstworldwar.com/source/wilson1917inauguration.htm>

ანეების მომზადება. სპარსეთს მხარდაჭერა აღმოუჩინა თურქეთმა და ვანისა და ურმიის რაიონში თავი მოუყარეს დიდი რაოდენობით სამხედრო ნაწილებს.¹ დაიწყო ალაშკერტის სამხედრო ოპერაცია (1915 წლის ივლის-აგვისტო), რომლის დროსაც რუსებმა შეძლეს თურქების არმიის დამარცხება. სწორედ აქ გამოჩნდა კიდევ ერთხელ გენ. ნიკოლოზ ბარათაშვილის (გენ. „ბარათოვის“) სამხედრო ტალანტი. ნოემბრის განმავლობაში ქართველმა გენერალმა² დაიკავა მთელი რიგი ქალაქები ყაზვინი, ქუმი, ჰამადანი და სხვ. დეკემბრის პირველ ნახევარში კი განადგურებულ იქნა თურქების ყველა სამხედრო ფორმირებები. ეს მოკავშირეებისთვისაც სასარგებლო იყო, რადგან ამ გზით შეძლებდა რუსეთის არმია დაკავშირებოდა მათ. გაზ. „საქართველო“ აღტაცებით აღნიშნავდა, რომ „ახლა გენ. ბარათოვს შეეძლება შეუერთდეს ინგლისელებს ბალდადისაკენ“.³ ინგლისელებიც კი აღფრთოვანებულნი დარჩნენ ქართველი გენერლის გამარჯვებებით და დააჯილდოვეს კიდევ სპეციალური ბათით.⁴ გაზ. „საქართველო“ წერდა, რომ გენერალმა „ბარათოვმა“ დიდი პატივისცემა და სახელი დაიმსახურა სპარსეთში, „როგორც კარგმა მხედარმა და გონიერმა დიპლომატმა“.⁵

კავკასიაში რუსეთის არმიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. არზრუმის ოპერაციის (მიმდინარეობდა 1916 წ. 10 იანვარი – 16 თებერვალი) შედეგად, რუსებმა აიღეს არზრუმი, ტრაპიზონი, მოგვიანებით კი – ერზინჯანიც. ჯერ კიდევ იანვარში გაზ. „საქართველო“ ოსმალებისთვის დამამიდებელ პროგნოზს აკეთებდა და წერდა, რომ ამ უკანასკნელებს „დიდი იმედი აქვთ დამყარებული არზრუმის ციხის ძალღონებზე. მისი აღება კი თავზარის დამცემი იქნება ოსმალთა იმპერიისათვის“.⁶ გაზ. „სახალხო ფურცელი“ გვთავაზობს საინტერესო მიმოხილვით რუბრიკას არზრუმის შესახებ სათაურით „არზრუმის აღების მნიშვნე-

¹ სხვათაშორის, გაზ. „საქართველო“ მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ თურქების უკან გერმანელები იდგნენო. გაზ. „საქართველო“. №47. 1917 წლის 1 მარტი. რუბრიკა „ბრძოლის ველზე“, გვ. 2.

² რომელიც იქ გაიგზავნა გავლენის შენარჩუნების მიზნით. *სსცა. ფ.* 1437, ანან. 1, ს. 64, ფურც. 10.

³ გაზ. „საქართველო“. №47. 1917 წლის 1 მარტი. რუბრიკა „ბრძოლის ველზე“, გვ. 2. ასევე იხ: № 88, რუბრიკა „მდგომარეობა მესოპოტამიაში“, გვ. 2. გენ. ტაუნმენდის მოქმედებების შესახებ. სხვათაშორის, ამის შემდეგ სპარსეთი პროანტანტურ ორიენტაციას დაადგა. იხ: **გიორგი კალანდია**. ქართველები.., გვ. 52 და 81.

⁴ *სსცა. ფ.* 1437, ანან. 1, ს. 64, ფურც. 1. *სსცა. ფ.* 1437, ანან. 1, ს. 80, ფურც. 3, 5, 7. *სსცა. ფ.* 1437, ანან. 1, ს. 81, ფურც. 77, 79-82.

⁵ გაზ. „საქართველო“. №178. 1917 წლის 13 აგვისტო. რუბრიკა „გენერალი ბარათოვი“, გვ. 3.

⁶ გაზ. „საქართველო“. №13. 1916 წლის 19 იანვარი. რუბრიკა „ომის გარემო“, გვ. 4.

ლობა“. გაზეთი აღნიშნავდა, რომ მისი აღება დიდი მნიშვნელობის იყო, რადგან გავლენას მოახდენდა სხვა საბრძოლო ფრონტებზეც და „ოსმალეთს ხელს შეუბორკავს ევროპის ასპარეზზეცო“. ¹ ამ რუბრიკებიდან ჩანს, რომ თბილისში დიდი სახალხო დღესასწაული გამართულა არზრუმის აღების აღსანიშნავად. 16 აპრილის (ძვ.სტ – ი.წ.) გაზ. „საქართველო“ წერდა, რომ ოსმალეთი უნდა შეეგუოს ტრაპიზონის დაკარგვას და იქვე მიუთითებდა, რომ ტრაპიზონის აღებას მხოლოდ მორალური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და მისი მოკავშირეებისთვისო. ² 1916 წლის 21 თებერვალს დაწყებული ვერდენის ბრძოლას ქართული პრესა დროულად გამოეხმაურა და მთელი წლის განმავლობაში აშუქებდა მის მიმდინარეობას სპეციალური რუბრიკებით „ვერდენის ბრძოლის შესახებ“, „ვერდენი“, „ვერდენის გარშემო“, „ვერდენის რაიონი“ და სხვ. ყველა მათგანი ხაზს უსვამდა ამ ბრძოლის სისასტიკეს. გაზ. „თანამედროვე აზრი“ საზოგადოებას განუმარტავდა ამ ბრძოლაში გერმანელების მიზნებს და სწორად აღნიშნავდა, რომ „გერმანელთა მიზანია საფრანგეთის ფრონტის გარღვევა და პარიზზე გალაშქრება“. ³ ეს კამპანია მოკავშირეებს „უბარმაზარი მსხვერპლი დაუჭდათ“, – წერდა გაზ. „სამშობლო“. ⁴ მსხვერპლი მართლაც უბარმაზარი იყო. ფრანგებმა 350-ათასამდე ჯარისკაცი, ხოლო გერმანელებმა – 330 ათასი დაკარგეს. ⁵ ამას შედეგად მოჰყვა ფალკენჰაინის გადაყენება და შტაბის უფროსის თანამდებობაზე ფელდმარშალ ჰინდენბურგის დანიშვნა. „ფალკენჰაინის დათხოვნა ვერდენის წაგებას მოწმობს. ფალკენჰაინს ეპატიებოდა ნახევარ მილიონი ჯარის დაკარგვა, თუ კი ვერდენს აიღებსო, მაგრამ ფალკენჰაინმა სრულიად უნაყოფოდ განწყვიტა იმპერიის საუკეთესო ჯარი“, – წერდა გაზ. „სახალხო ფურცელი“. ⁶ გაზ. „თანამედროვე აზრი“ ცდილობს გაარკვი-

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №500. 1916 წლის 11 თებერვალი (ძვ.სტ. – ი.წ.). რუბრიკა „არზრუმის აღების მნიშვნელობა“, გვ. 2. სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ აქ ქართველი მეომრებიც იღებდნენ მონაწილეობას. იხ: ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №9. 1916 წლის 28 თებერვალი. გვ. 10. იხ: გიორგი კალანდია. ქართველები.., გვ. 48-49.

² გაზ. „საქართველო“. №84. 1916 წლის 16 აპრილი. რუბრიკა „ომის გარშემო“. გვ. 2. ასევე იხ: გაზ. „თანამედროვე აზრი“. №29. 1916 წლის 6 თებერვალი. რუბრიკა „არზრუმის აღება“, გვ. 2.

³ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №36. 1916 წლის 14 თებერვალი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 2. გაზეთის რედაქცია იქვე მიუთითებდა, რომ ვერდენის მსგავსი ბრძოლა ჯერ არსად მომხდარა.

⁴ გაზ. „სამშობლო“. №485. 1916 წ. რუბრიკა „ვერდენი“, გვ. 2.

⁵ Battles – The Battle of Verdun, 1916. <https://www.firstworldwar.com/battles/verdun.htm>, ასევე იხ: John Keegan. The first World War. Canada. Vintage Canada Edition, 2000, გვ. 280-286.

⁶ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №662. 1916 წლის 1 სექტემბერი. გვ. 2. მსჯელობის ასეთ პოზიციას იზიარებს გაზ.

ოს ამ ცვლილებების მიზნები და მკითხველს სთავაზობს საინტერესო რუბრიკას სახელწოდებით „ჰინდენბურგი და ფალკენჰაინი“, სადაც დეტალურად განიხილავს მათ განსხვავებულ სამხედრო სტრატეგიულ გეგმებს.¹ 1916 წლის 31 მაისსა და 1 ივნისს გაიმართა პირველი მსოფლიო ომის ერთადერთი საზღვაო ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობდა ორივე მხარის ფლოტი. იუტლანდიის საზღვაო ბრძოლაში ინგლისელებმა მარცხი განიცადეს. გაზ. „საქართველო“ ცდილობდა აეხსნა მკითხველისთვის ამ ბრძოლის მიმდინარეობა და გავირვებულია ინგლისელთა მოულოდნელი მარცხით. „მონაწილედგეთა ფლოტის დევნის დროს წყალქვეშებისაგან ინგლისელებს დაუკარგავთ 4 მსუბუქი კრეისერი“.² გაზ. „სახალხო ფურცელი“ ყველასაგან განსხვავებით, ძალიან დეტალურად აღწერს ამ ბრძოლის მიმდინარეობას, განსაკუთრებით მის მეორე ნაწილს, როცა აღმირალ ბიტის გამოდევნებისას აღმირალ შეერის ესკადრა გადააწყდა აღმირალ ჯელიკოს ბრიტანულ ფლოტს და აღნიშნავდა, რომ „გერმანელებს როგორც ეტყობა განზრახვა ჰქონდათ ინგლისის საზღვაო ძალების შერყევისა, რათა გავლენა მოეხდინათ ნეიტრალურ სახელმწიფოებზე. დანაკარგები ორივე მხრიდან დიდი იყო, განსაკუთრებით ღამის ბრძოლების დროს“.³ ამ ხნის განმავლობაში აღმოსავლეთის ფრონტზე რუსებმა რამდენიმე შეტევა განახორციელეს მონაწილედგის პოზიციებზე. „რუსეთის საერთო შეტევა ისეთი დიდი გამარჯვებით სწარმოებს, რომ გერმანია იძულებული შეიქნა მთავარი ყურადღება მიექცია აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზისათვის“, – წერდა გაზ. „საქართველო“.⁴ მართლაც 18-29 მარტს (ახ.სტ.) რუსების მიერ განხორციელებულმა ნაროჩის ოპერაციამ აიძულა გერმანია 4 დივიზია გადმოესროლა აღმოსავლეთში. 4 ივნისს დაიწყო წარმატებული ოპერაცია, რომელსაც „ბრუსილოვის გარღვევა“ ეწოდება, რის შედეგადაც აგვისტოში რუსებმა

„საქართველოც“ – ი.ნ. იბ: გაზ. „საქართველო“. №191. 1916 წლის 26 აგვისტო. გვ. 3.

¹ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №197. 1916 წლის 4 სექტემბერი. რუბრიკა „ჰინდენბურგი და ფალკენჰაინი“, გვ. 2-3.

² გაზ. „საქართველო“. №177. 1916 წლის 4 აგვისტო. გვ. 3. ეს 4 „კრეისერი“ იყო აღმირალ ბიტის ორი სახაზო გემი და 2 საესკადრო ნაღმოსანი. გაზეთი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული გერმანია გამოვიდა და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად გაზეთს მოჰყავდა აღმირალ ტირპისის მოსაზრება, რომ გერმანელებს ნაკლები დანაკარგი ჰქონდათ და „ამ ბრძოლამ დაარწმუნა ყველა გერმანეთის (სტილი დაცულია – ი.ნ.) სიძლიერეში ზღვაზედაც“.

³ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №581. 1916 წლის 24 მაისი (ძვ.სტ. – ი.ნ.). რუბრიკა „დიდი ბრძოლა ზღვაზე“, გვ. 2. №613. 1916 წლის 2 ივლისი. რუბრიკა „აღმირალ ჯელიკოს მოხსენება“, გვ. 2.

⁴ გაზ. „საქართველო“. №145. 1916 წლის 1 ივლისი. რუბრიკა „ბრძოლის ველზე“, გვ. 2.

ხელთ იგდეს ბუკოვინა, გალიცია და მივიდნენ კარპატებამდე. პირველი გაზეთი, რომელმაც საზოგადოებას ამის შესახებ აცნობა იყო „სახალხო ფურცელი“. „ბრუსილოვის ჯარი მედგარ წინააღმდეგობას უწევს მოპირდაპირეს და წინსვლას განაგრძობს ბევრი მიმართულებით“.¹ გაზ. „საქართველო“ გვთავაზობს საინტერესო ანალიტიკურ სტატიას, სადაც აღწერს, თუ როგორ იგდო ხელთ ბრუსილოვმა ბუკოვინა და შემდეგ გალიცია. „დიდი მსხვერპლი გაიწირა ორთავე მხრით“, – ვკითხულობთ სტატიაში. ბოლოს საუბარია რუმინეთზე და აღნიშნულია, რომ ბრუსილოვის ეს ნაბიჯი „ხელს უშლის რუმინეთის თავისუფალ მოქმედებას.“² აქ ავტორი გულისხმობს რუმინეთის ომში ჩაბმას, რომელიც ბრუსილოვის წარმატებულმა რეიდმა განაპირობა, თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წლის ბოლოსათვის რუმინეთის არმია პრაქტიკულად მთლიანად განადგურდა და ქვეყნის თითქმის მთელი ტერიტორიაც ოკუპირებული აღმოჩნდა. მოგვიანებით, იგივე გაზეთი მკითხველს საინტერესო რუბრიკას სთავაზობს, სადაც მოყვანილია ცნობილი ინგლისელი სამხედრო კორესპოდენტის ჩარლზ რეპინგტონის³ მიმოხილვა ბრუსილოვის გარღვევასთან დაკავშირებით. როგორც სტატიიდან ჩანს რეპინგტონი ქებით იხსენიებს ბრუსილოვს, რომელმაც „ბრწყინვალედ შეასრულა ეს დიდმნიშვნელოვანი შეტევა და ამით მოკავშირეთა შორის (ე.ი. ანტანტა – ი.წ.) საერთო მოქმედებას და მეგობრულ განწყობილებას საძირკველი გაუმაგრაო“.⁴ პირველ მსოფლიო ომში ისტორიაში პირველად მოკავშირეებმა გამოიყენეს ტანკები (ეს მოხდა 1916 წლის 15 სექტემბერს, სოფლებთან: კურსელეტი, მარტენ-შუიპი და ფლიორი).⁵ ამ ფაქტთან დაკავშირებით, მოგვიანებით „სახალხო ფურცლის სუ-

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №592. 1916 წლის 7 ივნისი, გვ. 2. 598-ე ნომერში დაბეჭდილია ბრუსილოვის ფოტოც მოკლე აღწერით. №680. 1916 წლის 24 სექტემბერი. რუბრიკა „ბრუსილოვის შეტევა“, გვ. 3.

² გაზ. „საქართველო“. №146. 1916 წლის 7 ივნისი. რუბრიკა „ბრძოლის ველზე“, გვ. 3.

³ ჩარლზ რეპინგტონი (Charles à Court Repington, 1858-1925) ცნობილი ინგლისელი ჟარისკაცი და სამხედრო მიმოხილველი იყო, რომელიც აქტიურად აშუქებდა ომის მიმდინარეობას და ბევრი საინტერესო ჩანაწერიც („The War Day by Day“) დაგვიტოვა. მაგალითად, იხ: Charles à Court Repington, *The First World War 1914-1918*, Vol.1, London: Constable, 1920. წიგნის ელ. ვერსია შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://ia800303.us.archive.org/27/items/firstworldwar19101repiuoft/firstworldwar19101repiuoft_bw.pdf რეპინგტონის ბიოგრაფიის შესახებ ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ: A. J. A. Morris. *Reporting the First World War: Charles Repington, The Times and the Great War*. Cambridge. Cambridge University Press, 2015. რეპინგტონის მოღვაწეობის შესახებ აგრეთვე იხ: **Who's Who – Charles Repington**. <https://www.firstworldwar.com/bio/repington.htm>

⁴ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №172. 1916 წლის 3 აგვისტო, გვ. 2.

⁵ ამას თავიდან დიდი ეფექტი ჰქონდა, თუმცა შემდეგ გერმანელებმა ისწავლეს ტანკებთან გამკლავება.

რათებიანი დამატება“ საინტერესო ფოტოს ბეჭდავს მოკლე აღწერით, როგორ ებრძვიან გერმანელები მოკავშირეების ტანკებს.¹ 1916 წელს მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა შორეულ აღმოსავლეთში, როცა 5 ივნისს არაბებმა წამოიწყეს აჯანყება ოსმალების წინააღმდეგ. გაზ. „სახალხო ფურცელი“ ამ ფაქტს სპეციალურ რუბრიკას უძღვნის სახელწოდებით „ამბოხება არაბეთში“, სადაც სწორად მიჰყვება ისტორიულ პროცესებს და წერს „ოსმალეთის მთავრობა ეხლა აღარ მაღავეს, რომ არაბეთში მართლა ამბოხება მოხდა. აჯანყდნენ მექის მიდამოებში და ჯედას რაიონში მცხოვრები არაბნი. ოსმალეთის მთავრობით აჯანყებულთ ინგლისელები ეხმარებიან“.² ასეთი აჯანყებები შემდგომშიც ხდებოდა და ინსპირირებული იყო ინგლისელთა მიერ, რომლებიც არ იშურებდნენ ფულად სახსრებს ადგილობრივი არაბების, უპირველესად ჰუსაინისა და მისი ვაჟის ფაისალის მიმართ.³

1917 წელი მეტად დატვირთული წელი იყო და აქედან გამომდინარე ეს ეტყობა კიდევ პრესის მასალებს. მათ ფურცლებზე წლის მეორე ნახევარი თითქმის მთლიანად რუსეთში მიმდინარე მოვლენებს ეთმობა და შედარებით ცოტა ადგილი რჩება ფრონტებზე მიმდინარე საომარი მოქმედებებისთვის. ამ ყველაფერს ემატებოდა მკაცრი ცენზურა, რასაც აღნიშნავს გაზ. „საქართველო“: „ცნობები ერთობ მცირე მოდის და ისიც სასტიკი ცენზურის ქვეშ“.⁴

1917 წლის 1 თებერვალს გერმანიამ გამოაცხადა „ტოტალური წყალქვეშა ომი“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩაძირვით დაემუქრებოდა ყველა ხომალდს (მათ შორის სავაჭროსაც), რომელიც დახმარებას გაუწევდა ანტანტის ქვეყნებს. ამ გადაწყვეტილებას საინტერესოდ გამოეხმაურა გაზ. „საქართველო“, საიდანაც ვიგებთ, რომ გერმანელების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი უფრო იმით არის განპირობებული, რომ „დებორგანიზაცია შეეტანა მენავეობაში და ამით ერთგვარად ეკონომიკური კრიზისისათვის მეომართა სახელმწიფოში ნიადაგი მოემზადებინა“.⁵ გაზეთის აზრით, ბლოკადას უფრო ეკონომიკური დატვირთვა

საბოლოოდ, ეს ეპოპეა ძალიან სისხლისმღვრელი გამოვიდა ორივე მხარისთვის. იხ: **Battles – The Battle of Flers–Courcellette, 1916.** <https://www.firstworldwar.com/battles/flers.htm>

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი. სურათებიანი დამატება“. №140. 1917 წლის 29 იანვარი, გვ. 3.

² გაზ. „სახალხო ფურცელი“. №613. 1916 წლის 2 ივლისი. რუბრიკა „ამბოხება არაბეთში“, გვ. 2.

³ რევამ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბ., „დიოგენე“, 2003, გვ. 202.

⁴ გაზ. „საქართველო“. №245, 1917 წლის 5 ნოემბერი, გვ. 2.

⁵ გაზ. „საქართველო“. №32. 1917 წლის 10 თებერვალი. რუბრიკა „ბრძოლის ველზე“, გვ. 1-2.

აქვს, ვიდრე სტრატეგიული. გერმანიის ბლოკადამ ერთგვარად მიზანსაც მიაღწია ვკითხულობთ სტატიაში და იქვე აღნიშნულია, რომ „მენავეობა ზოგიერთმა ნეიტრალურმა სახელმწიფომ სრულებით შესწყვიტა. გერმანია ეტყობა კმაყოფილია თავისი მოქმედებით და არა თუ არ ჰფიქრობს ბლოკადის შესუსტებაზე, პირიქით უფრო აძლიერებს“.¹

1917 წელს პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. აშშ ჩაერთო ომში ანტანტის მხარეს. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ გემ. ლუიტიანიის ჩაძირვის შესახებ. ამას დაემატა „ციმერმანის დეპეშის“ გამოქვეყნება ამერიკელთა მიერ. ამ ფაქტს გაზ. „საქართველო“ ყველასაგან განსხვავებით საკმაოდ ვრცელ და საინტერესო რუბრიკებს უძღვნის, სადაც დეტალურად აღწერს პროცესის მიმდინარეობას. თავდაპირველად განიხილავს გერმანიის დიპლომატიურ საქმიანობას, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგე ქვეყნების მიმართ და აღნიშნულია, რომ გერმანელი დიპლომატები ყოველ ღონეს ხმარობენ და „ბრძოლის ასპარეზზე ათასგვარ ქსელებს აბამენ მოპირდაპირის წინააღმდეგ და ცდილობენ ყოველი მხრიდან მას (ე.ი. აშშ-ის – ი. ნ.) ხელფეხი შეუკრან“² – ვკითხულობთ სტატიის დასაწყისში. გერმანელი დიპლომატების ასეთ მანევრებს ავტორი ადარებს მაკიაველის პრინციპებს³. შემდეგ ხაზგასმულია ციმერმანის⁴ დეპეშის მნიშვნელობაზე, რომელიც ამ უკანასკნელმა გაუგზავნა გერმანიის დესპანს მექსიკაში ეკარდტს.⁵ ვიზიარებთ ავტორის⁶ მსჯელობის იმ ნაწილს, რომელიც ეხება აშშ-მექსიკის ურთიერთობებს, სადაც ხაზგასმულია, რომ მათ შორის „კარგა ხანია ურთიერთობა გამწვავებულია. სამკვდრო სასიცოცხლო ომს არც ერთი მათგანი, უფრო კი მექსიკა, არ

¹ იქვე. „სახალხო ფურცელი“ იზიარებს ასეთ ნარატივს და კიდევ უფრო შორს მიდის და ხაზს უსვამს გერმანელთა ასეთი გადაწყვეტილების სტრატეგიულ მნიშვნელობას. „გერმანიას აზრად აქვს ჩრდილოეთის ზღვა და ლამანის არხი სრულიად ჩაკეტოს“. იხ: გაზ. „სახალხო ფურცელი“. №785. 1917 წლის 1 თებერვალი, გვ. 2-3.

² გაზ. „საქართველო“ №44. 1917 წლის 25 თებერვალი. რუბრიკა „ბრძოლის ველზე“, გვ. 2.

³ „მიზანი ამართლებს საშუალებას“ – ავტორი, ალბათ, ყველაზე მეტად ამ პრინციპს გულისხმობდა, როცა ამ სიტყვებს წერდა – ი.ნ.

⁴ ართურ ციმერმანი (Arthur Zimmermann, 1865-1940) გერმანელი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1916-1917 წლებში. იხ: Who's Who – Arthur Zimmerman <https://www.firstworldwar.com/bio/zimmermann.htm>

⁵ Primary Documents – Zimmermann Telegram, 19 January 1917. დოკუმენტის ელ. ვერსია იხ: <https://www.firstworldwar.com/source/zimmermann.htm> ციმერმანის დეპეშამ და გემ „ლუიტიანიის“ ჩაძირვამ აშშ ომში ჩააბა გერმანიის წინააღმდეგ.

⁶ რომლის ვინაობის დადგენა ცოტა რთულია, რადგანაც სტატიას ბოლოს დართული აქვს მხოლოდ ინიციალი „X“ – ძნელი გამოსაცნობია ამ შემთხვევაში, თუ ვინ შეიძლება იყოს – ი.ნ.

მოერიდება, თუ ამისთვის საბაზი და მიზეზი მიეცა“.¹ შემდეგ გარჩეულია დეპეშის შინაარსი და უმთავრესად სწორი აქცენტებია დასმული. ჩანს, რომ ავტორი ღრმად არის ჩახედული ამ საკითხში. ციმერმანის დეპეშა² გერმანიის დესპანს ავალეხდა, ერჩია მექსიკის პრეზიდენტ კარანსასათვის, რომ იგი თავს დასხმოდა აშშ-ს. ომის დაწყების შემთხვევაში გერმანია თავის თავზე იღებდა მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. თანაც ის გამარჯვების შემთხვევაში ჰპირდებოდა მექსიკის ხელმძღვანელობას, რომ ამ უკანასკნელებს მიეცემოდათ საშუალება, უკან დაებრუნებინათ აშშ-ის მიერ 1845-1848 წლებში მიტაცებული ტეხასის, არიზონასა და ნიუ-მექსიკოს შტატების ტერიტორიები. ამის შემდეგ ავტორი საუბრობს ციმერმანის სურვილზე, რომ იაპონიაც ჩაითრიონ ამ ოპერაციებში. ციმერმანი „ურჩევს ელჩს წინადადება მისცეს მექსიკის პრეზიდენტს, რათა გერმანია-იაპონიას შორის შუაკაცობა იკისროს“. მართლაც გერმანია ოფიციალურად სთხოვდა კარანსას თავისი და გერმანიის სახელით მიემართა იაპონიისათვის, გაეწყვიტა კავშირი ანტანტასთან და თავს დასხმოდა აშშ-ის.³ ავტორი საინტერესოდ აღნიშნავს, რომ „თუ ამერიკა ომს გამოუცხადებს გერმანიას, მაშინ მექსიკის დახმარებით იმდენს მაინც იზამს, რომ ამერიკის ქვეითთა ჯარს დააბანდებს და ამ რიგათ საშუალებას მოუსპობს ევროპის ასპარეზზე მოკავშირეებს ჯარი მიაშველოს“. მხოლოდ ერთ რამეში ვერ დავეთანხმები სტატიის ავტორს, როცა ის წერს, რომ „ციმერმანის ეპისტოლეს თავისი შედეგი უკვე მოუტანია“-ო.⁴ ლოგიკურია, რომ აქ, ის **გერმანიისთვის** (ხაზგასმა ჩვენია – ი.ნ.) სასურველ შედეგს გულისხმობს. ციმერმანის დეპეშას კი შედეგად მხოლოდ ის მოჰყვა, რომ ანტანტამ აშშ-ის სახით ძალიან ძლიერი მოკავშირე შეიძინა. ომის დაწყებიდან აშშ ისედაც ეხმარებოდა ანტანტის ქვეყნებს ეკონომიკურად და ფინანსურად და ახლა, უშუალოდ ჩაერთო კიდევ ომში გერმანიის წინააღმდეგ. საერთო-

¹ გაზ. „საქართველო“ №44. 1917 წლის 25 თებერვალი. რუბრიკა „ბრძოლის ველზე“, გვ. 2. გაზ. „სახალხო ფურცელი“ №800. 1917 წლის 21 თებერვალი, გვ. 2. №808. 1917 წლის 2 მარტი, გვ. 2.

² „ციმერმანის დეპეშის“ ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.archives.gov/education/lessons/zimmermann>

³ Ed. Charles. F. Horne. Source Records Of The Great War, Vol V, By. USA. National Alumni, 1923, გვ. 42-47. იხ: <https://ia801601.us.archive.org/10/items/in.ernet.dli.2015.242648/2015.242648.Source-Records.pdf> John Keegan. The first..., გვ. 351. ასევე იხ: **Primary Documents – Arthur Zimmermann on the Zimmermann Telegram, 29 March 1917.** https://www.firstworldwar.com/source/zimmermann_speech.htm **Primary Documents Zimmermann Telegram, 19 January 1917.** <https://www.firstworldwar.com/source/zimmermann.htm> და **The Zimmermann Telegram.** <https://www.archives.gov/education/lessons/zimmermann>

⁴ გაზ. „საქართველო“ №44. 1917 წლის 25 თებერვალი. რუბრიკა „ბრძოლის ველზე“, გვ. 2.

დაც, 1917 წლის 6 თებერვალს აშშ-მ განცვიტა დიპლომატიური ურთიერთობები გერმანიასთან და მას 1917 წლის 6 აპრილს ომი გამოუცხადა.¹ ჯერ კიდევ 1917 წლის მარტში გაზ. „ერთობა“ და „სახალხო ფურცელი“ ამ მოვლენების შემხედვარე აკეთებდნენ წინასწარ დასკვნას, რომ ამერიკა ადრე თუ გვიან გერმანიას ომს გამოუცხადებდა.² გაზ. „საქართველო“ ეხება ამერიკელთა ომში მონაწილეობის საკითხს და სწორად აღნიშნავს, რომ „ამერიკელები მზად არიან საფრანგეთის ფრონტზე შესატყვად“.³ მართლაც ამერიკელებმა 1917 წლის ივნისში პირველი ამერიკული კონტინგენტი გადმოსხეს საფრანგეთში, რაც, ალბათ, უფრო მოკავშირეების მორალურ მხარდაჭერას გულისხმობდა, ვიდრე საომარ მოქმედებებს. დასავლეთში 1917 წელს ინგლისელებმა და ფრანგებმა მოაწყვეს რამდენიმე იერიში. 9 აპრილს, ფრანგმა მთავარსარდალმა ნიველმა⁴ დაიწყო შეტევა ვალი-სენკანტენ-არასის მიმართულებით. გაზ. „საქართველო“ პარიზიდან მიღებული დეპეშების დახმარებით ამცნობს მკითხველს ამ შეტევის შესახებ. „მთელი დღის განმავლობაში ბრძოლის ხაზზე ზარბაზნების სროლა იყო. ზარბაზნებს ვუშენდით და ზიანს ვაყენებდით სენ-კანტენის (სტილი დაცულია – ი.ნ.) მიდამოებში მტრის მოსაგერიებელ ადგილებს. საკმაოდ წავინით წინ და თან გერმანელთა იერიშებს ვიგერიებდით“.⁵ ამ შეტევას წარმატება არ მოჰყოლია, რადგან, როგორც ცნობილია, 4 აპრილს გერმანელებს ხელთ ჩაუვარდათ ფრანგი ოფიცერი, რომელსაც თან აღმოაჩნდა ოპერაციის გეგმა. ოპერაციის წარუმატებ-

¹ Primary Documents – U.S. Declaration of War with Germany, 2 April 1917 – <https://www.firstworldwar.com/source/usofficialawardeclaration.htm> ასევე იხ: **Ed. Charles. F. Horne.** Source Records..., გვ. 106-107.

² გაზ. „ერთობა“. №3. 1917 წლის 17 მარტი. რუბრიკა „ამერიკა და ომი“, გვ. 2. გაზ. „სახალხო ფურცელი“. №827. 1917 წლის 24 მარტი, გვ. 2.

³ გაზ. „საქართველო“. №115. 1917 წლის 31 მაისი. რუბრიკა „ბრძოლის ველზე“, გვ. 2. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა საბერძნეთის ომში ჩართვა ანტანტის მხარეზე, (1917 წლის 30 ივნისს – ახ.სტ.) რასაც წინ მნიშვნელოვანი ცვლილებები უსწრებდა. მეფე კონსტანტინესა და ვენიზელოსის შესახებ იხ: გაზ. „საქართველო“. №119. 1917 წ. რუბრიკა „საბერძნეთის მეფის ტახტიდან გადადგომა“, გვ. 2. გაზ. „ერთობა“. №61. 1917 წ. რუბრიკა „საბერძნეთის მეფის გადადგომა“, გვ. 2.

⁴ გაზ. „საქართველოს სურათებიანი დამატება“ 1916 წელს მკითხველს აცნობდა, რომ ნიველმა შეცვალა საფრანგეთის არმიის მთავარსარდალის პოსტზე გენ. ჟოფრი და თან გენ. ნიველის პორტრეტსაც ბეჭდავდა. „საქართველო. სურათებიანი დამატება“. №50. 1916 წ. დეკემბერი, გვ. 2. ეს ცვლილება სწორედ 1916 წლის დეკემბერში განხორციელდა. იხ: **Who's Who – Robert Nivelle.** <https://www.firstworldwar.com/bio/nivelle.htm>

⁵ გაზ. „საქართველო“. №78. 1917 წლის 11 აპრილი. რუბრიკა „ომის დეპეშები“, გვ. 2. №80. 1917 წლის 14 აპრილი, გვ. 2.

ლობას მოჰყვა ნიველის გადაყენება და მის ადგილზე ანრი-ფილიპ პეტენის დანიშვნა.¹ 31 ივლისს ინგლისელთა ფლანდრიაში შეტევის შესახებ სწორად აღნიშნავდა გაზ. „საქართველო“, რომ ეს „შემოტევა მოგერიებულ იქნა (გერმანელების მიერ – ი.ნ.) და თან დიდი დანაკარგებით“.² დანაკარგი მართლაც დიდი იყო. განსაკუთრებით ინგლისელთა მხრიდან, რომლებმაც 244 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს. ფრანგებმა 50 ათასი, გერმანელებმა კი – 270 ათ. ჯარისკაცი.³ რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ მომზადებული იერიშით რუსებმა 10 ივლისს აიღეს გალიჩი, ხოლო მეორე დღეს კი – კალუში. გალიჩის აღებას ეხმაურება გაზ. „საქართველო“, სადაც ვკითხულობთ, რომ რუსების „ძლევამოსილმა ჯარმა ქალაქი გალიჩი აიღო და მოწინავენი დნესტრის მარცხენა ნაპირზე გადასხა“. საპასუხოდ გერმანელებმა და ავსტრია-უნგრეთის ჯარებმა წამოიწყეს კონტრშეტევა, რომელმაც კატასტროფული შედეგები მიიღო რუსეთისათვის. არმიამ დაშლა დაიწყო. „გერმანელების გამარჯვებას რუსეთში დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მათი შეტევა ჯარისა და ხალხის გასამხნეველბადაა დაწყებული“.⁴ გერმანელების მიერ დაწყებულ რიგის ოპერაციას ყველაზე ვრცლად გაზ. „საქართველო“ შეეხო და გაზეთის რედაქცია ხსნის სპეციალურ რუბრიკას სახელწოდებით „როგორ იხევენ რუსის ჯარები უკან“, სადაც წერს: „გერმანელები რიგის ფრონტზე თავგამოდებით იბრძვიან. გერმანელებმა სასტიკად დაამარცხეს რუსის ჯარი. როდესაც რუსის მხედრობის უკანასკნელი ჯარები გადიოდნენ რიგიდან, გერმანელები უკან დახეულ რუსის ჯარებს თოფებსა და ყუმბარებს ესროდნენ“.⁵ მართლაც 1 სექტემბერს (ახალი სტილით – ი. ნ.) გერმანელებმა დაიწყეს რიგის ოპერაცია, რომელიც დიდი წარმატებით დაასრულეს. 3 სექტემბერს აიღეს რიგა და სამი დღის შემდეგ, 6-ში სასტიკად დაამარცხეს რუსული შენაერთები. 1917 წლის 22 დეკემბრის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებების შესახებ თითქმის ყველა პერიოდული გამოცემა ხსნის სპეციალურ რუბრიკას „ომი და ზავი“, სადაც დეტალურად არის განხილული ბრესტ-ლიტოვსკში დაწყებული საზავო მოლაპარაკებები, წინაპირობები, მიმდინარეობა, მოსალოდნელი შედე-

¹ Who's Who – Henri-Philippe Petain. <https://www.firstworldwar.com/bio/petain.htm>

² გაზ. „საქართველო“. №177, 1917 წლის 12 აგვისტო, გვ. 2.

³ ამის შემდეგ განხორციელდა კიდევ რამდენიმე შეტევა, თუმცა თითქმის ყველა მათგანი (გარდა ვერდენისა 1917 წ. 22-24 აგვისტოს) უკანდახევით დასრულდა.

⁴ გაზ. „საქართველო“. №141. 1917 წლის 1 ივლისი, (ძვ. სტ. – ი.ნ.). რუბრიკა „ომი და ზავი“, გვ. 2.

⁵ გაზ. „საქართველო“. №197. 1917 წლის 7 სექტემბერი. რუბრიკა „როგორ იხევენ რუსის ჯარები უკან“, გვ. 2.

გები და ა.შ. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა იტალიის ფრონტზეც. იტალიელები თითქმის მთელი წლის განმავლობაში განაგრძობდნენ შეტევებს მდ. იზონცოზე. წლის დასასრულს კი ცენტრალური ქვეყნების სარდლობამ გადაწყვიტა იტალიელებისთვის ძლიერი დარტყმა მიეყენებინათ. გაზ. „ერთობა“ სწორად შენიშნავდა, რომ იტალია-ავსტრიის ფრონტზე სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდაო. „ავსტრიელებმა იტალიის ფრონტზე დიდძალ ჯარებს მოუყარეს თავი და იერიშები დაიწყეს. ამ იერიშებმა უკვე ნაყოფი გამოიღეს და იტალიელები უკან იხევენ“.¹ მართლაც, 24 ოქტომბერს გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და აიღეს კაპორეტო. ამ პუნქტის სახელი მიიღო კიდევ იტალიელთა გრანდიოზულმა მარცხმა.² ამის შემდეგ გაზ. „საქართველო“ აღნიშნავდა, რომ „იტალიელები სისხლისგან დაიცალნენ. სასტიკად დამარცხდნენ და მდინარე პიავემდე დაიხიეს“.³ იტალიელებმა მართლაც სასტიკი მარცხი იგემეს. საერთო ჯამში დანაკარგებმა 600 ათასი ჯარისკაცი შეადგინა. (დაიღუპა 10 ათასი, დაიჭრა 35 ათ, ტყვედ ჩავარდა 265 ათასი ჯარისკაცი. დანარჩენები კი ძირითადად დემერტირები იყვნენ). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისელები აგრძელებდნენ წინსვლას სამხრეთის მიმართულებით. 1917 წლის 11 მარტს ბრიტანელებმა ბალდადი აიღეს. ამ ფაქტმა დიდი გამომხმაურება კპოვა. გაზ. „თანამედროვე აზრი“ აღნიშნავდა ბალდადის სტრატეგიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. „ბალდადი სამხრეთ სპარსეთის გასაღებია. ბალდადის დაკარგვა გავლენას მოახდენს საერთაშორისო ასპარეზზე“.⁴ ბრიტანელების მიერ იერუსალიმის აღებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. გაზ. „საქართველო“ წერდა: „ინგლისელები იერუსალიმში შევიდნენ. ჯარის მთავარსარდალმა⁵ ქალაქში შესვლისთანავე სამხედრო წესები გამოაცხადა. გამოიცა აგრეთვე ბრძანებები, რათა მფარველობა გაუწიონ წმინდა ადგილებს“.⁶

ასე შექედებოდა 1915-1917 წლების საომარი მოქმედებები ქართული პრესის ფურცლებზე. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მდგომარეობა თანდათან უფრო მძიმდებოდა

¹ გაზ. „ერთობა“. №172. 1917 წ. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 2.

² B.H. Liddell Hart. History of the First World War. London. Pan Books, 1972, გვ. 349-354.

³ გაზ. „საქართველო“. №254. 1917 წლის 16 ნოემბერი.. რუბრიკა „იტალიის ფრონტის გარღვევა“, გვ. 2.

⁴ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №59. 1917 წლის 13 მარტი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 2. ასევე იხ: გაზ. „საქართველო“. №47. 1917 წ. რუბრიკა „ბალდადის აღება“, გვ. 2.

⁵ ედმუნდ ალენბი. Battles – The Fall of Jerusalem, 1917. <https://www.firstworldwar.com/battles/jerusalem.htm> ასევე იხ: T.A. Heathcote. The British Field Marshals 1736-1997. Pen & Sword Books, London, 1999, გვ. 22.

⁶ გაზ. „საქართველო“. №269. 1917 წლის 10 დეკემბერი. რუბრიკა „აღმოსავლეთის ფრონტი“, გვ. 2.

ქართული საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც პროგერმანულად იყო განწყობილი ბოლომდე ასეთ პოზიციებზე რჩებოდა და გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდათ. ეს კარგად ჩანს დავით ვაჩნაძის მემუარებში, როცა ეს უკანასკნელი იხსენებს მიხეილ წერეთლის მიერ 1917 წელს წარმოთქმულ სიტყვებს: „გერმანელები ჯერ კიდევ ძლევამოსილნი არიან. მათი დამარცხების ნიშნები არ ჩანს. პირიქით, მათ უკვე დააჩოქეს ერთი თავისი ძლიერი მონაალმდევ რუსეთი და შეიძლება მალე კავკასიაშიც შემოვიდნენ“.¹

¹ დავით ვაჩნაძე. სამშობლოს..., გვ. 144.

თავი IV. 1918 წელი ქართულ ნარატიულ წყაროებში

ომის გამოწვევა ადვილია, დასრულება კი რთული
გაზ. „ერთობა“, 1918.

1918 წელი წინა წელთან შედარებით ორმაგად დატვირთული იყო. ომი ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდებოდა. 1918 წლის 11 ნოემბერს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ლოიდ ჯორჯი¹ აცხადებდა: „ვიმედოვნებ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საბედისწერო დილამ ბოლო მოუღო ყველანაირ ომს“.² როგორც ყველა, ასევე ქართული საზოგადოებაც სულმოუთმენლად ელოდა ომის დასრულებას. აი, რას წერდა 1918 წელს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“: „ქართველი ერის მონივნად ხალხთან ერთად მოუთმენლად ელის ქვეყნის გამავერანებელ სისხლის ღვრის შეწყვეტას და პირველი ჩვენი სურვილი იმაშია, რომ მომავალ სამშვიდობო კონგრესის (ე. ი. პარიზის საზავო კონფერენციის – ი. ნ.) მუშაობას სარჩულად დამონავებულ ერთა ემანსიპაციის პრინციპი დაედოს“.³ ყველა ელოდებოდა, რომ ომის დასასრული იქნებოდა რაღაც ახლის დასაწყისი. გერმანიასთან დადებული ზავი იქნებოდა ხანგრძლივი მშვიდობის საწინდარი. „ჩვენ ვდგავართ უდიდესი ბოროტების ალაგმვის პირას“, – აღნიშნავდა გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“.⁴ იდეაში ეს ასეც უნდა ყოფილიყო. პირველი მსოფლიო ომის დასასრული მოასწავებდა ახალი დღის წესრიგის, ახალი საერთაშორისო ურთიერთობების დასაწყისს, რისი ნათელი მაგალითიც უნდა ყოფილიყო პარიზის საზავო კონფერენციის მსვლელობა და ვერსალის ზავის დადება. ამ უკანასკნელის შემდეგ ევროპაში თითქოს მდგომარეობა უნდა განმუხტულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სრულიად მართალი აღმოჩნდა ფრანგი

¹ მას ეს თანამდებობა ეკავა 1916 (7.XII.) – 1922 (22.X.) წლებში.

² „I hope we may say that thus, this fateful morning, came to an end all wars“. იხ: **A. J. P. Taylor**. British History 1914-1945. Oxford: The Clarendon Press, 1965. გვ. 114. წიგნის სრული ელ. ვერსია შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://books.google.ge/books?id=KL5IMdG8rDEC&printsec=frontcover&dq=taylor+british+history+1914-1945&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiA7ZPZ5dfiAhUGxMQBHWiWAowQ6AEIJAA#v=onepage&q=taylor%20british%20history%201914-1945&f=false>

³ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №65. 1918 წლის 13 ოქტომბერი, გვ. 2.

⁴ გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“. №18. 1918 წლის 31 ნოემბერი. რუბრიკა „საერთაშორისო ომი“, გვ. 2.

მარშალი ფერდინანდ ფოში¹, რომელმაც ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტის გაცნობის შემდეგ განაცხადა: „ეს არის არა ზავი, არამედ დაზავება 20 წლით“.² 1918 წლის 8 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა წამოაყენა პროექტი, რომელიც ცნობილია „14 პუნქტის“ სახელით და, რომელიც მსოფლიოს ომისშემდგომ მოწყობას ეხებოდა. გაზ. „კლდე“ ამასთან დაკავშირებით ხსნის სპეციალურ რუბრიკას „ამერიკის საზავო პირობები“, სადაც 14-ვე პუნქტს დეტალურად განიხილავს ისე, რომ არ არღვევს შინაარსსა და თანმიმდევრობას. რუბრიკის ბოლოს გაზეთის რედაქცია საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ამერიკელთა ეს მოთხოვნები ორპარტიანია, რადგან „ყოველ პრინციპიპალურ წინადადებას თან სდევს ისეთი პრაქტიკული დამატება, რომლითაც შეიძლება პირობების დარღვევა“.³ 1918 წლის 3 მარტს რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს ხელი მოაწერა. ამ ფაქტის აღსანიშნავად, გაზ. „ერთობა“ ხსნის სპეციალურ რუბრიკას სათაურით „ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება“, სადაც გაზეთის რედაქციას მოჰყავს უშუალოდ ბრესტ-ლიტოვსკიდან მიღებული დეპეშის შინაარსი და შემდეგ საკმაოდ დეტალურად განიხილავს საზავო ხელშეკრულების პირობებს. განსაკუთრებით ყურადღებას, რა თქმა უნდა, კავკასიაზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ „არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები ასევე დაუყოვნებლივ უნდა განიწმინდოს რუსის ჯარისაგან“.⁴ გარდა ამისა, გერმანული ჯარები უნდა დარჩენილიყვნენ ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც იდგნენ, ხოლო რუსეთს უნდა მოეხდინა არმიის სრული დემობილიზაცია. ეს ნამდვილი კაპიტულაცია იყო, მაგრამ რუსეთი გადაარჩინა დასავლეთის ფრონტზე გერმანელების მარცხმა. მიუყვებოთ თანმიმდევრობით. დასავლეთის ფრონტზე გერმანელებმა რამდენიმე შეტევა განახორციელეს, თუმცა ფრონტის ხაზის გარღვევა ვერ შეძლეს. 9 აპრილს მათ ახალი შეტევა

¹ მისი ბიოგრაფიის შესახებ იხ: **Who's Who – Ferdinand Foch**. <https://www.firstworldwar.com/bio/foch.htm> და **Unjustly Accused: Marshal Ferdinand Foch and the French „Cult of the Offensive“**. <https://www.firstworldwar.com/features/foch.htm>

² **Ruth Henig**. *Versailles and After, 1919-1933* (Lancaster Pamphlets). 2nd Edition. London. Routledge, 1995, გვ. 52. მან ვადაც კი ზუსტად გამოიყენო.

³ გაზ. „კლდე“. №5. 1918 წ. რუბრიკა „ამერიკის საზავო პირობები“, გვ. 4. №12. 1918 წ. რუბრიკა „ომი და ზავი“, გვ. 4. გვ. 2.

⁴ გაზ. „ერთობა“. №63. 1918 წლის 18 მარტი. რუბრიკა „ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება“, გვ. 3. ბრესტის ზავისა და მისი დამატებების შესახებ იხ: გაზ. „კლდე“. №22. 1918 წ. რუბრიკა „ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატება“, გვ. 3.

წამოიწყეს. გაზ. „ერთობა“ სწორად წერდა, რომ „გერმანელები ფლანდრიაში წარმატებით მიიწვევენ წინ“-ო¹, თუმცა ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა, რადგან ვერც აქ შეძლეს გერმანელებმა ფრონტის გარღვევა. როგორც ფლანდრიაში, მდ. ლისზე, ისე შემდგომი შეტევები დიდი მსხვერპლის ფასად უჯდებოდათ გერმანელებს. განსაკუთრებული ალტკინება გამოიწვია გერმანელების წინსვლამ პარიზისაკენ, როცა გერმანელებმა მოახერხეს მდ. მარნაზე გადასვლა და პარიზისთვის საფრთხის შექმნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზ. „ერთობა“ ხსნის სპეციალურ რუბრიკას სათაურით „საფრანგეთის მდგომარეობა“. „გერმანიის ჯარები პარიზს უახლოვდებიან, როგორც ეტყობა ამ შეტევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. პარიზის აღება – ეს მთელი საფრანგეთის დაპყრობაა. ძნელია იმის თქმა თუ რა მოჰყვება საფრანგეთის დღევანდელ დამარცხებას“.² არ გამართლდა „ერთობის“ მოსაზრება. 18 ივლისს (ახ. სტ) მოკავშირეები (მათი გაერთიანებული ჯარების მთავარსარდალი იყო მარშალი ფოში³) გადავიდნენ კონტრშეტევაზე და მოახერხეს გერმანელების 40 კმ-ით უკუგდება და პარიზისთვის საფრთხის მოხსნა. აგვისტოდან დასავლეთის ფრონტზე ინტენსიური შეტევები მიმდინარეობდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა, რომ „დასავლეთ ფრონტზე უდიდესი ბრძოლაა ფრანგები და ინგლისელები დიდ ფრონტზე აწარმოებენ შეტევას. ეს შეტევები სასარგებლოდ არ დამთავრდება მტრისთვისო (ე.ი. გერმანელებისთვის – ი.ნ.)“.⁴ სწორედაც განსაკუთრებით გერმანელებისთვის გამოდგა მძიმე ეს შეტევები, ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში.

1918 წლის 8 აგვისტოს დაიწყო პირველი მსოფლიო ომის ბოლო გრანდიოზული შეტევა დასავლეთის ფრონტზე. ანტანტის ჯარებმა შეუტიეს მოწინააღმდეგეს ამინთან და გაარღვიეს მისი პოზიციები. ეს დღე, დასავლეთის ფრონტზე გერმანელების სარდლის ერის ლიუდენდორფის⁵ თქმით, „იყო ყველაზე შავი დღე გერმანული არმიისათვის პირველ მსოფლიო ომში“.⁶ 12-15 სექტემბერს მოკავშირეების მიერ წარმატებით დასრულე-

¹ გაზ. „ერთობა“ №92. 1918 წ. რუბრიკა „დეპეშები – ბერლინი“, გვ. 2.

² გაზ. „ერთობა“ №113. 1918 წ. რუბრიკა „საფრანგეთის მდგომარეობა“, გვ. 3.

³ მის შესახებ ასევე იხილეთ ვრცელი რუბრიკა. ჟურნ. „ჯარი და ერი“. №4. 1918 წლის 4 დეკემბერი. რუბრიკა „გენერალი ფოში“, გვ. 2.

⁴ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №27. 1918 წლის 28 აგვისტო, გვ. 3.

⁵ Who's Who – Erich Ludendorff. <https://www.firstworldwar.com/bio/ludendorff.htm>

⁶ Erich Ludendorff. Ludendorff's Own Story. August 1914 – November 1918. Vol. 2. New York. Harper and

ბულ სენ-მიელის ოპერაციას ეხმაურება გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ და აღნიშნავს, რომ „მოკავშირეები წარმატებით მიიწვედნენ წინ და გვეგვენ ახალი შეტევის დაწყებას“-ო.¹ 14 ოქტომბერს მოკავშირეებმა განაახლეს შეტევები და ერთი კვირის თავზე მათ სერიოზულად შეავიწროვეს მონინალმდევე. გერმანელებმა დაიწყეს ანტვერპენ-მაასის ხაზზე უკანდახევა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ მიუთითებდა, რომ მოკავშირეების ამ გაფართოებულმა შეტევამ „გერმანელები დიდი ზარალით მაასიდან უკუაქციეს“.² უშუალოდ დაზავების დღისთვის (11 ნოემბრისთვის) მოკავშირეებმა შეძლეს ანტვერპენ-მაასის ხაზის სამხრეთში გარღვევა. მოკავშირეებმა წარმატებებს მიაღწიეს სალონიკის ფრონტზეც, რასაც 29 სექტემბერს ბულგარეთის კაპიტულაცია მოჰყვა. გაზ. „ერთობა“ აღნიშნავდა რა ბულგარეთის არმიის მძიმე მდგომარეობის შესახებ, ორი დღით ადრე ასეთ დასკვნას აკეთებდა: „ბულგარეთმა სურვილი გამოთქვა ზავის შესახებ და, რაც ალბათ მოხდება კიდევ“.³ 29 სექტემბერს ბულგარეთმა სალონიკში კაპიტულაცია გამოაცხადა. ეს იყო ანტანტის ბლოკის პირველი დიდი გამარჯვება. ბულგარეთს უნდა დაეტოვებინა საბერძნეთისა და სერბეთის ტერიტორია და მოეხდინა არმიის დემობილიზაცია. გაზ. „ერთობა“ იგივე ნომერში წერდა, რომ „ბულგარეთის მდგომარეობის მსგავსად ოსმალეთიც იგივე პოზიციას დაიკავებს, როგორსაც ბულგარეთიო“.⁴

გაზ. „სახალხო საქმე“ რამდენიმე დღით ადრე აწვდიდა მკითხველს ოსმალეთის მოსალოდნელი დაზავების შესახებ ინფორმაციას და იქვე განუმარტავდა, რომ „ოსმალეთი აწარმოებდა სეპარატიულ საზავო მოლაპარაკებას მოკავშირე სახელმწიფოებთან“.⁵ მართლაც, 30 ოქტომბერს მუდროსში (ვ. ლემნოსზე) ბრიტანულ ხომალდ „აგამენონზე“ თურქეთმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას ანტანტის ქვეყნების წინაშე და აქედან დაიწყო მისი დასასრულის დასაწყისი. ზავის თანახმად, თურქეთს უნდა დაეტოვებინა მესოპოტა-

Brothers, 1919. გვ. 326. წიგნის სრული ელ. ვერსია: <https://ia802905.us.archive.org/12/items/ludendorffsowns02ludagoog/ludendorffsowns02ludagoog.pdf>

¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №44. 1918 წლის 18 სექტემბერი. რუბრიკა „ომი“, გვ. 5. ეს შეტევები მიმდინარეობდა მდ. მაასსა და კამბრესთან, რის შედეგადაც 2 ოქტომბერს გერმანელებმა დაიწყეს ზიგფრიდის ხაზიდან უკანდახევა.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №75. 1918 წლის 26 ოქტომბერი. რუბრიკა „დეპეშები (ომი)“, გვ. 5.

³ გაზ. „ერთობა“. №206. 1918 წლის 27 სექტემბერი. რუბრიკა „დეპეშები“, გვ. 2.

⁴ იქვე.

⁵ გაზ. „სახალხო საქმე“. №367. 1918 წ. 26 ოქტომბერი. რუბრიკა „ოსმალეთის სეპარატიული ზავი“, გვ. 2.

მია, სირია, სომხეთი, არაბეთი და კილიკიის ნაწილი. ამ ყველაფერს ემატებოდა ისიც, რომ გამარჯვებულებს ეძლეოდათ უფლება შავ ზღვაში შესულიყვნენ და კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ოკუპაცია მოეხდინათ.¹ 1918 წლის ნოემბრის დასაწყისში დასრულდა საომარი მოქმედებები ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგაც. შეტევები რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა. მაგალითად, სერბებმა ოქტომბერში გაანთავისუფლეს ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და 1 ნოემბერს შევიდნენ ბელგრადში. ამ მნიშვნელოვან მოვლენას საინტერესოდ გამოეხმაურა გაზ. „საქართველო“, რომელიც სპეციალურ რუბრიკას ხსნის ამ ფაქტის აღსანიშნავად სახელწოდებით: „ავსტრო-უნგრეთის ჯარის წასვლა სერბიიდან“, სადაც გაზეთის რედაქცია მკითხველს აცნობდა, თუ როგორ შეხვდა ბელგრადი სერბებს.²

იტალიის ფრონტზე მიმდინარე მოვლენების შესახებაც გაზეთი მსგავსს სპეციალურ რუბრიკას ხსნის „ავსტრო-უნგრეთის წასვლა იტალიიდან“, სადაც საინტერესოდ აღწერილია იტალიელთა შესვლა ქალაქებში.³ 30 ოქტომბერს იტალიელები შედიან ვიტორიოში, ხოლო 3 ნოემბერს უდინე, ტრიენტი და ტრიესტი აიღეს. ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ ომის დამთავრებასა და კაპიტულაციამდე ვერც კი მიაღწია, ნაწილ-ნაწილ ისე დაიშალა. 28 ოქტომბერს დამოუკიდებლობა გამოაცხადა ჩეხეთმა, ხოლო 31 ოქტომბერს – უნგრეთმა. ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას საინტერესოდ გამოეხმაურა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. აქ ვკითხულობთ: „ავსტრო-უნგრეთი შეიძლება ვთქვათ დაირღვა. მისი ნაწილებისაგან შემდგარი სახელმწიფოებია: ვენგრია (სტილი დაცულია. უნგრეთი – ი. ნ.) და ჩეხო-სლოვაკია. ავსტრიის ნაწილებად დაყოფის დროს არ მომხდარა არავითარი განსაკუთრებული ექსცესები“.⁴ შემდეგ ავტორი საუბრობს მათ მიერ დაღებულ კაპიტულაციებზე

¹ როგორც ეს ნოემბერში მოხდა კიდევ. იხ: Nur Bilge Criss. Istanbul Under Allied Occupation 1918-1923. Leiden, Boston, Köln. Brill, 1999, გვ. 99-100. ზაგის მე-11 და მე-15 მუხლების თანახმად ოსმალებს კავკასიის (მათ შორის საართველოსი) ოკუპირებული ტერიტორიებიც უნდა დაეტოვებინა.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №80. 1918 წლის 1 ნოემბერი, რუბრიკა „ავსტრო-უნგრეთის ჯარის წასვლა სერბიიდან“, გვ. 2.

³ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №82. 1918 წლის 3 ნოემბერი. რუბრიკა „ავსტრო-უნგრეთის წასვლა იტალიიდან“, გვ. 2.

⁴ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №82. 1918 წლის 3 ნოემბერი. რუბრიკა „ავსტრო-უნგრეთის მდგომარეობა“, გვ. 3.

და აღნიშნავს, რომ „მათი შინაარსი ჩვენ ჯერ არ ვიცით“-ო¹. როგორც ცნობილია, 3 ნოემბერს ანტანტის წინაშე კაპიტულაციას ავსტრიამ და უნგრეთმა, როგორც ცალკე სახელმწიფოებმა მოაწერეს ხელი და უნდა მოეხდინათ არმიის დემობილიზაცია. გერმანიასთან დადებულ საზავო ხელშეკრულებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გაიხსნა რუბრიკები სახელწოდებით „ზავი“, „დროებითი ზავი“, „ზავის საკითხი“, „ზავის გარშემო“ და ა.შ. ყველა მათგანში მოყვანილი იყო საზავო პირობები და ამ პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც უნდა შეესრულებინა გერმანიას. „მარშალ ფოშთან მივიდნენ გერმანიის დელეგატები² და ოფიციალურად სთხოვეს დროებით ზავზე მოლაპარაკების დაწყება“, – წერდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.³ ზავის პირობების შესახებ გაზ. „სახალხო საქმე“ გადმოგვცემდა გერმანული გაზეთების მოსაზრებებს, რომ „ზავის პირობები იყო სამარცხვინო ძალდატანება გერმანიისთვის“.⁴ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ აღნიშნავს გერმანული გაზეთების ასეთ საერთო აღტკინებას და მიუთითებს საზავო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. „გერმანიამ ამ პირობით უნდა გადასცეს ანტანტის ქვეყნებს 5000 ლოკომოტივი და 15.000 საბარგო ვაგონი“.⁵ გარდა ამისა, გერმანიას ანტანტის ქვეყნებისთვის უნდა გადაეცა 5 ათ. მძიმე და საველე ქვემეხი, 50 ათ. ტყვიამფრქვევი, 2 ათ. თვითმფრინავი, 5 ათ. გამართული ავტომანქანა, 6 დრედნოუტი, 8 მძიმე კრეისერი, 300 წყალქვეშა ნავი. გერმანიას 15 დღეში უნდა დაეცალა ელზას-ლორენი და რუმინეთი. გამოეყვანა ჯარები ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის ტერიტორიებიდან. ჩაებარებინა ჯარები აღმოსავლეთ აფრიკაში და უარი ეთქვა ბუქარესტისა და ბრესტ-ლიტოვსკის ზავებზე. მდ. რაინის მარცხენა სანაპირო ანტანტის ჯარებს უნდა დაეკავებინათ. გერმანელებმა გარკვეული ვაჭრობის შემდეგ შეძლეს პირობების უმნიშვნელოდ შემსუბუქება. ვალერიან გამყრელიძე თავის მოგონებებში იხსენებდა: „ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ლოიდ ჯორჯი (ინგლისის პრემიერი) ამბობდა: „გერმანელებს შეუძლიათ მოიგონ ბრძო-

¹ იქვე.

² რომლებსაც ხელმძღვანელობდა მათიას ერცბერგერი.

³ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №89. 1918 წლის 12 ნოემბერი. რუბრიკა „ზავის გარშემო“, გვ. 4. გაზ. „ერთობა“. №244. 1918 წლის 12 ნოემბერი. რუბრიკა „ზავის საკითხი“, გვ. 2.

⁴ გაზ. „სახალხო საქმე“. №386. 1918 წლის 17 ნოემბერი. რუბრიკა „ზავის პირობები“, გვ. 2.

⁵ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №93. 1918 წლის 16 ნოემბერი. რუბრიკა „ზავის გარშემო“, გვ. 3.

ლა, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ომის მოგება“.¹

„დროებითი ზავის ჩამოგდების გამო დღეს მთელ ფრონტზე საომარი მოქმედება შეწყდა“, – წერდა „საქართველოს რესპუბლიკა“.² მართლაც, 11 ნოემბერს, დილით, კომპიენის ტყეში, მარშალ ფოშის ვაგონში მათიას ერცბერგერმა ხელი მოაწერა გერმანიის კაპიტულაციას პირველ მსოფლიო ომში და ასე დასრულდა „ყველა ომის დამამთავრებელი ომი“. დავით ვაჩნაძე იხსენებს გერმანელი ლეიტენანტის³ ემილიო კაიზერის სიტყვებს: „ჩვენმა მოკავშირეებმა თუ წაგვიხდინეს წავაგებთ, მაგრამ ათი წლის შემდეგ კვლავაც აღვდგებით... ჩვენ, გერმანელებს, საკმაო გამოცდილება გვაქვს უბედურებაშიც“.⁴

„დიდი და განუზომელია ამ ომის შედეგები. მან დასცა სამი დიდი სამეფო ტახტი ჰოგენცოლერნებისა, ჰაბსბურგებისა და რომანოვებისა. სამი უკიდურესად რეაქციონერი მონარქიები რესპუბლიკებად შესცვალა და საისტორიო ასპარეზზე გამოიყვანა ახალი სახელმწიფოები“, – იგონებდა გიორგი ლასხიშვილი.⁵

¹ ვალერიან გამყრელიძე. ცხოვრება, მოღვაწეობა, მოგონებები. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, გვ. 112.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №90. 1918 წლის 13 ნოემბერი. რუბრიკა „დროებითი ზავი“, გვ. 3.

³ რომელიც მაშინ თბილისში იმყოფებოდა.

⁴ ლეიტენანტის ეს სიტყვები ერთგვარად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა – ი.ნ.

⁵ გიორგი ლასხიშვილი. მემუარები..., გვ. 253.

თავი V. ქართველები პირველ მსოფლიო ომში. საარქივო დოკუმენტებისა და პრესის მასალების მიხედვით

*სამხედრო ჯილდოებს არავის მხარბეჭი
ისე არ დაუმძიმებია, როგორც ქართველების
გამ. „საქართველო“, 1916.*

§5.1. ქართველი მონაწილების დები და ლაზარეთები

1914 წელს, აგვისტოში, ომის დაწყებისთანავე თბილისში გაიხსნა მონაწილების დათა გადასამზადებელი კურსები. ამან ქართველ ქალთა შორის თავიდანვე დიდი ყურადღება მიიქცია და 80-მდე მონაწილების და ჩაენერა ამ კურსებში.¹ გარდა ამისა, არსებობდა ქართველ ქალთა სანიტარული რაზმის სპეციალური კომისია, რომელიც ინტენსიურად ატარებდა მონაწილების დების საქმიანობის შესახებ ლექციების კურსს. აღნიშნული კომისია ასევე ზრუნავდა, ვინ რომელ ლაზარეთში უნდა გამწესებულიყო სამუშაოდ და სხვა ასეთ პრაქტიკული დანიშნულების საქმიანობებზე. დღეს ჩვენთვის ყველაზე უფრო მეტად ცნობილია ორი ქართველი მონაწილების და ანეტა ანდრონიკაშვილი და ნინო ჯორჯაძე, თუმცა მათ გარდა კიდევ იყვნენ სხვები, რომლებიც, როგორც ფრონტზე, ასევე სამხედრო ლაზარეთებში ემსახურებოდნენ დაჭრილ ჯარისკაცებს. მათ შესახებ ბევრ საინტერესო და ახალ საარქივო დოკუმენტს მივაკვლიეთ. ეროვნული არქივში სპეციალური ფონდებია, რომლებიც უშუალოდ ეხება ამ საკითხებს. იგი ასეულობით და ათასეულობით დოკუმენტებს მოიცავს. მათი უმრავლესობა ჩვენს მიერ იქნა დამუშავებული.² მაგალითად, ქართველ მონაწილების დებისა და ლაზარეთების საქმიანობას ეხება შემდეგი ფონდები: ფ. №519 – ომისაგან დაზარალებულთა დახმარების კავკასიის მთავარი კომიტეტი 1914-1917; ფ. №520 – კავკასიის ფრონტიდან ლტოლვილთა კეთილმონაცობის აღმასრულებელი კომიტეტი; ფ. №508 – სამხედრო სანიტარული აღრიცხვის ფურცლები; ფ. №509 – დაჭრილ მეომართა სამეურვეო კომიტეტი და ლაზარეთები; ფ. №520 – კავკასიის ფრონტიდან

¹ გამ. „სახალხო ფურცელი“. №72. 1914 წლის 26 აგვისტო. რუბრიკა „ახალი ამბავი“, გვ. 3.

² თუმცა, რა თქმა უნდა, შესასწავლი კიდევ ბევრია – ი.წ.

ლტოლვილთა მომწყობი საბჭოსა და სხვადასხვა კომიტეტის საქმიანობის, სანიტარული დაწესებულებებისა და ლაზარეთის გახსნის შესახებ და სხვ. გარდა ამისა, საინტერესო მასალებს მივაკვლიეთ პერიოდულ გამოცემებში და ვფიქრობთ, რომ ამ ყველაფერის შესწავლის, შედარებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე საინტერესო სურათი მივიღეთ. ანეტა ანდრონიკაშვილის ბიოგრაფიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც მასთან ერთად ანეტას ფოტოსურათსაც ბეჭდავს. აქედან ვიგებთ, რომ ის იყო ძალიან სათნო, როგორც გარეგნულად, ისე სულიერადაც. „თავადის ასული ანეტა შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მშვენიერთა მშვენიერი, სულით არისტოკრატი. დიდთან დიდი, მცირესთან მცირე“.¹ როგორც ირკვევა, ანდრონიკაშვილების შტო ერეკლე II-ის ქალიშვილის ელენეს შთამომავლები არიან. ანეტას გარდა, პირველ მსოფლიო ომში მისი ძმა მერაბ ანდრონიკაშვილიც იღებდა მონაწილეობას, რომელიც 1916 წელს სპარსეთის ფრონტზე მოკლეს. თავად ანეტა ანდრონიკაშვილის დიდი სურვილი იყო წასულიყო მონწალების დად. „მას ყველაფერი დიდი ხნის ნათიქრი აქვს და არაფერს და არვის არ შეუძლია შეუშალოს ხელი მისი ნების ასრულებას. ომიანობამ გაიტაცა და მოინდომა თვითონაც შექმნილიყო მონილე საერთო ბედის წერისა“.² თავიდან ერთი წელი სწავლობდა წმ. ნინოს ლაზარეთში და შემდეგ გადაყვანილ იქნა პრაქტიკულ სამუშაოზე ჭოროხში, სადაც ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდა და დიდი სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურა. ასეთ სამუშაოებზე დიდი იყო რისკი სხვადასხვა დაავადებების გავრცელებისა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა თავად მონწალების დები ინამლებოდნენ. ასე მოუვიდა ანეტა ანდრონიკაშვილსაც, რომელსაც ურჩევდნენ თავი დაენებებინა ამ სამუშაოსთვის, მაგრამ მან უარი განაცხადა და ბოლომდე შეასრულა თავისი მოვალეობა. ანეტა მონწალების დად სანიტარულ გემ „პორტუგალიაზეც“ მუშაობდა, რომელიც 1916 წლის 30 მარტს (ძვ. სტილით 17 მარტს) ტრაგიკულად დაიღუპა. ამ ფაქტს დეტალურად აღწერს გაზ. „საქართველო“. გემ „პორტუგალიას“, რომელსაც დაჭრილები უნდა აეყვანა, უკან თან ჰქონდა გამობმული რამდენიმე პატარა ნავი. ერთ-ერთი მათგანი გზაში დაზიანდა და

¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №16. 1916 წ. რუბრიკა „ანნა (ანეტა) თავ. სოლომონ ანდრონიკაშვილის ასული“, გვ. 13.

² იქვე.

სწორედ მის შესაკეთებლად შეჩერდა გემი შავ ზღვაში, ქალაქ რიზესთან, თურქეთის სანაპიროსთან. სწორედ ამ დროს მოხდა მასზე თავდასხმა გერმანული წყალქვეშა ნავის მიერ. მეორეჯერ გასროლილი ყუმბარის შემდეგ (პირველად გასროლილი ასცდა „პორტუგალს“) გემი „პორტუგალია“ შუაზე გაიპო.¹ გაზ. „საქართველო“ საინტერესოდ აღნიშნავდა, რომ გემზე მყოფმა ეკიპაჟმა, რომელსაც შეადგენდნენ წითელი ჯვრის ექიმები და მედლები შეამჩნია გერმანული წყალქვეშა ნავი, მაგრამ არ მიუქცევია ყურადღება, რადგან რუსულ-ფრანგული გემი „პორტუგალია“ სანიტარული გემი იყო და დაცული იყო ჰააგის კონვენციის თანახმად. ამის გამო არავითარი თავდაცვითი ზომები არ მიუღიათ. „გერმანიის წყალქვეშა ნავმა თავისი საქციელით დაარღვია ჰააგის კონვენციაზე 1907 წელს მიღებული წესი“.² გემზე მყოფ სანიტართაგან დაიღუპა 115. მათ შორის იყო 24 წლის ანეტა ანდრონიკაშვილიც.³ იგი 20 დღის შემდეგ ზღვამ გამორიყა სანაპიროზე. ბერძენ ბერებს უპოვიათ და წესისამებრ დაუკრძალავთ. თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში მისი სულის მოსახსენიებლად გადახდილ იქნა პანაშვიდი. გემ „პორტუგალიის“ ჩაძირვის ფაქტს იხსენებს დავით კლდიაშვილიც.⁴ ის ქალაქ რიზეში იქნა გაგზავნილი სამხედრო დავალებით. „ბათუმში მირჩიეს მეორე დღეს წავსულიყავი მშვენიერი ჰოსპიტალური გემით „პორტუგალით“. ეს საუცხოო გემი საფრანგეთმა გამოუგზავნა რუსეთს. მე არ გადავდევნი წასვლა და ამის წყალობით უბედურებასაც გადავრჩი. მეორე დღეს წამოსული „პორტუგალი“ რიზეს მახლობლად გერმანულმა წყალქვეშამ ააფეთქა. მრავალი განსაკუთრებით ქალები ჩაყვა გემს“.⁵ მეორე ცნობილი ქართველი მონაწილეების და იყო ნინო ჯორჯაძე, რომელიც პირადად იყო გაგზავნილი ფრონტზე თავისი ცნობილი ფოტოაპარატით, რომელშიც პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის კადრები მოხვდა და ძალიან საინტერესო ფოტოებიც დაგვიტოვა. ნინო თბილისში 1854 წლის 15 დეკემბერს დაიბადა. 1902 წელს დაამთავრა

¹ გაზ. „საქართველო“. №81. 1916 წლის 13 აპრილი, გვ. 2.

² გაზ. „საქართველო“. №65. 1916 წლის 21 მარტი. რუბრიკა „პორტუგალიის დაღუპვა“, გვ. 2.

³ ურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №16. 1916 წ. რუბრიკა „ანნა (ანეტა) თავ. სოლომონ ანდრონიკაშვილის ასული“, გვ. 13. თუ იგი 1916 წელს 24 წლის იყო, შეგვიძლია დავასკვნათ მისი დაბადების წელიც და გამოდის, რომ 1892 წელს ყოფილა დაბადებული – ი.ნ.

⁴ თვითონ დ. კლდიაშვილიც იქნა გაგზავნილი ფრონტზე ართვინისაკენ.

⁵ დავით კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1961. გვ. 226. ასევე იხილეთ: რუსუდან დაუშვილი. 8 ეპიზოდი..., გვ. 23-24.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი.¹ შემდეგ სწავლობდა ვენასა და პარიზში. ომის დაწყებამდე თბილისში მიხეილის საავადმყოფოში გაიარა მოწყალეების დის კურსი. როგორც წითელი ჯვრის ორგანიზაციის წევრი კავკასიის ფრონტზე წავიდა მოხალისედ. „გაჩაღდა მსოფლიო ხანძარი. გამოცხადდა ომი, ვაპირებ მოწყალეების დად წასვლას“, – ჩაუწერია თავის დღიურში ნინო ჯორჯაძეს 1914 წლის ივლისში.²ის სარიყამიში იქნა გაგზავნილი და მის ფოტო-ობიექტივში მოხვდნენ არამართო ბრძოლის სურათები, არამედ თავად ჯარისკაცებიც. „თურქები დამარცხდნენ, მეცხრე კორპუსის მეთაური ისმაილ ფაშა ტყვედ ჩავარდა, ისევე, როგორც ბევრი ოფიცერი და მებრძოლი“.³ მან თავისი მოვალეობა ბოლომდე პირნათლად შეასრულა და 1915 წელს დაჯილდოებულ იქნა მეოთხე ხარისხის წმ. გიორგის მედლით და წმინდა გიორგი ოთხივე ხარისხის ჯვრით. მთელს რუსეთის იმპერიაში იგი მეორე ქალი იყო, ვინც ასე დააჯილდოვეს. 1921 წლიდან ხშირად განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან დევნა-შევიწროებას. ნინო ჯორჯაძე 1968 წელს გარდაიცვალა. გარდა ამისა, იყვნენ სხვა ქართველი მოწყალეების დები, რომლებიც, როგორც ფრონტზე, ასევე ლაზარეთებში ზრუნავდნენ დაჭრილ ჯარისკაცებზე. მათ შორის იყვნენ: თავადი ნატო ვაჩნაძე, ეკატერინეს ასული. დაიბადა 1895 წელს. მიხეილის საავადმყოფოში გაიარა მოწყალეების დის კურსი და 1916 წელს, 21 წლისა გარდაიცვალა ფრონტზე.⁴ ნინო ილიას ასული ხარაბაძე, რომელიც 1917 წლის დეკემბერში ბათუმში გარდაიცვალა. ძალიან უყვარდა თავისი საქმიანობა. მას, როგორც შესანიშნავ პიროვნებას ისე ახასიათებდნენ. სამშობლოს მოყვარულსა და თავგანწირულს.⁵ თამარ მენტეშაშვილი, რომელმაც ასევე მიხეილის საავადმყოფოში გაიარა მოწყალეების დის კურსი და თბილისის მე-40 ლაზარეთში⁶ ასრულებდა თავის მოვალეობას. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასეთ პირობებში ხში-

¹ ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის შესახებ მივაკვლიეთ საინტერესო ფოტომასალას მოკლე აღწერილობით, რომელიც ნიკო ბურის პირად ფონდში დიდი ხნის ძებნის შემდეგ აღმოვაჩინეთ – ი.ნ. იბ: *სსკა*. ფ. 2098, ანაწ. 1, ს. 224. ფოტოსურათის ორიგინალის ელ.ვერსია შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://www.researchgate.net/publication/334480863_p_2098_anats_1_s_224

² **თამარ ლორთქიფანიძე**. ნინო ჯორჯაძე. ქართველი ქალის თვალთ დანახული პირველი მსოფლიო ომი. თბ., 2015, გვ. 46.

³ **თამარ ლორთქიფანიძე**. ნინო ჯორჯაძე., გვ. 142.

⁴ გაზ. „*საქართველო. სურათებიანი დამატება*“. №48. 1916 წ, გვ. 3.

⁵ ჟურნ. „*თეატრი და ცხოვრება*“. №10. 1918 წ, გვ. 13.

⁶ *სსკა*. ფ. 1777, ანაწ. 1, ს. 27, ფურც. 1-4, 8-10.

რი იყო სხვადასხვა დაავადებების გავრცელება. სწორედ ერთი ასეთი დაავადება გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი. მის შესახებ გაზ. „საქართველო“ წერდა: „ავადმყოფთა მოვლის დროს სახადით გახდა ავად და გარდაიცვალა 1917 წლის 6 მარტს“.¹ მასთან ერთად იყო მოწყალეების და თამარ პოპიაშვილი, რომელიც ასევე გადამდები სენისაგან გარდაიცვალა 1917 წლის 26 თებერვალს.² საინტერესო დოკუმენტს მივაგენით ნიკო ბურის პირად ფონდში. დოკუმენტის თანახმად მისი მეუღლე ანა ალექსანდრეს ასული ბაგრატიონ-მუხრანელი აქტიურად თანამშრომლობდა ომისაგან დაზარალებულთა დახმარების კავკასიის მთავარ კომიტეტთან. ის კავკასიის ფრონტის ნივთების საწყობის გამგედ მუშაობდა. მის სახელზე 1917 წელს ყუბანის პლასტუნთა ბატალიონის მეთაური ზაპოროჟენკო აგზავნის მადლობის ბარათს. აქ ვკითხულობთ, რომ ანა ბაგრატიონ-მუხრანელს³ კავკასიაში ჯარისკაცებისთვის გაუგზავნია საჭირო ნივთები თეთრეული, მედიკამენტები და სხვ.⁴ როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, ის აქტიურად ეწეოდა ამ საქმიანობას. რაც შეეხება ლაზარეთებს მთელი ომის განმავლობაში ხდებოდა მათი მოწყობა. ლაზარეთები არსებობდა როგორც თბილისში, ისე გორში, ქუთაისსა და ბათუმში⁵. 1915 წლის იანვარში თბილისში ზუბალაშვილების სახლში, გაიხსნა ერთი ასეთი ლაზარეთი, რომლის მოსაწყობად თავად ზუბალაშვილმა 20,000 მანეთი გაიღო.⁶ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იყო წმ. ნინოს ქართული ლაზარეთი⁷, სადაც ამ დროისთვის 48 დაჭრილი მეომარი და 3 ოფიცერი გადიოდა რეაბილიტაციის კურსს. ლაზარეთებში დაჭრილ ჯარისკაცთა დასახმარებლად ხშირად ეწყობოდა სხვადასხვა საქველმოქმედო საღამოები. მაგალითად, ერთი ასეთი სალიტერა-

¹ გაზ. „საქართველო“. №68. 1917 წლის 25 მარტი, გვ. 3.

² გაზ. „საქართველო“. №77. 1917 წლის 9 აპრილი, გვ. 3.

³ სსცა. ფ. 2098, ანან. 1, ს. 86, ფურც. 5-20. სსცა. ფ. 2098, ანან. 1, ს. 87, ფურც. 1-2. https://www.researchgate.net/publication/334520867_p_2098_anats_1_s_87_purts_1 ასევე იხ: ფ. 2098. ანან. 1. საქ. 221. იხ: https://www.researchgate.net/publication/334520602_p_2098_anats_1_sak_221

⁴ სსცა. ფ. 2098, ანან. 1, ს. 93, ფურც. 1. https://www.researchgate.net/publication/334520776_p_2098_anats_1_s_93_purts_1

⁵ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №679. 1916 წლის, 23 სექტემბერი. რუბრიკა „ახალი ლაზარეთები“, გვ. 3. სსცა. ფ. 13, ანან. 1, ს. 817, ფურც. 20-30.

⁶ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №180. 1915 წლის, 8 იანვარი. რუბრიკა „ახალი ლაზარეთი“, გვ. 3.

⁷ იხილეთ ფოტო – გაზ. „სახალხო ფურცელი. სურათებიანი დამატება“. №45. 1915 წლის 5 აპრილი, გვ. 2. ასევე იხ: სსცა. ფ. 519, ანან. 1, ს. 25, ფურც. 12-14.

ტურო-სამუსიკო საღამო ჩაუტარებია ვანო სარაჯიშვილს, 1915 წლის 7 იანვარს.¹ მსგავსი საღამო ჩატარდა წმ. ნინოს ლაზარეთში, 1915 წლის ნოემბერში. „წმ. ნინოს საავადმყოფოში გუშინ წლისთავზე წმ. ნინოს ქართულ საავადმყოფოს არსებობისა გამართულ იქნა საღამო დაჭრილ და დაავადებულ მეომართათვის საკონცერტო განყოფილებით. საღამომ მხიარულად ჩაიარა და ტვირთმძიმე მეომარნი მეტად ნასიამოვნები დარჩნენ ამ საღამოთი“.² იმავე წლის 12 მარტს (ძვ.სტ.) ვორონცოვის ქუჩაზეც გახსნილა ახალი ლაზარეთი. №37 და №87. მათი საქმიანობას გაზ. „თანამედროვე აზრი“ დეტალურად აღწერს. ისინი განკუთვნილი იყო, როგორც სამხედრო ჯარისკაცებისთვის, ისე სამხედრო ტყვეებისთვისაც. ხშირად იყო შემთხვევები, როცა მონყალების დები უკმაყოფილოები იყვნენ ამა თუ იმ ლაზარეთის მონყობით.³ მაგალითად, 1917 წელს გაზ. „ერთობა“ წერდა, რომ 26-ე ლაზარეთში მომუშავე პერსონალი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რადგან ხშირად ყოფილა ისეთი მდგომარეობა, რომ „ლაზარეთს საჭმელ-სასმელი არ ჰქონდა“.⁴

1917 წლის ივლისში თბილისში ჩატარდა მონყალების დათა კონფერენცია „შემდეგ აირჩიეს კრების პრეზიდიუმი. კონფერენციის მუშაობა რამდენიმე დღეს გასტანს“, – ვკითხულობთ სტატიის ბოლოს. რადგან ეს კონფერენცია რამდენიმე დღეს გრძელდებოდა და ასეთი მასშტაბური იყო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასში საქართველოში მომუშავე მონყალების დებთან ერთად მთლიანად კავკასიაში განაწილებული მონყალების დანიც იღებდნენ მონაწილეობას.

გარდა ლაზარეთებისა, ასევე არსებობდა სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც ეხმარებოდნენ ომში განვეულთა ოჯახებს, გასცემდნენ გარკვეული რაოდენობის თანხას ლაზარეთებისთვის, აწყობდნენ საქველმოქმედო საღამოებს და ა.შ. მათ შორის ყველაზე

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №180. 1915 წლის 8 იანვარი. რუბრიკა „ახალი ლაზარეთი“, გვ. 3

² გაზ. „საქართველო“. №150. 1917 წლის 24 ნოემბერი. რუბრიკა „ახალი ამბავი“, გვ. 3.

³ გაზ. „თანამედროვე აზრი“. №161. 1917 წ. რუბრიკა „ახალი ამბავი“, გვ. 3. ასევე იხ: *სსცა*. ფ. 1777, ანან. 1, ს. 32, ფურც. 1-15. ამ ლაზარეთებს ჰქონდათ თავიანთი ნომრები და სააღრიცხვო ფურცლები, სადაც დეტალურად იყო გაწერილი მათი საჭიროებების შესახებ, სანოლებისა და ჯარისკაცთა რაოდენობა, შემოწირულობები და სხვ. ლაზარეთების საქმიანობის შესახებ იხილეთ: №30-ე ლაზარეთის შესახებ *სსცა*. ფ. 1777, ანან. 1, ს. 16, ფურც. 7. №31-ე *სსცა*. ფ. 1777, ანან. 1, ს. 17, ფურც. 1-9. №33-ე *სსცა*. ფ. 1777, ანან. 1, ს. 21, ფურც. 11. №29-ე *სსცა*. ფ. 1777, ანან. 1, ს. 28, ფურც. 3-7. №29-ე *სსცა*. ფ. 1777, ანან. 1, ს. 28, ფურც. 15-17. №34-*სსცა*. ფ. 1777, ანან. 1, ს. 34, ფურც. 1-2.

⁴ გაზ. „ერთობა“. №170. 1917 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 3. ლაზარეთის საქმიანობის შესახებ ასევე იხილეთ: *სსცა*. ფ. 1777, ანან. 1, ს. 70, ფურც. 1-3.

დიდი ორგანიზაცია იყო „ომისაგან დაზარალებულთა დახმარების კავკასიის მთავარი კომიტეტი“. მასში შედიოდა ომიანობისაგან დაზარალებულთა დამხმარე ცენტრალური საქალაქო კომიტეტი, რომელიც თავის მხრივ კოორდინირებას უწევდა სხვადასხვა კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც იყო ომიანობისაგან დაზარალებულთა დამხმარე ტფილისის სათავადაზნაურო კომიტეტი, ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, ომიანობისაგან დაზარალებულთა დამხმარე სასულიერო კომიტეტი¹ და სხვა მსგავსი ორგანიზაციები.²

§5.2. ქართველი მეომრები

ქართველი ჯარისკაცები პირადად იღებდნენ მონაწილეობას პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე. მიუხედავად მკაცრი ცენზურისა თითქმის ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში იხსნება სპეციალური რუბრიკები სახელწოდებით „ქართველები ომში“, „ომში მოკლული და დაჭრილი ქართველები“, „უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველი ჯარისკაცები“, „ქართველები ჯარში“ და ა.შ. ყველა მათგანში მითითებული იყო მათი სახელი და გვარები და ის ადგილები, სადაც იბრძოდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხშირად ამ რუბრიკებს თან ახლდა ფოტო-სურათებიც ქართველი ჯარისკაცებისა.³ გარდა ამისა, აღსანიშნავია, ისიც, რომ იყო ასეთი რუბრიკაც „ქართველი სამხედროების დაჭილდობა“, სადაც დეტალურად იყო ჩამოთვლილი, თუ ვინ რომელ ფრონტზე იბრძოდა, რომელ არმიამ და ის სამხედრო ჯილდოები, რომლებითაც აჭილდობდნენ ქართველ ჯარისკაცებს.⁴

ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა ომში შეიძლება ასეც დაიყოს 1) ქართველი

¹ რომელმაც გახსნა თავისი ლაზარეთი 1915 წლის აპრილში თბილისში, წყნეთის ქუჩაზე. იხ: გაზ. „სახალხო ფურცელი“. №251. 1915 წლის, 7აპრილი. რუბრიკა „ახალი ამბავი“, გვ. 3

² სსცა. ფ. 519, ანან. 1, ს. 9, ფურც. 2-5.

³ ამ კუთხით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ყურნალ-გაზეთების სურათებიანი დამატებები, რომლებიც ყოველდღე, უწყვეტ რეჟიმში ბეჭდავდნენ ქართველი სამხედროების ფოტოებს მოკლე აღწერასთან ერთად – ი.ნ.

⁴ მაგალითად იხილეთ: გაზ. „საქართველო“. №24. 1915 წლის 20 ივნისი. რუბრიკა „ქართველი სამხედროების დაჭილდობა“, გვ. 4.

ჯარისკაცები რუსეთის დროშის ქვეშ და 2) ქართველი ჯარისკაცების ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში. ამ უკანასკნელ საქმეში ქართველებს გერმანელები ეხმარებოდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა („ქართული კომიტეტი“, „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“) და გერმანული წყალქვეშა ნავების საქმიანობა საქართველოში მიმართული იყო რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და საქართველოს გათავისუფლებისაკენ.¹ როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიას პირველ მსოფლიო ომში როგორც დასავლეთის ისე კავკასიის ფრონტზე უწევდა ბრძოლების წარმოება. ქართველი ჯარისკაცები ორივე ფრონტზე იღებდნენ მონაწილეობას. საინტერესოა მათი საერთო რაოდენობა. ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, თუმცა ყველაზე მეტად მისაღები ციფრი დაახლოებით 300,000-ია. ეს კი იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის 13%-ს შეადგენდა.²

ზემოთ შესავალში უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ შეხვდა ქართული საზოგადოება მობილიზაციის გამოცხადებას. ეს უკანასკნელი შეეხო არამარტო ჯარისკაცებს, არამედ ფრონტისთვის საჭირო სხვა საშუალებებსაც: კასრებს, ცხენებს, ურმებს.³ როგორც ყველა ომს, აქაც იყო დებერტირობის შემთხვევები, მაგრამ, როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა პირველი მსოფლიო ომის პირველი ორი წლის მანძილზე ქართველ სამხედროებს შორის დებერტირობას ადგილი არ ჰქონია. ჯარში განვეულთა ოჯახის წევრები ყოველთვიურ დახმარებას იღებდნენ. ამის შესახებ გვამცნობს გაზ. „იმერეთი“, რომელიც წერდა, რომ „ჯარში განვეულ ჯარისკაცების ცოლებმა გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრეს დახმარების აღმოჩენის შესახებ. მათი სია გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას გაუგზავნა და ისინი დახმარებას ყოველთვიურად ღებულობენ“.⁴ ხშირი იყო შემთხვევები, როცა საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ქართველები უგზავნიდნენ ფულად დახმარებას ომისაგან დაზარალებულთა დახმარების კავკასიის მთავარ კომიტეტს. ეს უკანას-

¹ რუსუდან დაუშვილი. 8 ეპიზოდი..., გვ. 14-29.

² გიორგი გოციირიძე. პირველი მსოფლიო ომი..., გვ. 115. ასევე იხილეთ: ლევან დოლიძე. გენერლები საქართველოდან. თბ., 2003, გვ. 30-60.

³ საარქივო ფონდი 13-ის მე-12 ანაწერის მეორე ნახევარი სავსეა მობილიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტებით, რომლებიც ძალიან საინტერესო ინფორმაციებს გვანვდიან როგორ და რა პირობებში მიმდინარეობდა მობილიზაცია. მაგალითად, იხილეთ: სსსკ. ფ. 13, ანან. 12, ს. 409, ფურც. 399-402.

⁴ გაზ. „იმერეთი“. №2. 1915 წლის 8 იანვარი. რუბრიკა „ახალი ამბავი“, გვ. 3.

კნელი შემდგომ ანაწილებდა მათ მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებში. გარდა ამისა, არსებობდა „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“, რომელიც ზრუნავდა დაკარგული ჯარისკაცების ბედზე. გაზ. „საქართველო“ 1916 წელს სპეციალურ რუბრიკაში სახელწოდებით „დაკარგულ ჯარისკაცთა ძებნა“ წერდა: „იმ ჯარისკაცთა პატრონებმა, რომელნიც უგზო-უკვლოდ არიან დაკარგულნი უნდა მიმართონ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას და თავიანთი მისამართიც შეატყობინონ. აღნიშნული გამგეობა ეცდება ცნობები შეაგროვოს ამ ჯარისკაცთა შესახებ და ჭირისუფალთ მიაწოდოს“.¹ უჩვეულოდ საარაკო საქმეებით გამოიჩინა თავი ბევრმა ქართველმა გენერალმა. მაგალითად, გენ. ჩხეტიანი, გენ. მაყაშვილი, რომელსაც აღმოსავლეთის ფრონტზე ზედმეტსახელად „თხრილების გენერალი“ შეარქვეს.² პირველ მსოფლიო ომში ასევე თავი გამოიჩინა გენ. ილია ოდიშელიძემ. ეს უკანასკნელი ომის დასაწყისისთვის იყო პირველი არმიის შტაბის უფროსი. 1914 წლის 11 ოქტომბერს კი მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. მოგვიანებით მეთაურობდა კავკასიის არმიას.³ ოსმალეთის ომში ჩაბმამ და სარიყამიშში დანყებულმა ბრძოლებმა ქართული საზოგადოება უფრო ორმაგად განაწყო ბრძოლისთვის – იხსენებდა რევამ გაბაშვილი.⁴ სარიყამიშის ბრძოლის (ტარასი ვაშაკიძის, გენ. ნიკოლოზ ბართაშვილისა, გენ. ვასილ გაბაშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის) შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ აქ დავამატებთ, რომ მასში სხვა ქართველი მეომრებიც იღებდნენ მონაწილეობას. კავკასიის ფრონტზე იბრძოდნენ ალექსანდრე ჩხეიძე, დიმიტრი გედევანიშვილი, გიორგი ამილახვარი, ზაქარია ბაქრაძე⁵, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე მიქელაძე.⁶ კავკასიის ფრონტზე წარმოებული ბრძოლების შემდეგ, დაარსდა კავკასიის სპეციალუ-

¹ გაზ. „საქართველო“. №43. 1916 წლის 25 თებერვალი. რუბრიკა „დაკარგულ ჯარისკაცთა ძებნა“, გვ. 3.

² გიორგი გოცირიძე. პირველი მსოფლიო ომი..., გვ. 119.

³ მიხეილ ბახტაძე. გენერალი ილია ოდიშელიძე. თბ., „არტანუჯი“, 2017, გვ. 11.

⁴ რევამ გაბაშვილი. მსოფლიო პირველი ომის მოახლოება. „ქართული ემიგრანტული ლიტერატურა“. გურამ შარაძის საერთო რედაქციით. ტ. 3. თბ., „სადარა“, 1992, გვ. 147-153. აქ გვინდა ერთი პატარა განმარტება გავაკეთოთ. ეს ჩანაწერები დანერილი უნდა იყოს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რადგან, 1914-1918 წლის ომი მოხსენიებულია, როგორც პირველი მსოფლიო ომი, რომელიც ასე აღინიშნებოდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ – ი.წ.

⁵ მის სიმამაცეს ბრძოლის ველზე აღნიშნავდა ჟურნ. „კლდე“, რომელიც ბეჭდავს მის ფოტოსურათსაც. იხ: ჟურნ. „კლდე“. №28. 1914 წლის 5 მაისი, გვ. 9.

⁶ გიორგი გოცირიძე. პირველი მსოფლიო ომი..., გვ. 119.

რი საისტორიო კომისია¹, რომელსაც ევალებოდა მასალების შეგროვება სარიყამიშსა და ყარაურლანის ოპერაციებში დაღუპული მეომართათვის ძეგლის ასაგებად. სხვადასხვა შემონიშნულობების შეგროვება.² საქართველოს ჰყავდა ისეთი დიდი გენერალი, როგორც იყო გიორგი მაზნიაშვილი. მან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ვარშავასთან ბრძოლებში და 1917 წელს სამშობლოში დაბრუნდა.³ გარდა ამ სიისა, პირველ მსოფლიო ომში იბრძოდნენ სხვა დაბალი ჩინის სამხედროელებიც, რომლებმაც არანაკლებ მნიშვნელოვან ბრძოლებში მიიღეს და მონაწილეობა და არანაკლებ წარმოაჩინეს საკუთარი თავიც. მათ შესახებ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყოველდღე ყველა პერიოდული გამოცემა ბეჭდავდა ცნობებს. იყვნენ მოხალისედ წასული მეომრებიც. ერთ-ერთი ასეთი მათგანი იყო შტაბს-კაპიტანი გიორგი ხერხეულიძე (ფოცხოველი). ის გმირულად დაიღუპა პოლონეთში 1914 წლის 25 ნოემბერს (ძვ.სტ). მის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის გაზ. „იმერეთი“, რომელმაც მოგვიანებით მის გარდაცვალებას სპეციალური რუბრიკაც კი მიუძღვნა.⁴ გიორგი ხერხეულიძის ბედი გაიზიარეს ძმებმა ყაზბეგებმა ალექსანდრემ და ნიკოლოზმა. პირველი პოლონეთში, ქალაქ ლოდთან დაიღუპა, ხოლო მეორე კარპატებში. მათი ბიოგრაფიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის გაზ. „სახალხო ფურცელი“, რომელიც ახასიათებდა მათ, როგორც „ქართული საქმის ღრმად მოსიყვარულებსა და მამაცებს ბრძოლის ველზე“.⁵

მათ გარდა პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ ქართველი მთრინავებიც. ქართულ პერიოდულ გამოცემებში ვხვდებით ასეთ რუბრიკებს სათაურით „საჰაერო ბრძოლები“, „ბრძოლა ცაში“ და სხვ. სადაც მოცემულია სხვადასხვა ფრონტებზე წარმოებული საჰაერო ბრძოლები და აეროპლანების ფოტოები მოკლე აღწერილობით.⁶ ასეთი ბრძოლები კავკასიის ფრონტზეც, რუსეთსა და ოსმალეთს შორის მიმდინარეობდა. თავდაპირველად ჯერ მთრინავები სწავლობდნენ მოწინააღმდეგის დაზვერვას, მანევრირე-

¹ სსკა. ფ. 1877, ანან. 1. ს. 1, ფურც. 1-5.

² სსკა. ფ. 1877, ანან. 1. ს. 4, ფურც. 20-21. ფ. 1877, ანან. 1. ს. 9, ფურც. 1-2.

³ გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებები. ბათუმი. „განთიადი“, 1990, გვ. 3.

⁴ გაზ. „იმერეთი“. №6. 1915 წლის 13 იანვარი. რუბრიკა „გიორგი ხერხეულიძე“, გვ. 3. ასევე იხ: გაზ. „სახალხო ფურცელი. სურათებიანი დამატება“, №33. 1915 წ. გვ. 3.

⁵ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №195. 1915 წ. გვ. 3-4. მათი სულის მოსახსენიებლად ანჩისხატის ეკლესიაში პანაშვიდიც გადაუხდიათ.

⁶ უურნ. „კლდე“. №30. 1914 წლის 19 ოქტომბერი, გვ. 13.

ბას, ხოლო მოგვიანებით შეიძინა ახალმა საფრენმა აპარატებმა ბომბდამშენის ფუნქციაც. ასეთი საჰაერო ბრძოლები მცირე მასშტაბიანი დაბომბვებით სრულდებოდა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა აეროპლანები გაუმართაობის გამო კატასტროფას განიცდიდნენ. კავკასიის ფრონტზე, რუსულმა ავიაციამ მხოლოდ ერთხელ, 1917 წელს შეძლო ოსმალური თვითმფრინავის ჩამოგდება. ეს უკავშირდება რუსული არმიის ქართველ შტაბს-კაპიტან მიხეილ მაჭავარიანს, რომელმაც ლეგენდარული თურქი მფრინავი – ვეჩიჰი ჰურკუში ჩამოაგდო. ასევე იყვნენ ასეთი ცნობილი ქართველი მფრინავები: დავით (დათიკო) სეხნიაშვილი ცნობილი, როგორც „არტანის გმირი“, რომელიც თავბარს სცემდა ყველას თავისი მანევრებით. იგი დაჯილდოებული იქნა წმ. ანას III და წმ. სტანისლავის IV ხარისხის ორდენებით.¹ ასევე ცნობილი ქართველი მფრინავი იყო ბორის ბერიძე. მას საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია აქვს. იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი სამხედრო მფრინავი, ვინც მიიღო მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში. დაიბადა 1888 წლის 13 ივლისს ქუთაისის გუბერნიაში. 1906 წელს დაამთავრა ვორონეჟის კადეტთა კორპუსი. შემდგომ ორი წლის განმავლობაში სწავლობდა პავლეს სამხედრო სასწავლებელში. მისი დამთავრების შემდეგ, 1908 წლის 15 ივნისს ბორის ბერიძე გადაყვანილ იქნა პოდპორუჩიკის წოდებით 34-ე საარტილერიო ბრიგადაში. 1911 წლის 21 აგვისტოს ის ხდება ლეიტენანტი, ხოლო მოგვიანებით, 1915 წლის 10 ივლისს შტაბს-კაპიტანი. 1916 წლისთვის ის მესამე არმიის საავიაციო რაზმის სამხედრო პილოტია. იგი მართავდა „ვუაზენის“ ტიპის საფრენ აპარატს, რომელიც ერთ-ერთი საჰაერო დაზვერვის დროს, 1916 წლის ივლისში ჩამოგდებულ იქნა მონაალმდევის „ფოკერის“ ტიპის გამანადგურებლის მიერ, (მაგრამ საბედნიეროდ ის გადაარჩა), რომელსაც ქართველმა მფრინავმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია და გმირულად შევიდა უთანასწორო ბრძოლაში. იგი დაჯილდოვდა შემდეგი ორდენებით: 1915 წლის 18 იანვარს მან მიიღო წმ. ანას მე-4 ხარისხის ორდენი, 1915 წლის 20 მაისს წმ. სტანისლავის III ხარისხის ორდენი, იმავე 1915 წლის 30 ივნისს წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენითა და ხმლით იქნა დაჯილდოებული, 1915 წლის 12 სექტემბერს წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენი გადაეცა სიმამაცისთვის. მოგვიანებით, 1917 წლის 5 მაისს ქართველი ავიატორი

¹ უურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №9. 1919 წლის 10 აგვისტო, გვ. 8. ასევე იხ: გაზ. „საქართველო. სურათებიანი დამატება“. №9. 1916 წ. გვ. 3.

წმ. გიორგი IV ხარისხის ორდენით იქნა დაჯილდოებული.¹ ბორის ბერიძე 1917 წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა.²

§5.3. ქართველი სამხედრო ტყვეები საზღვარგარეთ

პირველი მსოფლიო ომის დროს წარმოებული ბრძოლების შედეგად უამრავი ქართველი მებრძოლი ჩავარდა ტყვედ. მათ შესახებ ეროვნული არქივის 1864-ე ფონდი ძალიან ბევრ საინტერესო დოკუმენტს შეიცავს, რომლებიც დეტალურად მოგვითხრობენ ქართველი ტყვეების მდგომარეობას, მათ სამშობლოში დაბრუნების შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესები. მათი დიდი ნაწილი პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო და ჩვენი მოკრძალებული სურვილი იყო, რომ დეტალურად გაგვეჩია ისინი და შემოგვეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. გარდა კავკასიის ფრონტისა ქართველი ჯარისკაცები სხვა ფრონტებზეც იბრძოდნენ და აქედან გამომდინარე ისინი მონაწილეობდნენ ბანაკის თითქმის ყველა ქვეყანაში გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, თურქეთში მოხვდნენ. მაგალითად, ავსტრიის ერთ-ერთ ქალაქ ეგერში 1000-ზე მეტი ქართველი ტყვე ყოფილა. ჯერ კიდევ 1916 წელს გაბ. „სახალხო ფურცელი“ წერდა, რომ „ტყვედ ჩაცვინულ ქართველების ხვედრი ავსტრიაში მეტად აუტანელი ყოფილა. მათ აიძულებდნენ ისევ ავსტრიელთა ჯარში ჩაენერონ, უარის მიღების გამო კი სასტიკად სჯიან და მშიერ-მწყურვალნი ჰყავთ“.³ ტყვეთა დახმარების თბილისის საქალაქო კომიტეტს მათ დასახმარებლად დიდი თანხაც გაუგზავნია.⁴

2014 წელს გამოვიდა ძალიან საინტერესო და მეტად ორიგინალური გამოკვლევა „ეჭო წარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები, ჩანერილი ცვილის ლილვაკებზე გერმანიაში 1916-1918 წლებში“.⁵ ამ გამოკვლევაში წარმოდგენილია გერმანიისა და ავსტრიის

¹ Штабс-капитан **Беридзе Борис Иосифович**. მისი ბიოგრაფიის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ: <http://www.retroplan.ru/encyclopaedia.html?sobi2Task=sobi2Details&sobi2Id=310>

² გაბ. „საქართველო“. №212. 1917 წლის 28 სექტემბერი. რუბრიკა „უკანასკნელი დეპეშები“, გვ. 2.

³ გაბ. „სახალხო ფურცელი“. №672. 1916 წლის 14 სექტემბერი. რუბრიკა „ახალი ამბავი“, გვ. 3.

⁴ იქვე.

⁵ რედაქტორები: სუზან ციგლერი და რუსუდან წერწყნია, თბ., 2014.

ტყვეთა ბანაკებში ჩაწერილი ქართველ ტყვეთა სიმღერები. ეს მასალები თავის დროზე რობერტ ლახმა¹ გამოაქვეყნა, ხოლო ქართულ ვერსიაში ისინი კიდევ უფრო მრავალფეროვანი სახითაა წარმოდგენილი, რადგან რ. ლახის მიერ გამოქვეყნებული იქნა მხოლოდ ავსტრიის ტყვეთა ბანაკებში ჩაწერილი სიმღერები, ხოლო ზემოთაღნიშნული ქართული გამოცემა მოიცავს ორივე ქვეყნის გერმანიასა და ავსტრიის ტყვეთა ბანაკებში ჩაწერილ სიმღერებს. ეს დაგვეხმარა დაგვედგინა ის სამხედრო-ტყვეთა ბანაკები, სადაც ქართველები იმყოფებოდნენ. ეს ბანაკებია: მანჰაიმი,² ორდრუფი (თიურინგია), ფუხჰაიმისა და ზაგანის ბანაკები.³

მძიმე იყო მათი მდგომარეობა ოსმალეთშიც. ქართულ პრესაში გაიხსნა სპეციალური რუბრიკა „ქართველი ტყვეების წერილები“. გაზ. „სახალხო ფურცელი“ 1916 წელს აქვეყნებს ერთ ასეთ წერილს. რუბრიკა შესავალში გვამცნობს, რომ ქართველი ტყვეების გერმანიის ქ. ალტამში იმყოფებიან. „ძალიან ცოტაა ჩვენში ისეთი, რომ საჭმელ-სასმელს იღებდეს მშობლებისგან და ეს უკანასკნელი კი ჩვენთვის ძალიან საჭიროა“. წერილიდან ვიგებთ, რომ გერმანიის ქ. ალტამში 30-მდე ქართველი სამხედრო ტყვე ყოფილა. „თქვენი გაზეთის საშუალებით – ვკითხულობთ წერილში – მივმართავთ ჩვენს თანამემამულეებს თხოვნით. დაე, ჩვენი თანამემამულეები დაგვეხმარონ შეძლებისდაგვარად სანოვაგით“. წერილის ბოლოს მიწერილია მისი ავტორი და მისამართი. „თქვენი პატივისმცემელი გრიგოლ ადანაია. ჩემი მისამართი: გერმანია, ქ. ალტამში, სამხედრო ტყვეთა ბანაკი“.⁴ რა თქმა უნდა, ხდებოდა მათი სამშობლოში უკან დაბრუნებაც. ეს პროცესი დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ძალიან დიდი წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა და მას თან

¹ Lach, Robert. Gesänge russischer Kriegsgefangener, III, Band: Kaukasusvölker, 2. Abt: Mingrelische, abchasische, svanische und ossetische Gesänge. Hölder-Pichler-Tempsky A.G., Wien, 1931. ამ ყველაფრის შესახებ დამატებითი მასალები მოგვანოდა კარლსრუეს (Karlsruhe) უნივერსიტეტის დოქტორანტმა გიორგი ასტამაძემ, რომელიც ჩვენი საგრანტო პროექტის საერთაშორისო თანამშრომელია – ი.ნ.

² ამ ბანაკში 1916 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩაწერილი სიმღერების ავტორთა ვინაობა ცნობილია: პლატონ მაჩაიძე, გიორგი ნარეკლიშვილი და ფილიპე მურჯნიკელი.

³ ფუხჰაიმის ბანაკში 1917 წელს ჩაწერილი სიმღერების ავტორთა ვინაობაც ცნობილია: ვასილ ხუბულავა, ალექსანდრე კორკელია და ერმოლაი კურავა. ზაგანის: ვიქტორ მეგრელიშვილი, გრიგოლ ხორავა, კალისტრანტე კანკავა, ვარდენ დადიანი, ნიკოლაი ყაზბეგი, პლატონ შერვაშიძე, თეოდორ თარგამაძე, მიხეილ ქირია და სარდიონ გოგელია.

⁴ გაზ. „სახალხო ფურცელი“. №614. 1916 წლის 3 ივლისი. რუბრიკა „ქართველი ტყვეების წერილი გერმანიიდან“, გვ. 3.

ახლდა თავისი წინამოსამზადებელი პროცედურები. ძალიან ძნელი საშოვნელი იყო გემები, რომლებითაც მოახერხებდნენ ტყვეების გამოგზავნას სამშობლოში. ამას ნათლად აღასტურებს ბერლინიდან მოწერილი წერილები იაზონ ბაქრაძისა აკაკი ჩხენკელისადმი, სადაც საუბარია იმ სიძნელეებზე, რომლებიც დაკავშირებულია გემების საკითხთან და აღნიშნულია ჰოლანდიისა და შვეიცარიის გემების დაქირავებაზე.¹ წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული არქივის ხსენებული 1864-ე ფონდი შეიცავს უამრავ საინტერესო დოკუმენტს, რომლებიც გადმოგვცემს საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ წარმოებულ ღონისძიებებს. ყველა მათგანში კარგად ჩანს ის წინააღმდეგობები, რაც წინ ეღობებოდა ქართველი ტყვეების სამშობლოში დაბრუნებას. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია გერმანიაში საქართველოს მისიის უფროსის – ვლადიმერ ახმეტელის წერილიდან აკაკი ჩხენკელისადმი დათარიღებული 1919 წლის 9 აგვისტოთი. ამ დოკუმენტიდან² ვიგებთ, რომ შეიქმნა სპეციალური „ტყვეთა გამგზავრების კომისია“,³ რომელიც ხუთი კაცისაგან შედგებოდა. მათ ევალებოდათ, რომ მოეგროვებინათ ინფორმაციები ქართველი ტყვეების შესახებ და გაემზადებინათ ისინი სამშობლოში გასამგზავრებლად, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 1919 წლის 25 ივლისს, თუმცა ვერ მოხერხდა, რადგან გასამგზავრებელი გემი არ იყო მზადყოფნაში და გამგზავრება ცოტა ხნით, 2 აგვისტომდე გადაიდო. გემს ერქვა „კრისტიან ნებე“ (შვედური გემი). როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს ის იყო პირველი გემი, რომელიც გერმანიიდან ტყვეებითა და საქონლით დატვირთული შავი ზღვისკენ მოდიოდა.⁴ გემზე სულ 1716 სამხედრო ტყვე იმყოფებოდა, რომელთაგან 32 სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე-

¹ სსკა. ფ. 1864, ანან. 2, საქ. 52, ფურც. 26. იაზონ ბაქრაძის წერილი აკაკი ჩხენკელისადმი. დათარიღებული 1919 წლის 28 აპრილით. ფ. 1864, ანან. 2, საქ. 52, ფურც. 27. იაზონ ბაქრაძის წერილი აკაკი ჩხენკელისადმი. დათარიღებული 1919 წლის 3 მაისით.

² ამ წერილს საინტერესოდ და დეტალურად განიხილავს ქ-ნი დოდო ჭუმბურიძე თავის სტატიაში. იხ: **დოდო ჭუმბურიძე. სათუნა ქოქრაშვილი.** „პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული ორი დოკუმენტი“. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ტ. 1 (12). თბ., 2015. „უნივერსალი“, გვ. 301-306, თუმცა თხრობას ისინი რატომღაც დოკუმენტის 133-ე გვერდიდან იწყებენ, მაშინ როცა, პირველი ორი გვერდი კიდევ უფრო საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, თუ რა წინააღმდეგობა შეხვდა და როგორ მზადდებოდა ქართველი ტყვეების გამომგზავრება და რა პროცედურები იქნა ჩატარებული ამისთვის. ჩვენ კი მას მთლიანად გავარჩევთ და მივყვებით თანმიმდევრულად – ი.ნ.

³ სსკა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 180, ფურც. 131-136. დოკუმენტის სრული ორიგინალის ელ.ვერსია შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://www.researchgate.net/publication/334536656_p_1864_anats_2_s_180_purts_131-136

⁴ სსკა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 180, ფურც. 133.

ები იყვნენ და დანარჩენები ქართველი სამხედროები. აღსანიშნავია, რომ მათ რიცხვში არამარტო გერმანიაში მყოფი, არამედ ავსტრია-უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მყოფი ტყვეები შედიოდნენ. გემზე იმყოფებოდნენ გერმანელი ექიმებიც, რომლებსაც ქართულმა დელეგაციამ სპეციალური თანხაც გამოუყო უკან დასაბრუნებლად. ქართველ ტყვეებთან ერთად სამშობლოში ბრუნდებოდა კონსტანტინე გამსახურდიაც. როგორც ცნობილია, ის ამ პერიოდში ბერლინის უნივერსიტეტში იყო სასწავლებლად.¹¹ დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მოსამზადებელი ეტაპი და 2 აგვისტოს, დილის 6 საათიდან დაწყებულა „ტყვეების ჩასხმა-ჩაბარება“² და დილის 9 საათისთვის გემი დაიძრა. დოკუმენტში საინტერესოდ აღწერილია გამომგზავრების პროცესი და ჩანს როგორ აცილებდნენ გერმანელები ტყვეებს სამშობლოსაკენ. მდ. ელბის „ორთავ ნაპირებიდან, სახლებიდან თუ სახელოსნო ფაბრიკებიდან, დიდი თუ პატარა გადმომდგარიყო და სალამის ნიშნად ხელსახოცებს უქნევდნენ გემზე მდგომ ჩვენს ტყვეებს. ზოგიერთები ნაპირებიდან სიტყვებსაც კი ეუბნებოდნენ. მესმოდა მხოლოდ საქართველო და ტყვეებისადმი სალამი. სპეციალურად იყვნენ მოსული ფოტოგრაფიული სურათების გადამღებები და გემსა და ტყვეებს ყველა მონეტში იღებდნენ. ჩვენი ტყვეების ვაშას ძახილი არემარეს ახმაურებდა და ყველას აღფრთოვანებას იწვევდა“.³ დოკუმენტის ბოლოს გვერდზე ვლ. ახმეტელი დიდი მადლიერებით მოიხსენიებდა გერმანიის სამხედრო⁴ და საგარეო საქმეთა უწყებას და აღნიშნავდა, რომ გერმანიასა და საქართველოს შორის რაც დრო გადის მეგობრული განწყობილება კიდევ უფრო მტკიცდება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ამ პროცესს წინ დიდი სირთულეები ხვდებოდა. „კრისტიან ნებეს“ გამგზავრებამდე დიდი სამუშაოები ჩატარდა, რათა ეშვათ გემი და ამით გაემგზავრებინათ ქართველი ტყვეები სამშობლოში. ამაზე მეტყველებს არაერთი დოკუმენტი, რომელიც საგანგებოდ ეხებოდა ქართველი ტყვეების მდგომარეობას. 1919 წლის იანვრით დათარიღებული საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, რომ

¹ ის ასევე აქტიურად იღვწოდა ქართველი ტყვეების დაბრუნებისთვის. ამასთან დაკავშირებულ რამდენიმე საარქივო დოკუმენტს ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევხებით – ი.ნ.

² სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 180, ფურც. 134.

³ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 180, ფურც. 135.

⁴ აღსანიშნავია, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების გარდა, ამ საქმეში ჩართული იყო გერმანიის საიმპერატორო სამხედრო სამინისტრო, რომელსაც 1918 წლის სექტემბრისთვის გერმანიაში მყოფი ქართველი ტყვეებისთვის 2000 მარკაც კი გაუგზავნია. იხ: სსცა. ფ. 13, ანან. 27, ს. 5434, ფურც. 5-6.

ტყვეების მდგომარეობა არის მძიმე. „ტყვეების მდგომარეობა საშინელია. არ აცვიათ, ში-
ათ, ცივათ, დიდი მეცადინეობაა საჭირო, რომ წესიერება იქნეს დაცული და უბედურება არ
დატრიალდეს“.¹

ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე 1918 წლის იანვარში ვლ. ახმეტელი ცდილობდა
მოლაპარაკებოდა საფრანგეთის მთავრობას ტყვეებისათვის დახმარების აღმოჩენის შე-
სახებ. „საფრანგეთის საელჩოში ვიყავი, მოლაპარაკება მქონდა ჩვენი სამხედრო ტყვეების
გამოკვების შესახებ. მათმა წარმომადგენელმა სამხედრო ტყვეების უფროსმა გაგვიცხადა:
ჩვენმა მთავრობამ² გადაწყვიტა, რაც ჩვენს ტყვეებს საჭმელ-სასმელი მორჩათ გერმანიის
მთავრობას გადასცეს და უკანასკნელმა თვით გაანაწილოს სხვადასხვა სახელმწიფოების
ტყვეებს შორის. მათი ასეთი გადაწყვეტილება მოგვეწონა, ვინაიდან გერმანიის მთავრობა
ჩვენს სამხედრო ტყვეებს მეტს თუ არა ნაკლებს არ შეახვედრებს“. დოკუმენტის ბოლოს
აღნიშნული იყო, რომ გარდა სურსათ-სანოვავისა, ფრანგებმა გადასცეს ორი დიდი ყუთი
საეჭიმო წამლები სხვადასხვა საჭირო მედიკამენტებით.³ ქართველ სამხედროებთან ერ-
თად იყვნენ სხვა ეროვნების ტყვეებიც, ძირითადად სომხები და უკრაინელები. მათი ასეთი
ერთობლივი სამყოფელი იყო გერმანია, კერძოდ შპანდაუ. ისინი 1918 წლის იანვარში ერ-
თობლივად უნდა გამომგზავრებულიყვნენ. „ეს ტყვეები შპანდაუში ყოფილან და აღარ უც-
დიან სხვა დანარჩენ ქართველებთან ერთად წასვლას. საზოგადოდ ძნელი ყოფილა
ტყვეების გაჩერება. შემთხვევა ეძლევათ და ისინიც სხვა ერის ტყვეებთან ერთად აპირებენ
წასვლას. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ ორმოც კაცს თვითვე სულზე სამგზავრო კიევამდის –
ათ-ათი მარკა⁴ მივცეთ“, – იტყობინებოდა ვლ. ახმეტელი.⁵ გარდა ამისა, 100-მდე ქართვე-
ლი სამხედრო ტყვე რუსებთან და უკრაინელებთან ერთად იმყოფებოდა ბოჰემიაში. საარ-
ქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამ უკანასკნელებს დამოუკიდებლად გადაუწყვეტიათ
სამშობლოში დაბრუნება და ამისთვის გარკვეული თანხაც კი შეუგროვებიათ, რომ რო-

¹ სსცა. ფ. 1864, ანაწ. 2, ს. 180, ფურც. 1.

² ამ პერიოდში (ე. ი. 1918 წლისთვის, ვინაიდან წერილი 1918 წლითაა დათარიღებული – ი.ნ.) საფრანგეთის
პრეზიდენტი იყო რაიმონ პუანკარე (18. II. 1913 – 18. II. 1920). პრემიერ-მინისტრი კი ჟორჟ კლემანსო (16.
XI. 1917 – 18. I. 1920).

³ სსცა. ფ. 1864, ანაწ. 2, ს. 180, ფურც. 16.

⁴ გერმანული ფულის ერთეული.

⁵ სსცა. ფ. 1864, ანაწ. 2, ს. 180, ფურც. 17.

გორმე კიევამდე ჩასულიყვნენ და მერე იქ საქართველოს საელჩო დაეხმარებოდათ.¹

1916-1918 წლებში ბერლინში გამოდიოდა დამოუკიდებლობის კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო „ქართული გაზეთი“,² რომელსაც მორალურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამშობლოსგან შორს გადახვენილი ქართველი ტყვეების მხარდაჭერისა და გამხნეებისათვის. მათ სამშობლოში დაბრუნებისათვის აქტიურად მოღვაწეობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები: გიორგი და ლეო კერესელიძეები³, გიორგი მაჩაბელი და სხვ. გარდა ამისა, ცალკე არსებობდა ტყვეთა გამგზავრების კომისია. საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამ კომისიას მიზნად დაუსახავს გემის შექმნა, რომელიც ტყვეების დაბრუნებას მოემსახურებოდა, თუმცა ეს პროცესი გაჭიანურებულა და მათ რამდენიმე თვიანი ლოდინიც კი მოუწიათ, სანამ მიიღებდნენ თანხმობას. ამ თხოვნით მიმართა იაზონ ბაქრაძემ ინგლისელებსაც, მაგრამ რაიმე კონკრეტული დაპირება არ მიუღიათ.⁴ ქართველი ტყვეების გერმანიიდან სამშობლოში გამგზავრების საქმე რომ არც ისე ადვილი მოსაგვარებელი იყო ამას ადასტურებს ზემოთ ჩამოთვლილ წერილებთან ერთად იაზონ ბაქრაძის კიდევ ერთი წერილი ისევ აკაკი ჩხენკელისადმი მიწერილი. აქ ვკითხულობთ: „ჩვენი ტყვეების გაგზავნის საქმე ჯერ ვერ მოეწყო და არც საქონლის ნება არ არის“.⁵ ამ წერილის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს გიორგი ანდრონიკაშვილის მიერ ინგლისურ ენაზე დაწერილი წერილი (წერილში ანდრონიკაშვილი აღნიშნულია, როგორც ანდრონიკოვი. ცხადია, რუსული ენის გავლენით – ი.ნ.) საქართველოს მთავრობისადმი⁶, საიდანაც ვიგებთ, რომ კიდევ ერთხელ უცდიათ ქართველი ტყვეებისა და საქონლის სამშობლოში დაბრუნების საქმე საბოლოოდ გადამწყდარიყო, მაგრამ ისევ ზუსტი პასუხი ვერ მიუღიათ. ასეთი გაჭიანურების პირობებში იყო შემთხვევები, როცა ქართველი სამხედრო ტყვეები ადგილობრივ მემამულეებთან დებენ შეთანხმებებს და მათთან სამუშაოდ მიდიან.

¹ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 180, ფურც. 18.

² ლაშა ბაქრაძე. გერმანულ-ქართული..., გვ. 97-103.

³ გიორგი კერესელიძე ქართველი ტყვეების საქმეთა გამგე იყო.

⁴ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 180, ფურც. 32.

⁵ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 180, ფურც. 34.

⁶ GEORGE ANDRONIKOV for the GEORGIAN GOVERNMENT. 11 March, 1919. იხ: ფ. 1864, ანან. 1, საქ. 180, ფურც. 36.

ასეთების რიცხვი არც ისე მცირე ყოფილა.¹ კვლავ დიდ პრობლემად რჩებოდა გემის შოვნა. „ტყვეების გაგზავნის დიდი იმედი გვექონდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით აქაური კომისიის თავმჯდომარემ უარი გვითხრა. ყველა გემები ანტანტას სხვა მიზნით სჭირდებაო. ტყვეები ავად ხდებიან და იხოცებიან“, – იტყობინებოდა ბერლინიდან ი. ბაქრაძე.² როგორც ჩანს, ასევე პრობლემა იყო გერმანული გემებით ტყვეების გამგზავრება და ამიტომ ქართულმა დელეგაციამ აღძრა საკითხი, რომ რომელიმე ნეიტრალური სახელმწიფოს გემით მომხდარიყო ქართველი ტყვეების დაბრუნება.³ ხშირი იყო შემთხვევები, როცა ისინი ბანაკებიდან იპარებოდნენ და უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ, რაც კიდევ უფრო ართულებდა მათ სამშობლოში დაბრუნებას.⁴ როგორც აღვნიშნეთ, „კრისტიან ნებეს“ ჩამოჰყვა კონსტანტინე გამსახურდიაც, რომელსაც ბევრი პროცედურის გავლა მოუწია, სანამ შესაძლებლობასა და თანხმობას მიიღებდა. ამაზე მეტყველებს რამდენიმე საარქივო დოკუმენტი. ერთ-ერთის თანახმად, რომელიც დათარიღებულია 1919 წლის 14 ივნისით, ვიგებთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას სურს სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ წერილში აღნიშნავს „საქ. მთავრობის ბერლინერ წარმომადგენელისაგან გავიგე, რომ თქვენი ბრძანების თანახმად, მას (ე.ი. საქ. მთავრობის წარმომადგენელს ბერლინში – იაზონ ბაქრაძეს – ი.ნ.) ნება არა აქვს გერმანიაში დარჩენილი მოქალაქენი გააგზავნოს, ვიდრე მთავრობის მიერ დაქირავებული გემი წავა. რადგანაც ჯერ გემი ნაშოვნის არ არის, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ საშუალებით მე კიდევ მინიმუმ სამი თვე უნდა ვიცადო აქ – ამიტომ ვთხოვ უმორჩილესად საქ. მთავრობის დელეგაციას, მომცეს საშუალება სამშობლოში დაბრუნებისა, რასაც ჩემი სამსახური⁵ და ოჯახური მდგომარეობა დაუყოვნებლივ მოითხოვს ჩემგან...“⁶ შემდეგი წერილიდან, რომელსაც კ. გამსახურდია წერს პირადად აკაკი ჩხენკელს ვიგებთ, რომ ის უკვე მაისიდან ელოდება გემს და ძალიან უჭირს იქ გაჩერება.⁷

¹ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 180, ფურც. 40.

² იქვე.

³ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 180, ფურც. 51.

⁴ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 52, ფურც. 31.

⁵ ის ტფილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იყო და წერილში აღნიშნავს, რომ სურს დატოვოს გიმნაზია.

⁶ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 52, ფურც. 36.

⁷ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 52, ფურც. 38-39. KONSTANTIN GAMSACHURDIA. DR. PHIL. D. BERLINER UNIVERSITÄT. დოკუმენტის სრული ორიგინალის ელ. ვერსია:

53-ე საქმის (აღწ. 2.) დოკუმენტები საინტერესო მასალებს შეიცავენ ქართველ ტყვეთა საქმის მწარმოებელი საზოგადოების საქმიანობის შესახებ. ამ კუთხით საინტერესოა ქართველ ტყვეთა საქმის მწარმოებლის ნიკოლოზ კანდელაკის მოხსენება ჰოლანდიაში გემის დაქირავების საზოგადო პირობების შესახებ. საარქივო დოკუმენტში საუბარია გემ „მაკედონიაზე“, რომელიც სპეციალურად ჯარისკაცთა ტრანსპორტირებისათვის არის მოწყობილი, რომ ამ გემით მოხდეს ქართველი ტყვეების დაბრუნება. დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ მაკედონიაზე 2000 მგზავრის აყვანა შეიძლება და აღნიშნულია ის საერთო ხარჯები, რაც დაკავშირებულია ტყვეების დაბრუნებასთან.¹ საინტერესო დოკუმენტია დაცული 1864-ე ფონდის 211-ე საქმეში, რომელიც ეხება ცნობილი ფრანგი გენერლის ლუი ფრანშე დ'ესპრეს (1856-1942)² წერილს ხალკის ჯარების კომენდატისთვის, გაგზავნილი კონსტანტინოპოლიდან. წერილიდან ჩანს, რომ გენერალი დ'ესპრე თავად ყოფილა ჩართული ქართველი ტყვე ჯარისკაცების სამშობლოში დაბრუნების საქმეში და დიდად თანაუგრძნობდა ქართულ დელეგაციებს. „მაქვს პატივი გაცნობოთ, საკითხი კუნძულ „ხალკიზე“ მყოფ ქართველ ტყვეთა და ლტოლვილთა დაბრუნებაზე გემით „Via Batum“, წარდგენილი ჰქონდა გადასაწყვეტად ბრიტანიის მმართველებს. მთავარ კომენდანტთან მყოფ ბრიტანიის სამხედრო მისიის უფროსმა თავის პასუხში განაცხადა, რომ ინგლისის სარდლობა არავითარ დაბრკოლებას არ ხედავს მათ გაგზავნისათვის, მაგრამ ამაში დაინტერესებულმა პირებმა თვითონვე უნდა გადაიხადონ მგზავრობის ფასი, თუ ისინი გაიგზავნებიან ინგლისური გემით. ძლიერ გთხოვთ აცნობოთ ყველა ეს დაინტერესებულ პირთ. გენ. ფრანშე დ'ესპრე...“³ გარდა კუნძულ ხალკისა, ტყვეები სალონიკშიც იმყოფებოდნენ. იმავე დოკუმენტში საუბარია სალონიკში მყოფი ქართველი ჯარისკაცების წერილზე მიწერილი კონსტანტინოპოლის წარმომადგენლებისადმი და აღნიშნულია მათი მძიმე მდგომარეობის შესახებ. (დათარიღებული 1919 წლის 2 აგვისტოთი). წერილში ვკითხულობთ: „ყველა

https://www.researchgate.net/publication/334537732_sstsa_p_1864_anats_2_s_52_purts_34-39

¹ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 53, ფურც. 44-48.

² მის შესახებ დეტალურად იხ: Who's Who – Louis Franchet d'Esperey <https://www.firstworldwar.com/bio/franchet.htm>

³ სსცა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 211, ფურც. 2. https://www.researchgate.net/publication/334544248_p_1864_anats_2_s_211_purts_2. აღსანიშნავია, რომ წერილი ქართულ ენაზეა შედგენილი. ის ან თარგმნილი უნდა იყოს ქართულად, ან თავად გენერალ დ'ესპრეს მიერ უნდა იყოს დაწერილი, რაც არაა გამორიცხული – ი.ნ.

ქართველები, რომელიც ვიყავით რუსის სალდათად ეხლა ვართ სალონიკში და დიდ გაჭირვებაში. გთხოვთ გვიშველეთ თუ რამე შეიძლებოდეს და დაგვისხენით აქედან“.¹

საქმეში ჩართული იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროც. ამ კუთხით საინტერესოა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური და კომერციული საქმის დირექტორის ს. პიშონის მიმართვა დეპუტატ ალბერტ ტომასისადმი გერმანიაში. ამ მიმართვაში პიშონი ითხოვდა გერმანიაში მყოფი ქართველი და სომეხი ტყვეებისათვის დახმარების აღმოჩენას². ამავე ფონდის 142-ე საქმეში, რომელიც რამდენიმე ასეულ გვერდს მოიცავს, აღწერილია ქართველი ტყვე ჯარისკაცების საერთო მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში (ძირითადად გერმანიაში, საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიაში) და მითითებულია თითქმის ყველა მათგანის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (სახელი/გვარი/დაბადების ადგილი). დოკუმენტში ასევე მოცემულია მათი წერილები (დათარიღებული 1919 წლის იანვარ-ოქტომბრით) საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებისადმი (ძირითადად ჩხეიძისადმი – ი. ნ.) ტრადიციულად ისინი ითხოვენ დახმარებასა და სამშობლოში დაბრუნებას.³ გემ. „კრისტიან ნებს“ გამომგზავრების შემდეგაც ქართველ სამხედრო ტყვეთა სამშობლოში დაბრუნების პროცესი კიდევ დიდ ხანს გრძელდებოდა. ისინი კვლავ რჩებოდნენ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ინგლისში, პოლონეთში. „ინგლისიდან მოგვივიდა ღია ბარათი, რომელშიაც იწერებოდნენ, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა რამდენიმე ასი საცვალი მოგვცა. შეგვპირდნენ აგრეთვე გიბრალტარში ტყვეებისათვის სანოვავის მიცემას“, – წერდა ი. ბაქრაძე. წერილის ბოლოს ვიგებთ, რომ ინგლისის მთავრობას ეს დაპირება აუსრულებია.⁴

1919 წლის 12 სექტემბრით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ,

¹ აღსანიშნავია, რომ წერილს თან ახლავს ქართველი სამხედრო ტყვეების სახელი და გვარი. იხ: *სსცა*. ფ. 1864, ანან. 2, ს. 211, ფურც. 3.

https://www.researchgate.net/publication/334544183_p_1864_anats_2_s_211_purts_3

² S. Pichon. Direction des affaires politiques et commerciales. Monsieur le Député, Paris, le 29 Juin, 1918. იხ: *სსცა*. ფ. 1864, ანან. 2, საქ. 54. ამ დოკუმენტს ბოლო გვერდზე დართული აქვს საქართველოს რუკა (ნახაზი), რომელიც შავი ფანქრით არის შესრულებული. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ვინაიდან დოკუმენტის ავტორი პიშონია, ეს რუკაც მისი შედგენილი უნდა იყოს – ი. ნ.

³ *სსცა*. ფ. 1864, ანან. 2, ს. 142, ფურც. 44-45, 50, 53, 62-63, 65-66, 68-69, 76-77, 80, 111, 132, 146. ასევე იხ: *სსცა*. ფ. 1864, ანან. 2, ს. 143, ფურც. 1-15, 30-50, 75-90, 100-127 – საფრანგეთში მყოფ ქართველ ყოფილ ტყვე ჯარისკაცთა სიები ფრანგულ და რუსულ ენებზე.

⁴ *სსცა*. ფ. 1864, ანან. 2, ს. 52, ფურც. 137. დათარიღებული 1919 წლის 19 აგვისტოთი.

რომ კიდევ დარჩენილან ქართველი ტყვეები გერმანიაში, ავსტრიაში და ჩეხოსლოვაკიაში, რომელთა პირობებიც ძალიან მძიმეა და ცდილობენ, როგორმე ისინიც გააგზავნონ სამშობლოში. ვლ. ახმეტელი იმასაც წერს, რომ გერმანიის პრესაში მოთავსებულია ცნობები ქართველი ტყვეების შესახებ. „გერმანიის გაზეთებში ჩვენს შესახებ სხვადასხვა ცნობებს ათავსებენ. განსაკუთრებით პროვინციის გაზეთებში“. წერილში ახმეტელი საუბრობს ბერნშტაინისა და ჰერმან მიულერთან შეხვედრებზე და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელები კეთილგანწყობილნი სჩანან მის მიმართ და გამოთქვამენ დახმარების მზადყოფნას.¹ 1919 წლის დეკემბერში გერმანიიდან, კერძოდ ჰამბურგიდან დაიძრა კიდევ ერთი სამხედრო ტყვეთა გემო, რომელშიც ქართველებიც იყვნენ. „16 დეკემბერს, ამა წელს (1919 წელს – ი.ნ.) ჰამბურგიდან გამოდის გემი „კონსტანტინე“ სომხების ტყვეებით. ამ გემზევე მოდიან ჩვენი დარჩენილი ტყვეებიც – წერდა ვლ. ახმეტელი – გერმანიასა და ავსტრიაში ვინც კი გვეგულებოდა საქართველოს მოქალაქე, სამხედრო ტყვეები მოვაგროვეთ და მოდიან დასახელებული გემით“.²

ტყვეების დაბრუნებაზე აქტიურად ზრუნავდა პოლონეთის ქართული კომიტეტიც. ამ მხრივ საინტერესოა პოლონეთის ქართული კომიტეტის წერილი პარიზში მყოფ ქართულ დელეგაციას, საიდანაც ვიგებთ, რომ „პოლონეთის ტყვეთა ლაგერებში აუარებელი საქართველოს ქვეშევრდომნი საშინელ გაჭირვებას განიცდიან“. წერილის³ ავტორი⁴ ითხოვს, რომ როგორმე დახმარება აღმოუჩინონ პოლონეთში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს.

ამდენად, ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ მსოფლიო ომში ქართველებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არა მარტო კავკასიის, არამედ ომის მიმდინარეობის სხვა ფრონტებზეც. ისინი ერთგულად და თავდადებით იბრძოდნენ. როგორც ვნახეთ, მძიმე გამოდგა ქართველი სამხედრო

¹ სსკა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 52, ფურც. 152.

² სსკა. ფ. 1864, ანან. 2, ს. 52, ფურც. 204.

³ დათარიღებული 1920 წლის 28 მაისით

⁴ პოლონეთში დაარსებული ქართული კომიტეტის თავმჯდომარე ინჟინერი სერგო ყურულაშვილი – ი. ნ. მისი დიდი ინიციატივითა და მუშაობით საფუძველი ჩაეყარა ქართულ-პოლონური ურთიერთობის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კვლევას, რომელიც ზრუნავდა ქართველი ტყვეების სამშობლოში დაბრუნებაზე. იხ: სსკა. ფ. 1864, ანან. 2, საქ. 323, ფურც. 20-21. სსკა. ფ. 1864, ანან. 2, საქ. 324, ფურც. 9-12. ქართული კომიტეტის პოლონეთში საქმიანობის შესახებ იხ: სსკა. ფ. 1864, ანან. 2, საქ. 398, ფურც. 3-5.

ტყვეების ბედი, სამშობლოსგან შორს, უცხო მიწაზე, მაგრამ საბედნიეროდ მათი დიდი ნაწილი ომის დასრულების შემდეგ ახერხებდა სამშობლოში დაბრუნებას.

დასკვნა

კაცობრიობის ისტორიას არაერთი სისხლისმღვრელი ომი ახსოვს. პირველი მსოფლიო ომი (1914-1918) თავისი მასშტაბითა და მონაწილეთა რაოდენობით განსაკუთრებულია მსოფლიო ისტორიაში. იგი ნამდვილ გლობალურ კატასტროფად ითვლება, რომელმაც მსოფლიოს ბედი შეცვალა. ომმა ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში ცვლილებები შეიტანა. შეიცვალა ცხოვრების სტილი. ადამიანების შეხედულებები, განწყობილება, მსოფლმხედველობა და დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრა ევროპული ცივილიზაციის მომავალი. პირველი მსოფლიო ომი ასევე ცნობილი იყო, როგორც „ყველა ომის დამამთავრებელი ომი“, მაგრამ, როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, ეს ასე არ მოხდა და გარკვეულწილად განსაზღვრა კიდევ ოცი წლის შემდგომ დიდი საერთაშორისო აფეთქება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის სახით დაატყდა თავს კაცობრიობას.

საარქივო მასალების, მემუარული ლიტერატურის, პერიოდული გამოცემებისა და სხვადასხვა დამხმარე სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XX საუკუნის I ნახევრის მსოფლიო ისტორიის უმთავრესმა მოვლენამ – პირველმა მსოფლიო ომმა თავისებური და საინტერესო ასახვა ჰპოვა ქართულ ნარატიულ წყაროებში. დანყებული ომამდე არსებული საერთაშორისო ურთიერთობებით და დამთავრებული უკანასკნელი სამხედრო მოქმედებებით. ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა ქართული საზოგადოების თვალთ დანახული პირველი მსოფლიო ომი. როგორც ვნახეთ, საქართველოში პირველი მსოფლიო ომის ისტორიით დაინტერესებისა და შესწავლის კუთხით გარკვეული ტრადიცია არსებობდა. ჩვენამდე მოღწეულ ამ მასალების შეფასებისას ვცდილობდით, რომ ვყოფილიყავით ზომიერები და არც ერთ უკიდურესობაში არ გადავადრინილიყავით. დაგვეცვა ე.წ. „ოქროს შუალედი“.

ჩვენი მოკრძალებული მიზანი იყო, ისტორიულ მიმოქცევაში შემოგვეტანა ახალი მასალები, რომლებიც აქამდე არ იყო გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ ყველაფრის მისაღწევად გარკვეული ეტაპების გავლა გახდა საჭირო, რომელიც მოიცავდა რამდენიმე ამოცანის გადაჭრას: მასალების მოძიება, მათი დახარისხება, ქრონოლოგიური პრინციპით დალაგება, მათი დეტალური გარჩევა და გაანალიზება. განსაკუთრებით სირთულეს წარმოადგენდა საარქივო დოკუმენტებთან მუშაობა მათი დიდი რაოდენობიდან გამომდინარე. ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი ხელს

